ბაზიდან გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ᲘᲚᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

E-mail: r.jalagania@mail.ru

№314 (373) 5-12 მაისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

9 მაისი – დიადი გამარჯვების დღესასწაული!

70 წლის წინათ, 1945 წლის 8 მაისს, ბერლინ-კარლჰორსტში (გერმანია), ცენტრალური ევროპის დროით, 22 საათსა და 43 წუთზე (მოსკოვის დროით – 9 მაისს, 00 სთ. და 43 წთ-ზე) ხელი მოეწერა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის აქტს. ხელისმოწერის ადგილად შერჩეული იქნა შენობა, სადაც განთავსებული იყო მე-5 საბჭოთა არმიის (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ე. ბერზარინი – შემდგომში ბერლინის პირველი კომენდანტი) შტაბ-ბინა. აქტს ხელი მოაწერეს ვერმახტის მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა გუსტავ კეიტელმა, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალმა ადმირალმა ჰანს გეორგ ფრიდენბურგმა და ლუფტვაფეს გენშტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ჰანს იურგენ შტუმპფმა. კაპიტულაცია ჩაიბარა საბჭოთა კავშირის მარშალმა გიორგი ჟუკოვმა და დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მარშალმა არტურ უილიამ ტედერმა. მოწმის სახით კაპიტულაციის გაფორმებას ესწრებოდნენ და ასევე ხელისმოწერით დაადასტურეს ეს აქტი აშშ-ის საჰაერო ძალების შტაბის პირველმა უფროსმა გენერალმა კარლ ენდრიუ სპატსმა და ფრანგმა მარშალმა ჟან მარი ლატრ დე ტასინიმ.

ამ ისტორიული დოკუმენტით დამთავრებულად გამოცხადდა სამხედრო კონფლიქტი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც ნიშნავდა, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ევროპის კონტინენტზე.

ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სისხლისმღვრელი, მასშტაბური ომი მასში ჩართული ადამიანური რესურსებითა და საბრძოლო სამხედრო ტექნიკით. იგი საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით “დიდი სამამულო ომი”, რომელიც გაგრძელდა 1418 უმძიმესი დღე და ღამე.

ამ ომის დაწყების წინაპირობა გერმანიის სათავეში ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის მოსვლის შემდეგ (1933 წ.) შეიქმნა. “სასიცოცხლო არეალის” ძიებაში გერმანელი ნაცისტებისათვის საბჭოთა კავშირი, თავისი ბოლშევიკური იდეოლოგიით, ნომერი პირველი ხელისშემშლელი რეალობა იყო ევროპის კონტინენტზე. სამხედრო კონფლიქტი ამ ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი იყო. 1939 წლის ზაფხულიდან გერმანიამ ზედიზედ დაიპყრო ევროპის 11 ქვეყანა და მიუახლოვდა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს. ეს პროცესი საბოლოო ფაზაში შევიდა 1941 წლის დამდეგს. გერმანია სამხედრო ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

1940 წლის ივნისში რეიხსკანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა გასცა ბრძანება, შეემუშავებინათ სსრკ-ზე თავდასხმის გეგმა. 1940 წლის 22 ივლისს ვერმახტი (გერმანიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობა) შეუდგა ამ გეგმის შემუშავებას, რომელმაც მიიღო კოდური სახელწოდება ოპერაცია “ბარბაროსა”. იგი დამტკიცდა 1940 წლის 18 დეკემბერს. ამ დირექტივით სამხედრო სამზადისი უნდა დასრულებულიყო 1941 წლის 15 მაისისათვის.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირიც გამალებით ზრდიდა სამხედრო პოტენციალს. რა გეგმები ჰქონდა იმხანად საბჭოთა კავშირს, უცნობია. იმდროინდელი საბჭოთა სამხედრო გეგმების ამსახველი დოკუმენტები მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ერთი რამ ნათელია: საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გათვლით, ფაშისტური გერმანიის უდელქვეშ მოქცეული ევროპის ხალხები აუცილებლად მიმართავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხსნისათვის, როგორც ბოლო იმედს. ამისთვის კი საჭირო იყო სათანადო სამხედრო მზადყოფნა. საბჭოთა მთავრობა რეალურად აფასებდა ორივე ქვეყნის სამხედრო ძალების შეფარდებას (ამ დროისათვის ჰიტლერელთა მიერ დაპყრობილი ევროპის ქვეყნების ეკონომიკა დამატებით მუშაობდა გერმანიის სამხედრო მანქანის სასარგებლოდ) და თვლიდა, რომ ვერმახტის საბრძოლო მომზადება ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად სჭარბობდა საბჭოთა სამხედრო ძალების შესაძლებლობებს, ამიტომ იგი, თავის მხრივ, ყოველ დონეს ხმარობდა მოახლოებული სამხედრო კონფლიქტის ვადის გადასაწევად, დროის მოსაგებად. გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, შეიარაღებული ძალების უკეთ ორგანიზებისა და ტექნიკური აღჭურვილობის თანამედროვე დონეზე მიყვანის მიზნით. 1941 წლისთვის საბჭოთა კავშირის სამხედრო ბიუჯეტმა მიაღწია 43,3%-ს.

1941 წლის ივნისის შუა რიცხვებში ვერმახტმა და მისმა მოკავშირეებმა (იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი) საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან თავი მოუყარეს ისტორიაში მანამდე არნახულ ძალებს – 190 დივიზიას (5,5 მილ. კაცი), 3.700-ზე მეტ ტანკს, 4.950 თვითმფრინავს, 47.460 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 193 საბრძოლო ხომალდს. ვერმახტის ჯარები ტექნიკურად საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ევროპის კონტინენტზე ჩატარებული ოპერაციების შედეგად ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. მათი საბრძოლო სულისკვეთება მეტად მაღალი იყო. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ, სულ რაღაც, 3-4 თვეში საბჭოთა კავშირს ბოლოს მოუღებდნენ.

1941 წლის 22 ივნისს, 03 საათსა 45 წუთზე, როგორც კი ამომავალმა მზემ ცენტრალური ევროპის ცარგვალზე სრული ბადროს სახე მიიღო, ოკულტიზმის მოძღვრებით შეპყრობილი ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით, ვერმახტის სამხედრო ძალებმა დაიწყეს შეტევა საბჭოთა კავშირზე.

ომის პირველი დღეები დაიწყო საბჭოთა შეიარაღებული ძალებისთვის კატასტროფული შედეგებით. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, პირველი სამი კვირის განმავლობაში მოწინააღმდეგემ შეძლო ქვეყნის შიგნით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით შეჭრა 500 კმ-ის მანძილზე: დასავლეთის მიმართულებით – 550 კმ-ზე, სამხრეთ-დასავლეთით – 300-350 კმ-ზე. მტერმა დაიკავა ქვეყნის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ფრონტის ხაზი გადაიჭიმა ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ვერმახტის ჯარებმა შეძლეს, ალყაში მოექციათ და შემდეგ ტყვედ აეყვანათ დასავლეთის ფრონტზე მოქმედი წითელი არმიის მსხვილი შენაერთები. ფაშისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არა მხოლოდ სამხედრო ობიექტები აღმოჩნდა, არამედ მთელი რიგი მსხვილი ქალაქებისა და რეგიონებისა თავისი ინფრასტრუქტურებითა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამრეწველო ფაბრიკა-ქარხნებით. უდიდესი იყო მსხვერპლიც. საბჭოთა სახელმწიფო სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგა.

1941 წლის 3 ივლისს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ იოსებ სტალინმა ქვეყნის მოსახლეობას რადიოთი მიმართა. ეს მიმართვა იქცა ბრძოლის პროგრამად გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

10 ივლისს შეიქმნა მთავარსარდლობის ბანაკი (სტალინი – თავმჯდომარე; წევრები – ვიაჩესლავ მოლოტოვი, სემიონ ტიმოშენკო, სემიონ ბუდიონი, კონსტანტინე ვოროშილოვი, ბორის შაპოშნიკოვი, გიორგი ჟუკოვი).

19 ივლისს სტალინი თავდაცვის სახალხო კომისრად დაინიშნა, ხოლო 8 აგვისტოს – საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი მთავარსარდლობა, ნაცვლად დღეს დამკვიდრებული აზრისა, ყველა გადაწყვეტილებას კოლექტიურად იღებდა, შესაბამისი ფრონტებისა და არმიების სარდლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით. იგი შესრულების პერსონალურ პასუხისმგებლობას ეფუძნებოდა. ბრძანების შესრულების კოორდინაციას უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლები ახდენდნენ.

წარმოუდგენლად მოკლე დროში, ომის უმძიმეს პირველ თვეებში, ქვეყანამ შეძლო, სახალხო მეურნეობა ომის ყაიდაზე გადაეწყო. სამხედრო პროდუქციის საწარმოებლად საჭირო მანქანა-დანადგარები, ჩარხები გაზიდულ იქნა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში – ურალში, სადაც პირდაპირ საველე პირობებში იწყებოდა მათი მონტაჟი და პროდუქციის გამოშვება. ამ ომში მთავარი ორგანიზატორი და მამოძრავებელი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტია იყო. ეს ისტორიული სიმართლეა.

გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამაც. ომის დაწყებისას წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 130 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე. მათ მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. 1941 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში ჩატარდა პირველი საყოველთაო მობილიზაცია და შემდგომში პერიოდულად, ომის დასრულებამდე, ხორციელდებოდა ეს პროცესი. საქართველოდან სულ გაწვეული იქნა 700 ათასამდე მეომარი, მათგან – 16 ათასი ქალი. 300 ათასი მებრძოლი ვერ დაბრუნდა მშობლიურ კერაზე. შეიძლება ითქვას, რომ ესოდენ დიდი მსხვერპლი არ გაუდია არც ერთ მეომარ ქვეყანას (პროცენტული შეფარდებით), რომლის ტერიტორიაზედაც უშუალოდ არ მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები. სამწუხაროდ, დღეს მეორე მსოფლიო ომის ოფიციალურ სტატისტიკაში მნიშვნელოვანი დაკნინებით არის წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილი მონაცემები, რაც დიდი უსამართლობა და უპატივცემულობაა იმ მსხვერპლის მიმართ, რომელიც გაიღო ჩვენმა ხალხმა.

ფართო იყო ქართველი მეომრების მონაწილეობა ომის ყველა ძირითადი ბრძოლებსა და ოპერაციებში. ისინი გმირულად იბრძოდნენ კავკასიის მისადგომებთან, რუსეთის ევროპულ ნაწილებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩეხეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში. მონაწილეობა მიიღეს ბერლინის შტურმში.

“საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მარადიული დიდების წიგნში” შეტანა, საპატიო სახელის მინიჭება (“ტამანის”, “კრივოი როგის”, “ანაპის”, “სევასტოპოლის” და სხვ.), წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება, გვარდიელის წოდება და სხვ. – ეს ის ჯილდოებია, რომლებიც მიენიჭათ ქართულ სამხედრო ფორმირებებს დიდ სამამულო ომში.

მტრის ზურგში იბრძოდნენ ქართველი პარტიზანები – დავით ბაქრაძე, პეტრე გვალია, სანდრო ჩაჩხიანი, ზოია რუხაძე, ნოე კუბლაშვილი, ქრისტეფორე მოსულიშვილი, ოთარ იშხნელი და სხვ.

ომის პირველ წლებში ტყვედ ჩავარდნილი ბევრი ჩვენი თანამემამულე მიმოფანტული აღმოჩნდა ევროპაში, განსაკუთრებით – გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ნაცისტური ტყვეობიდან თავის დაღწევას. გათავისუფლების შემთხვევაში აქტიურად ერთვებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდამხარ ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობაში. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოდან შორს. მათ ღირსეულად წარმოაჩინეს ევროპის ქვეყნების ხალხთა თვალში ქართველი ადამიანის ვაჟკაცური ბუნება. ერთ მათგანს – ქრისტეფორე მოსულიშვილს, მიენიჭა იტალიის ეროვნული გმირის სახელი სიკვდილის შემდეგ.

შევჩერდებით ერთ საყურადღებო ისტორიულ ფაქტზე ქართველთა მონაწილეობით:

1941-45 წლებში ვერმახტმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის ხალხების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამხედრო ფორმირებები. ინტენსიური ანტისაბჭოთა პროპაგანდით დამუშავებულები, ისინი, ძირითადად, იბრძოდნენ “აღმოსავლეთის ფრონტზე” მესამე რეიხის მხარეზე. ასევე იქნა შექმნილი ქართული ლეგიონიც (30 ათასი კაცი). იგი დააკომპლექტეს 1921 წელს საქართველოდან პოლიტიკური ნიშნით დევნილი და ქვეყნიდან გადახვწილი ქართველებით. მათ დაუმატეს ომში ტყვედ ჩავარდნილები, რომლებიც ინტერნირებულები იყვნენ გერმანიასა და მის სატელიტ ქვეყნებში. სხვა ნაციონალური ლეგიონებისგან განსხვავებით, ქართულ ბატალიონებს არ მიუციათ ერთგულების ფიცი მესამე რეიხისადმი. მოგვიანებით ქართული ლეგიონი მოიცვა დეზერტირობამ. იმპერიის სხვადასხვა რეგიონში განთავსებული ქართული ბატალიონებიდან გამოქცეულები უერთდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მონაწილეობდნენ ანტიფაშისტურ შეიარაღებულ ბრძოლებში (საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.). “აღმოსავლეთის ფრონტზე” შექმნილი მდგომარეობის გამო 1945 წლის თებერვალში, რაიხსკანცლერის ბრძანებით, ქართული ლეგიონის თამარ მეფის სახელობის 822-ე ბატალიონი გადასროლილ იქნა საფრანგეთიდან კუნძულ ტექსელზე (ნიდერლანდები). იგი შედგებოდა 800-მდე ქართველისა და 400-მდე გერმანელისგან (ძირითადად, ოფიცრებისგან).

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

9 მაისი – დიადი გამარჯვების დღესასწაული!

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

1945 წლის 4 აპრილს დაიწყო ქართველთა აჯანყება. 5 აპრილს ისინი თავს დაესხნენ გერმანელ ოფიცრებს. მალე აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა თითქმის მთელი კუნძული. გერმანელებმა სასწრაფოდ გადასხეს ტექსელზე დამატებითი სამხედრო ძალები. ქართული ბატალიონის ხელმძღვანელობამ დახმარებისთვის მიმართა ინგლისის მთავრობას, მაგრამ უშედეგოდ. გერმანელებმა ჩაახშეს ამბოხი. უმძიმეს ბრძოლებში დაიღუპა 800 გერმანელი, 565 ქართველი და 117 ადგილობრივი პატრიოტი. დაიღუპა ქართველთა მეთაურიც – შალვა ლოლაძე (1945 წ. 25 აპრ.) ის იყო საბჭოთა მფრინავი, სამხედრო საჰაერო ძალების კაპიტანი, საჰაერო ესკადრონის მეთაური. 1942 წელს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს უკრაინაში. ფაშისტებმა ლოლაძე ტყვედ აიყვანეს. მოგვიანებით ის ჩარიცხეს საფრანგეთში დისლოცირებულ 822-ე ქართულ ბატალიონში ლეიტენანტის ჩინით.

შალვა ლოლაძე დაკრძალულია კუნძულ ტექსელზე მისივე სახელობის ქართველთა სამხედრო სასაფლაოზე.

ჩვენი აზრით, კუნძულ ტექსელზე ქართველთა შეიარაღებული აჯანყება (1945 წ. 4 აპრ. – 20 მაისი) იყო ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი საბრძოლო მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს და ეს უნდა ჩაიწეროს სამხედრო ისტორიოგრაფიაში.

არანაკლები გმირული შრომა და თავდადება გამოიჩინა ზურგში დარჩენილმა საქართველოს მოსახლეობამაც. 1941 წლის სექტემბრიდან, გერმანელ ფაშისტთა საქართველოში შემოჭრის საშიშროების ჟამს, ჩვენი ქვეყნის 46 რაიონის მოსახლეობა აქტიურად შუდგა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას დასავლეთ საქართველოში და 1942 წლის გაზაფხულზე დაამთავრა. ასევე დიდი სამუშაოები ჩაატარეს საქართველოს მშრომელებმა დარიალის ხეობისა და კავკასიის უღელტეხილების გასამაგრებლად. უმოკლეს ვადაში აითვისეს თავდაცვითი პროდუქციის წარმოება რესპუბლიკის ინჟინრებმა და მუშებმა. უკვე 1941 წლის ბოლოს საქართველოს ქარხნები უშვებდნენ ავტომატებს, ნაღმსატყორცნებს, ქვემეხის ჭურვებს, რეაქტიული ნაღმსატყორცნის ნაწილებს, არემონტებდნენ ტანკებს, თვითმფრინავებს, ავტომატებს, შაშხანებს. ლითონგადამამუშავებელმა მრეწველობამ ომის წლებში 1.738 მლნ მანეთის პროდუქცია შექმნა და გადასცა სახელმწიფოს.

კვების მრეწველობამ წითელ არმიას მიაწოდა 2,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია, 1942-43 წლებში საქართველოს მუშებმა ამიერკავკასიის ფრონტს გადასცეს 135 ათასი ავტომატი, 8500 ნაღმსატყორცნი, ასობით ავიაგამანადგურებელი, მილიონობით ვაზნა, ნაღმი, ქვემეხის ჭურვი, ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევი და სხვ. ომის წლებში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 3.340.293.500 მანეთი.

ასევე დიდი იყო სოფლის მეურნეობის მუშაკთა წვლილი წითელი არმიის საკვებით მომარაგებაში. საქართველო გადაიქცა დაჭრილი საბჭოთა მეომრების სამკურნალო მძლავრ ბაზად. საქართველოში მოქმედებდა 90-ზე მეტი ჰოსპიტალი, რომლებშიც იმკურნალა 1 მლნ-ზე მეტმა მებრძოლმა, მათგან 700 ათასზე მეტი კვლავ დაუბრუნდა ფრონტს.

საქართველოს მეცნიერებმა, საკვლევსამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა მთელი თავისი საქმიანობა დაუმორჩილეს ფრონტის ინტერესებს. საქართველო იყო ჯავშანფოლადის საწარმოებლად ვოლფრამისა და მოლიბდენის ერთადერთი მიმწოდებელი. 1941-43 წ.წ. ქართველმა გეოლოგებმა მრეწველობას გადასცეს სასარგებლო წიაღისეულის 40-ზე მეტი საბადო. სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობდა გამოჩენილ მეცნიერთა მთელი პლეადა.

მრავალმა ქართველმა მწერალმა, პოეტმა, მხატვარმა, ჟურნალისტმა, დრამატურგმა, კინორეჟისორმა, კომპოზიტორმა თავისი შემოქმედება მტერზე გამარჯვების თემას დაუკავშირა. ბრძოლის ველზე დაეცა ქართული ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი. ფრონტზე იბრძოდა საქართველოდან წარგზავნილი 46 გენერალი და ადმირალი, 23 ათასი ოფიცერი. უშუალოდ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მხედართთავრებმა: კონსტანტინე ლესელიძემ, პორფილე ჩანჩიბაძემ, ვლადიმერ ჯანჯღავამ, ვლადიმერ ნანეიშვილმა, ნიკოლოზ თავართქილაძემ, გიორგი ყურაშვილმა და სხვ.

165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 244.700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ ორდენებითა და მედლებით. საქართველოს 333.344 მშრომელი დაჯილდოვდა მედლით "მამაცური შრომისათვის 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში", 46 191 მშრომელი კი – მედლით "კავკასიის დაცვისათვის".

უდიდესი განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მოწინავე ერებმა, გამოავლინა საუკეთესო თვისებები: გმირული სული, გამძლეობა, თავდადება, საბოლოო გამარჯვების რწმენა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს – 1945 წლის 9 მაისს, ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირისა და ანტიფაშისტურ კოალიციაში შემავალი ქვეყნების ხალხებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდა. მანამდე კი იყო ბერლინის დაცემა. 1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა ჯარებმა რაიხსტაგი აიღეს და მასზე წითელი დროშა აღმართეს საბჭოთა კავშირის გმირებმა რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ. მოსკოვმა ბერლინის დაცემა 324 ქვემეხიდან 24 საარტილერიო ზალპით აღნიშნა. დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურდა ან ტყვედ ჩავარდა მოწინააღმდეგის 607 დივიზია, მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ვერმახტის სამხედრო ტექნიკის 75%. სხვადასხვა მონაცემით, გერმანიამ დაკარგა 13,7 მლნ ადამიანი, საბჭოთა კავშირმა კი 27 მლნ. მათ შორის, 11,3 მლნ ფრონტზე. ფაშისტების მიერ შექმნილ სიკვდილის ბანაკებში დაიღუპა 5 მლნ ადამიანი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე – 7,4 მლნ-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. გერმანიაში სამუშაოდ იძულებით იქნა გადაყვანილი 5 269 500 საბჭოთა მოქალაქე. მათგან ომის შემდეგ რეპატრიაციით დაბრუნდა 2 540 100 კაცი. მიზეზთა გამო ქვეყანაში არ დაბრუნდა და ემიგრანტებად დარჩა 451 100 კაცი. 2 164 300-ზე მეტი დაიღუპა ტყვეობაში. 114 000 ადამიანზე არ არის მონაცემები.

70 წელი გავიდა ამ სისხლისმღვრელი ომის დამთავრებიდან, მაგრამ დღემდე არ შეწყვეტილა დისკუსიები და სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდება ასობით სტატიები და წიგნები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მიზეზებსა და შედეგებზე. სამხედრო ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და ექსპერტების მთელ თაობებს ვერ გაუციათ ამომწურავი პასუხი ერთ მარტივ კითხვაზე – რა მოხდა 1941-45 წლებში, ანუ რა იყო მესამე რეიხის დამარცხების და საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზეზები? ამ კითხვაზე პასუხები განსხვავებულია. მაგალითად, ჰიტლერული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოაჰიმ ფონ რიბენტროპმა დაასახელა 3 ძირითადი მიზეზი:

*საბჭოური წინააღმდეგობის სიძლიერის მოულოდნელობა(?!);

*შეიარაღებისა და ტექნიკის მიწოდების მასშტაბები აშშ-ის მიერ;

*დასავლელი მოკავშირეების წარმატებები საჰაერო ბრძოლებში.

ამერიკელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, ცნობილი ანტისაბჭოთა იდეოლოგი ზბიგნევ ბეჟზინსკი კი ეწინააღმდეგება აშშ-ის როლის გაზვიადებულ წარმოდგენას. ის წერს: "პარადოქსალურია, რომ ნაცისტური გერმანიის განადგურებამ აამაღლა ამერიკის საერთაშორისო სტატუსი, თუმცა მას არ უთამაშია გადამწყვეტი როლი ჰიტლერიზმზე სამხედრო გამარჯვებაში. აღიარებულ უნდა იქნას, რომ დამსახურება ამ გამარჯვებაში ეკუთვნის სტალინურ საბჭოთა კავშირს..." და ეს ჭეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოა.

ორიოდე სიტყვა ამ გამარჯვების მთავარ შემოქმედზე – იოსებ სტალინზეც.

ყველა ისტორიული პიროვნების პოლიტიკური მოღვაწეობა სავსეა შუქ-ჩრდილებით. იგივე შეიძლება ითქვას სტალინზეც, მაგრამ 1941-45 წლებში ფაშისტური აპოკალიფსის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი პიროვნება წარმოჩნდა აღმატებულ ხარისხში. კომუნისტური იდეოლოგიის უბადლო პროპაგანდისტმა შექმნილ ურთულეს სიტუაციაში შეძლო, დაერწმუნებინა ქვეყნის მრავალეროვანი მოსახლეობა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო "წმიდა ომი". საბჭოთა ხალხმა ირწმუნა მისი მოწოდება: "სიმართლე ჩვენს მხარესაა, ჩვენ გავიმარჯვებთ!". სტალინმა შეძლო, საბჭოთა სახელმწიფო გადაექცია ერთ მუშტად შეკრულ სამხედრო ბანაკად. მას იმედის თვალით შეჰყურებდნენ ფაშიზმის უღელქვეშ მყოფი ევროპის ხალხებიც.

როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, სტალინმა ფრონტებისა და არმიების სარდლებად დააწინაურა უნიჭიერესი მხედართმთავრების მთელი პლეადა (გიორგი ჟუკოვი, კონსტანტინე როკოსოვსკი, ალექსანდრე ვასილევსკი, ივანე კონევი, ანდრეი გრეჩკო, როდიონ მალინოვსკი, ივანე ბაგრამიანი, ნიკოლაი ვატუტინი, ვასილ ჩუიკოვი და სხვ.), რომელიც წარმატებით ართმევდა თავს ურთულეს სამხედრო ოპერაციებს. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული და განხორციელებული მრავალი სტრატეგიული და ტაქტიკური ოპერაცია სამხედრო ხელოვნების ნიმუშად დარჩება. უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობის შესრულების პარალელურად სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანამ წარმატებით შეძლო უმძიმეს პირობებში ეკონომიკის სამხედრო ბაზის შექმნა და ომის გამარჯვებამდე მიყვანა.

უმაღლესი მთავარსარდლის ერთი მახასიათებელი შტრიხი: ომის პირველივე დღეებში სტალინმა ფრონტზე გაგზავნა უფროსი ვაჟიშვილი იაკობი და შვილობილი არტემ სერგეევი. მე-20 არმიის ბატარეის მეთაური არტილერიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი, ერთი ვერსიით, გმირულად დაიღუპა 1941 წლის ივლისში ვიტებსკთან ბრძოლებში. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ). მოგვიანებით, 1943 წელს, ფრონტზე წავიდა სტალინის უმცროსი ვაჟიშვილიც – ვასილი სტალინი, რომელიც წარმატებული მფრინავი იყო. მას ბედმა გაუღიმა და ომის დამთავრების შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდა, ისევე, როგორც არტემ სერგეევი.

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩართული 70-მდე ქვეყნის არც ერთ ლიდერს არ დაუდევს ასე ბედის სასწორზე თავისი შვილების სიცოცხლე.

ტერმინებს – "დიდი სამამულო ომი" და "9 მაისი – დიადი გამარჯვების დღესასწაული"– პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღარ იყენებენ. ზოგან ის კანონმდებლობითაც კი აიკრძალა.

ჩვენი აზრით, ვიდრე საქართველოში ცოცხლობს ომისდროინდელი თაობის თუნდაც ერთი წარმომადგენელი, საკითხისადმი ასეთი მიდგომა, არაეთიკური და მიუღებელია. ეს არ შეესაბამება ქართულ მენტალიტეტს! იმედია, მომავალ თაობებს ეყოფათ სიბრძნე, გონიერება და მოერიდებიან ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც შეაწუხებს ომში დაცემული ასეულათასობით ქართველ გმირთა სულებს. დიახაც, "დიდი სამამულო ომი!" დიახაც, "9 მაისი – დიადი გამარჯვების დღესასწაული!"

სამარადისო დიდება დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ საქართველოს შვილებს!

იაგო გოგსაძე,
გადამდგარი პოლკოვნიკი;
თენგიზ სირაძე,
გადამდგარი პოლკოვნიკი

დიდი გამარჯვება არ უნდა გაფერმკრთალდეს!

1945 წლის 9 მაისი. მოსკოვში წითელ მოედანზე გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი და 9 მაისი დღესასწაულად გამოცხადდა.

პირველი მსოფლიო ომისა და გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ცოტა სიმშვიდემ დაისადგურა და ქართველ ხალხს არ განუცდია ნგრევა და მტრის თარეში, დაივიწყა ხმალი და თოფი. სწორედ მაშინ, ფაშისტური გერმანია მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველომ არ უღალატა თავის ტრადიციას და ქვეყნის გადარჩენისათვის 700 ათასი მეომარი გამოიყვანა, რომელთა შორის 16 ათასი ქალი იყო. მეომართა რიცხვში მეც ვმონაწილეობდი, როგორც რიგითი ჯარისკაცი, სადაც პირნათლად ვასრულებდი მეთაურთა ბრძანებებს, რაზეც მეტყველებს მთავრობის ჯილდოები და მთავარსარდლის მადლობები.

ბედმა ინება და ცოცხალი დავბრუნდი ჩემს კუთხეში. თითქმის 60 წელი ვემსახურე საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

ვინ იცის თითოეულ მებრძოლს თავისი ბედი სად ატარებს, ვის და რას არ შეახვედრებს. ვისაც ბედი არ წყალობდა – 700 ათასი ქართველი მებრძოლიდან 400 ათასი დაიღუპა. მთავარია ისინი არ მიეცნენ დავიწყებას, რადგან ცოცხალი ომის ვეტერანები უკვე დავიწყებულია.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მეორე მსოფლიო ომში რომელმა ისახელა თავი, წარსული ხომ მომავლის გარანტიაა. სწორედ წარსულმა უნდა აღუზარდოს საქართველოს ღირსეული ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს ერთიანობას.

უნდა ვიამაყოთ იმით, რომ საქართველოს მეორე მსოფლიო ომში ჰყავდა 169 გმირი, 2 მარშალი, 36 გენერალი, მრავალი ათასი ორდენოსანი, ოფიცერი და რიგითი მებრძოლი.

საამაყოა ის რომ რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშა აღმართა ქართველმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ, 1945 წლის 30 აპრილს, 21:50 საათზე, რომლის გვერდით იყვნენ რუსი მიხეილ ეგოროვი და უკრაინელი ფოტოგრაფი ევგენი ხალდეი, რომელსაც ევალებოდა აესახა ეს მნიშვნელოვანი მომენტი.

აქ მინდა მკითხველს მოვუთხრო მელიტონ ქანთარიას ნაამბობი ამ მომენტის შესახებ, რადგან ის ჩემი ახლობელი გახლდათ (მისი მეუღლე ჩემი ახლობელი, ჩემი მოგვარე ბარბარე ჯალაღონია გახლდათ, მათ პირველ შვილს კი ჩემი სახელი ჰქვია). აი, რა პრობლემამ იჩინა თავი. წინათ აღმართული დროშა სადღაც გაქრა. იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ მაგიდის წითელი გადასაფარებელი, ნამგალი და ურო ფოტოგრაფის ნამუშევარია.

სამწუხაროა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გმირები დღეს არავის ახსოვს. რატომ არ უნდა იყოს მელიტონ ქანთარიას ძეგლი ქ. თბილისში, რათა მომავალ თაობამ იცოდეს, თუ ვინ იყო იგი?!

ამ წერილით მინდა საზოგადოებამ იცოდეს თუ როგორ ცხოვრობენ საქართველოში სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები. მხედველობაშია მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.

მაგალითად პრეზიდენტ შევარდნაძის დროს მათ შეუზღუდეს ელექტროენერგიისა და ტელეფონით სარგებლობის შეღავათი. „ნაციონალების" დროს კი 2005 წელს, მთავრობის მიერ გათვალისწინებული ყველა შეღავათი გააუქმეს.

მთავრობაში მოვიდა "ქართული ოცნება", რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებდნენ 90 წელს მიღწეული ვეტერანები, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ – რიგით ვეტერანებს სამამულო ომში მონაწილეობის პენსია სულ გაუუქმეს.

აქ გამახსენდა 2005 წელი, როცა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სამგზავრო ტალონების მიღების სიიდან ამოიღო 80 წელს გადაცილებული დევნილი ვეტერანები (რათა გაეკეთებინათ ბიუჯეტის ეკონომია).

ვფიქრობ საქართველოს მთავრობასთან ვიღაცამ შეიტანა თავისი "რაციონალიზატორული წინადადება", რათა ომის მონაწილეთა პენსია გაეთანაბრებიათ მოხუცებულობის პენსიონერებთან. (მქონდა 129 ლარი პენსია ახლა მაქვს 150 ლარი, დახმარება – უცვლელი) აქაც საყალი ხალხის ხარჯზე კეთდება "ბიუჯეტის ეკონომია".

დიდი სამამულო ომის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ისეთ უყურადღებობას არ იჩენენ ომის ვეტერანთა მიმართ, როგორც საქართველოში. ნუთუ, სხვებზე უარესად იბრძოდნენ ქართველი მეომრები? მაგრამ გასაკვირი არაფერია, როცა ამ ომში სულის ჩამდგმელს და ისტორიული გამარჯვების ორგანიზატორს დიდ სტალინს საერთოდ იშვიათად ახსენებენ.

მირიან ჯალაღონია,
აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია "ქალდეას" და "ფაზისის" აკადემიების ნამდვილი წევრი

საამაყო წარსული, რომელსაც ჩვენი მამები ჰქვია

რადგან მამებზე ვწერ, არავინ იფიქროს, რომ რაიმეს გადავაჭარბებ მათი დახასიათებისას. ვეცდები, რომ ნაკლებად სიტყვახვავიანი და მიუკრძოებელი ვიყო, თუმცა, დიდ ცოდვად არც ის ჩამეთვლება, თუ ხაზგასმული მოწიწებით დავხატავ მათი ცხოვრების წესს. გასახსენებელი და საპატივცემულო კი მართლაც უხვადაა...

ახლა, როცა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეებს აღვნიშნავთ, თავს ვალდებულად მივიჩნევ რამდენიმე სიტყვით გავიხსენოთ ის გმირები, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებდნენ საერთო გამარჯვებისათვის!

ბავშვობიდან დაობლებულ მამაჩემს – ილია სანგულიას, თურმე, არც კი ახსოვდა მშობლები, ადრევე მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ნათესავებს გაუზრდიათ. იგი პატარაობიდანვე გამორჩეული ყოფილა წესიერებით, სიბეჯითით.

გალის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ აქტიურად ყოფილა ჩართული რაიონის კომკავშირულ ცხოვრებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის, დაუნიშნავთ გალის რაიონის მოსამართლედ, შემდეგ კი მოხალისედ წასულა დიდ სამამულო ომში, სადაც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დაუბრუნდა ოჯახს. ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა ომში დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგულ თანამებრძოლებზე დარდი. დღე არ გავიდოდა, რომ მათი სახელები მოწიწებით არ გაეხსენებინა...

დემობილიზაციის შემდეგ სამსახური საპატიმრო ადგილების სისტემაში დაიწყო, სადაც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

მოგეხსენებათ, ციხე, პატიმრების შემადგენლობით თუ ბადრაგით, უაღრესად რთული და მრავალმხრივი ფენომენია, სადაც არც ის არის გამორიცხული, რომ პატიმარი ბადრაგზე ბევრად წესიერი და განათლებული იყოს. ამიტომ, აქ მუშაობა განსაკუთრებულ თვისებებს და გულისხმიერებას მოითხოვს, რათა საერთო ენა იქნეს გამონახული ნებისმიერი მენტალიტეტის მქონე სპეცკონტიგენტთან.

მამაჩემიც სიკეთეს სთესდა და ყველას სიკეთის ქმნისკენ მოუწოდებდა, უანგაროდ ეხმარებოდა ბედის უკუღმართობითა თუ შეგნებულად დანაშაულზე წასულ ადამიანებს, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში.

დიდი სამამულო ომის შემდეგ წლებში იყო დრო, როცა, მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის გამო, ზუგდიდში ღამით, ქუჩაზე გავლას ყველა ერიდებოდა. მამა კი თავისუფლად დაიარებოდა, რადგან, მიუხედავად რთული სამუშაოსი, მტერი არ ჰყავდა.

უკიდურესად მომთხოვნი იყო-მეთქი, ვთქვი და სწორედ ამ მომთხოვნობისა და პრინციპულობის გამო გადაწყვიტა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მისი დრანდის ციხის უფროსად დანიშვნა, რადგან იმ პერიოდში ამ საპატიმრო დაწესებულებაში მუდამ არეულობა და უდისციპლინობა სუფევდა. მოკლე ხანში გამონახა საერთო ენა ციხის არეულობის ორგანიზატორ კრიმინალ ავტორიტეტებთან, ჩაატარა მათთან სათანადო აღმზრდელობითი სამუშაო და ციხეში სიტუაცია რამდენიმე კვირაში დალაგდა.

შთაგონების უნარით მამას მე ვადარებ ვიქტორ ჰიუგოს ერთერთი ნაწარმოებ "ოთხმოცდაცამეტი"-ს გმირს სიმურდენს, რომელსაც ავტორი ახასიათებს როგორც საზარლად მართალ კაცს, რომელიც დანაშაულს არ პატიობდა საკუთარ აღზრდილსაც კი, არ ინდობდა არავის, იქნებოდა ის მეგობარი თუ ნათესავი და ყველა დამნაშავეს გილიოტინაზე აგზავნიდა.

ასეთივე მომთხოვნი იყო იგი ოჯახის წევრების მიმართაც და როდესაც ერთხელ უმაღლეს სასწავლებელში მისი პროტექცია დამჭირდა არასაკმარისი აკადემიური მომზადების გამო, "დახმარებაზე" კატეგორიული უარი განმიცხადა და საკმაოდაც დამტუქსა. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი სტიმული გახდა იმისათვის, რომ მეცადინეობა გამეათმაგებინა და მოკლე ხანში ჩავმდგარიყავი მოწინავე სტუდენტთა რიგებში.

მახსენდება მის მიერ მონაყოლი სხვადასხვა ამბები, რომლებიც ხაზს უსვამენ მისთვის ესოდენ დამახასიათებელ კეთილშობილებას.

გალის რაიონში მუშაობის დროს წამოჭრილა საკითხი მისი თანამდებობაზე დაწინაურების შესახებ, რომლის წინააღმდეგ კატეგორიული უარით გამოსულა რაიკომში მომუშავე ერთერთი გავლენიანი პირი, რომელმაც, თურმე, ყალბი, მოგონილი მიზეზების მოშველიებით ყოველი ღონე იხმარა, რათა ეს საკითხი ჩაეგდო.

გავიდა დრო. მოხდა ისე, რომ ამ გავლენიანმა პირმა რაღაც დააშავა, გაასამართლეს და ზუგდიდის ციხეში მიუჩინეს ადგილი. როცა გაიგო, თუ ვინ იყო იქ ციხის უფროსი, შეშინებულა და სასოწარკვეთილს უთქვამს – ჩემი საქმე წასულია, აქედან ცოცხალი ვერ გავაღწევო. მამაჩემს კი პირიქით – თანამშრომლებისთვის დაუვალებია – ამ კაცს შეუქმენით ნორმალური პირობებიო.

გათავისუფლების შემდეგ ეს კაცი მამას შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში, დაჩოქილა და უთქვამს – მე თქვენ გიღალატეთ, ცუდი გაგიკეთეთ, თქვენ კი სამაგიერო პატივისცემით, სიკეთით გადამიხადეთ, ამით მე მორალურად გამანადგურეთ, მიწასთან გამასწორეთო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად ისეთ თანამდებობებზე მუშაობისა, როგორიცაა მოსამართლეობა, ციხის უფროსობა, დასასვენებელ სახლ "აგუძერისა" და სოხუმის აეროპორტის სასტუმროს დირექტორობა, ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ მამაჩემს თავის სიცოცხლეში ქრთამის სახით კაპიკი არსად აუღია. ეს ყველამ იცოდა. თუ ვინმე, შემთხვევით, ქრთამს შესთავაზებდა ისე გალანძღავდა, რომ მიწასთან გაასწორებდა. დღეს ეს შეიძლება დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ჩემი თაობის ადამიანებმა კარგად იციან, რომ მაშინ მორალური მრწამსი ბევრად იყო გაძლიერებული და ადამიანები კანონს არ არღვევდნენ არა მხოლოდ კანონის წინაშე მკაცრი პასუხისმგებლობის შიშით, არამედ მაღალი ზნეობრივი კატეგორიების პატივისცემითაც!

ამრიგად, მამაჩემი იყო დისციპლინის მოყვარული, კანონმორჩილი და, ამ მხრივ, დიდად აფასებდა იოსებ სტალინს, გვიყვებოდა ცნობილი ადამიანების: უინსტონ ჩერჩილის, გიორგი ჟუკოვის და სხვათა გამონათქვამებს სტალინზე.

ჯერ კიდევ, როცა სტალინი ცოცხალი რომ იყო, ჩერჩილი წერდა: "სტალინი არის უაღრესად რთული ადამიანი, მას ძნელად გაუგებ. მას შეუძლია ყოველდღე მოატყუოს რუზველტი და ყოველ მეორე დღეს კი მე". ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწერა ასეთი რამ: "სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს პლანეტაზე, დედამიწაზე შეიქმნა სიცარიელე და ეს სიცარიელე რომ შეივსოს, რომ იშვას ისეთი ადამიანი, როგორიც იყო სტალინი, ამას, ყველაზე ნაკლები, ერთი საუკუნე მაინც დასჭირდება".

აი, ასე აფასებდა იდეურ-პოლიტიკურად სტალინის მოსისხლე მტერი ჩერჩილი ამ დიდ პიროვნებას, ხოლო გიორგი ჟუკოვი მემუარებში წერს: "მე თავი სამხედრო საქმის კარგ მცოდნედ მიმაჩნდა, მაგრამ როცა მე ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციის ჩატარება და წარმატების მიღწევა წარმოუდგენელი მეგონა, ამას სტალინი აღწევდა თავისი რკინისებური დისციპლინით".

აი, ამის შემდეგ ვიღაც უვიცნი, გაუნათლებელნი, ამბობენ: "სტალინმა რა გააკეთა საქართველოსთვისო". წაიკითხონ ცნობილი ადამიანების გამონათქვამები სტალინზე და მიხვდებიან თუ რა გააკეთა მან საქართველოსთვის, მოკავშირე რესპუბლიკებისთვის და, თუ გნებავთ, მთელი მსოფლიოსათვის!

მამაჩემი ბევრს კითხულობდა სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას, თავის სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა რომანი "დაფერფლილი სიყვარული", რომლის გამოქვეყნება უსახსრობის გამო დღემდე ვერ შევძელით.

მამაზე მოგონებების დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ასეთი ადამიანები ბევრი რომ ყოფილიყვნენ ქვეყანაზე, ცხოვრება უთუოდ, გაცილებით უკეთესი და მშვიდობიანი იქნებოდა.

დღეს კი საოცარი დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, სამშობლოსა და ადამიანური ღირსებებისადმი. ბევრ მათგანს არ განუცდია ომის საშინელებები, მაგრამ ფსიქიკა ისე აქვთ დამახინჯებული, რომ უდანაშაულო ადამიანების სისხლის დაღვრასაც კი არ ერიდებიან. მაინც საიდან მოდის ასეთი სისასტიკე?

ალბათ ტელევიზიებიდან, სადაც უხვად აჩვენებენ ფრიად საეჭვო მხატვრული და იდეოლოგიუროი ღირებულებების მქონე კინოპროდუქციას, რომლებშიც უხვად იღვრება სისხლი, ხელოვნურად შექმნილი სუპერგმირები არაფერს ერიდებიან მიზნის მისაღწევად, სადაც უბრალო ადამიანი ადამიანად არავის მიაჩნია. სწორედ ასეთ გარემოში უყალიბდება ფსიქიკა ახალგაზრდას, რომელიც შემდეგ ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ყალბ და ჭეშმარიტად მაღალ ადამიანური ღირებულებებს. აბა, ქვეყნის დამაქცევარ, ლაჩარ სააკაშვილს რომ გმირად შერაცხავ, ქვეყნის ჭეშმარიტად აღმაშენებელი სტალინის სახელს კი ლაფში რომ აღმოფხვრი, იმ საზოგადოებას რომელ ჭეშმარიტ ღირებულებებზე შეიძლება ესაუბრო?!

მოგონებების დედააზრი, დედაარსია სიმართლის დამცველი, სიმართლისთვის მებრძოლი ადამიანების სიცოცხლეში დაფასების და იმ ქვეყნად წასული ადამიანების მოგონების და არდავიწყების იდეა.

ამიტომაც გავიხსენე მამაჩემი რამდენიმე წინადადებით...

მურმან სანგულია,
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან
იძულებით გადაადგილებული

9 მაისი საერთაშორისო დღესასწაულია

ახლოვდება 9 მაისი – მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ, ყველაზე სისხლისმღვრელ, ყველაზე დამანგრეველ, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ტრიუმფალური გამარჯვებიდან სამოცდაათი წლისთავი, რომელშიდაც ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელთა ავანტიურას ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე და ათეულ მილიონობით ჯანმრთელობა ემსხვერპლა, რომ არაფერი ვთქვათ ასეულ ათასობით ქალაქების, სოფლების და ეკონომიკის ნგრევაზე.

და თუ მსოფლიოს მეცნიერები ობიექტურად შეისწავლიან და შეაფასებენ მსოფლიოს ხალხთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, ადამიანის წარმოშობიდან საზოგადოების განვითარებას, იოსებ სტალინის ეპოქამდე, იოსებ სტალინის ეპოქას და იოსებ სტალინის ეპოქის დასრულებიდან დღემდე, აუცილებლად მივლენ ჭეშმარიტ დასკვნამდე, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი – დიდი სტალინი და სტალინიზმი, ეს არის მსოფლიოს ხალხთა ჰარმონიული განვითარება – ერთა შორის მშვიდობა, ძმობა, მეგობრობა, სიყვარული, ჯანმრთელობა, განათლება და დასაქმება – თანასწორუფლებიანი, ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, მატერიალური, კულტურული და სულიერი საყოველთაო სახალხო კეთილდღეობა, საყოველთაო ბედნიერება. ამისათვის დაუნდობელი განადგურება ღმერთის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი კანონების დამრღვევთა და ყოველგვარი ბოროტებისა.

შეისწავლეთ იოსებ სტალინი. იგი გაგიფართოებთ მსოფლმხედველობას, ჩაგახედებთ ბუნების მრავალ საიდუმლოებაში, გაგასუფთავებთ ურთიერთ შურის, მტრობისა და ბოროტებისაგან, შეგაყვარებთ სწავლას, შრომას, ერთმანეთს, გაგიხალისებთ ცხოვრებას, გაგიხალისებთ სიცოცხლეს, თავს იგრძნობთ საზოგადოების ღირსეულ წევრად, შეგაყვარებთ სამშობლოს, ისტორიას და მის აწმყოს, იზრუნვებთ გამრავლებაზე და მომავლის კეთილდღეობაზე. სრულად შეიგრძნობთ ამ ქვეყნის ბედნიერებას.

შეისწავლეთ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი – დიდი სტალინი – მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ ერთხმად აღიარებული, ღმერთკაცად წოდებული, კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადამრჩენელი, მსოფლიოს მშრომელ ხალხთა მონობისა და ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელი, სწორუპოვარი ბელადი, მამა და მასწავლებელი, უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის მწვერვალი, უდიდესი სამხედრო სტრატეგი და ტაქტიკოსი, მსოფლიოში ყველაზე უდიდეს მხედართმთავართა შორის უდიდესი მხედართმთავარი – გენერალსიმუსი, კაცობრიობის იმედი, სისხლითა და ხორცით ქართველი, ჭეშმარიტი ქრისტიანი – მართლმადიდებელი, საქართველოს უკვდავ მეფეთა, პატრიარქთა და საერო თუ სასულიერო გმირ მამულიშვილთა სიბრძნისა და გამოცდილების განმასხივოსნებელი, ქართული ენისა და კულტურის, უნიკალური ქართული ადათ-წესების, ზნეობისა და მორალის უბადლო დამცველი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი!

რევაზ კიბორძალიძე (ჭაშლელი),
პოლკოვნიკი, შრომის, ომისა და
სამხედრო ძალების ვეტერანი

ქართული სამეგა კაცობრიობის სულია

ბრძენი რუსთაველი მიგვანიშნებს: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“.

იქვე გვაფრთხილებს: – თუ ქაჯნი დევთა შეებნენ იყოს დღე იგი ძნელიო“, უმისჟამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო“.

სულმნათი იოანე ზოსიმე საიდუმლოს გვიცხადებს, – „და ესე ენაი მძინარე არს დღე-სამ-ომდე და სახარებასა შინა ამა ენასა ლაზარე ჰქვიან“.

მეგობრებო, მოვერიდები თქვენს წინაშე პირადი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამომზეურებას, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ წმიდა წერილის სწავლებისა და წმიდა მამათა ეკლესიის მოძღვართა იონე ოქროპირის, ანდრეა კესარიელის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის, ნეტარი თეოდორიტეს, ნეტარი ავგუსტინესა და სხვათა განმარტებათა მიხედვით ვიმსჯელებთ.

დედამიწაზე ბოლო პერიოდში განვითარებულმა მატერიალურ-იდეოლოგიურ პროგრესმა სრულებით დააშორა ადამიანი რელიგიურ იდეალისტურ მეცნიერებას.

არ მეგულება დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელიც სულის სიღრმეში არ ფიქრობდეს ისეთ მარადიულ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანთა მოდგმის წარმომავლობა და წარმავლობა, ანუ საიდან მოვდივართ, სად ვართ, და სად მივდივართ ყოველივე დედამიწაზე არსებულნი.

პლანეტა დედამიწაზე მაცხოვარ იესო ქრისტეს მოვლინებიდან 2015 წელია გასული, ბიბლიური ქრონოლოგიითა და კოსმიური ჟამთააღრიცხვით ეს ის დროა, როცა წარსულის საუკუნეების სიღრმეებში მოღვაწე გენიალურ ადამიანთა მიერ დაწერილი და ნაწინასწარმეტყველები, წინასწარმეტყველური წერილების სამყაროში რეალიზაცია ხდება.

სწორედ ამ თემაზე გვექნება საუბარი, თუმცა მატერიალურად განწყობილმა ადამიანთა ჯგუფმა შეიძლება არ მიიღოს არსებული ჭეშმარიტება, მაგრამ რა ვქნათ ფაქტი ფაქტად რჩება.

განვიხილოთ მათეს სახარების 24-ე თავი, სადაც მოცემულია „სახარების ქადაგება მთელს მსოფლიოში“.

მოწაფეთა კითხვას – რა იქნებოდა ნიშანი მისი მოსვლისა და სამყაროს აღსასრულისა, იესო ქრისტემ უპასუხა: „გაფრთხილდით რომ არავინ შეგაცდინოთ, ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ.

ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს: იცოდეთ ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.

ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება შიმშილი და მიწისძვრები ადგილ-ადგილ.

ხოლო ყოველივე ეს მშობიარობის ტკივილთა დასაწყისია. მაშინ გადაგცემენ თქვენ სატანჯველად და დაგხოცავენ, და მოგიძულებთ ყველა ერი ჩემი სახელის გამო.

მაშინ ცდუნდებიან ბევრნი; ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ერთი-მეორეს.

მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. ბოლომდის დამთმენი გადარჩება.

ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დასამოწმებლად აი, მაშინ დადგება აღსასრული“. (მათე)

ამგვარად, ანტიქრისტე სამყაროში მაშინ გამოაშკარავდება, როცა სახარების ქადაგება მთელს მსოფლიოში გავრცელდება. წმიდა იონე დამასკელი ამბობს: „იესუ ქრისტე ღმერთის მოწინააღმდეგე იუდეველების სამხილებლად, სახარების ყველა ხალხისათვის ქადაგების შემდეგ მოვა“. (წიგნი მე-4, თავი მე-7).

ქრისტიანობის მთელს მსოფლიოში გავრცელებას დავითიც ამოწმებს: „ყოველნი წარმართნი ჰმონებდნენ მას“. (ფსალმუნი 71, 11).

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ სახარება ყველა ხალხს უკვე მოციქულებმა უქადაგეს, მათ ვუპასუხებთ შემდეგს:

უწინასწარმეტყველა რა თავის მოწაფეებს სახარების მთელს მსოფლიოში ქადაგება, უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ დაამატა, რომ ამის შემდეგ დადგებოდა ჟამი სამყაროს აღსასრულისა.

მოციქულთა დროიდან საუკუნეები გავიდა, მაგრამ სამყარო, ღმერთის დიდი მოთმინების წყალობით, დღესაც არსებობს, ე.ი. უფალი არა მოციქულთა, არამედ სხვა ქადაგებაზე ლაპარაკობდა, რომლის ბოლოც საშინელი სამსჯავრო იქნება.

დიახ, მეგობრებო, მსოფლიოში მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა, აღსრულდა ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველება, რომ საქართველოში, მარიამ ღვთისმშობლის ქვეყანაში 1996 წლიდან დღემდე დაიწერა და გამოიცა ძველი და ახალი აღთქმის კოდირებული ინფორმაციისა და საიდუმლო მეცნიერული რელიგიის გამღებ-გამშიფრავი ცამეტი (13) წიგნი, რომლებიც გადაეგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა საგანამანათლებლო ცენტრებს, რომლითგანაც მოსალოდნელი იყო საპასუხო არგუმენტები, მაგრამ მოხდა პირიქით, – სამარისებური სიჩუმეა ირგვლივ, მხოლოდ რუსულ-სლავურ სახელმწიფოში შეიმჩნევა დაინტერესება.

თქვენის ნებართვით ვაგრძელებთ ღღევანდელი საქართველოსა და ღვთაებრივ ბიბლიის ტექსტს შორის არსებულ იდენტურ პარალელთა შედარებას.

„მოვედი, რომ გაგაგებინო, რა ბედი ეწევა შენს ერს უკანასკნელ ღღებში, რადგან ეს ხილვაც მომავალ ღღეებს შეეხება!“ (დან. 10,14)

„შენი ერისთვის და შენი წმინდა ქალაქისათვის სამოცდაათი შვიდეულია დადგენილი შეცდომების დასაფარავად, ცოდვათა დასაბეჭდად, უკეთურების დასაფარავად, სამარადისო სიმართლის დასამყარებლად, ხილვისა და წინასწარმეტყველების დასაბეჭდად და წმიდათა წმიდის საცხებად.

ოდონდ იცოდე და შეიგნე: მას შემდეგ, რაც გამოვა ბრძანება იერუსალიმის აღსადგენად და ასაშენებლად, შვიდი შვიდეული და სამოცდაორი შვიდეული გავა ცხებული მეფის მოსვლამდე. აღდგება ქუჩა და უბანი, ოდონდ ძნელბედობის ჟამს.

სამოცდაორი შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული მაგრამ ბრალი არ ექნება, ქალაქსა და საწმიდარს დაანგრევს მომავალი მთავრის ხალხი და მისი აღსასრული წარღვნასავით იქნება; ომის ბოლომდეა გადაწყვეტილი გატიალებანი.

იგი მრავალთან განამტკიცებს აღთქმას ერთ შვიდეულში, შვიდეულის ნახევარში შეცვლის მსხვერპლსა და ძღვენს, სიბილწის ფრთებზე იქნება გამტიალებელი, ვიდრე განგებული დრო არ ეწევა გამტიალებელს.“ (დან.9,24).

„მისი მეფობის პირველ წელს მე, დანიელმა, წიგნებიდან შევიტყვე ამ წლების რისხვა, რომლის შესახებაც იყო უფლის სიტყვა იერემია წინასწარმეტყველის მიმართ, რომ სამოცდაათი წელიწადი უნდა შესრულებოდა იერუსალიმის ნანგრევებს“. (დან 9.2)

„დანიელს არ განემარტა როგორც შენ განგიმარტავ ახლა, აჰა ღღეები და დამყარდება დედამიწაზე სამეფო, რომელიც ყველა ადრინდელ სამეფოზე საშინელი იქნება, გამეფდა მასში თორმეტი მეფე ერთი მეორის მოყოლებით, მეორე მეფე დაიწყებს მეფობას და ამ თორმეტში ყველაზე მეტხანს ეპყრება ძალაუფლება“. (II ეზრა 11.12).

„სამი უძრავი თავი რომ იხილე, ასეთია ამის განმარტება: უკანასკნელ ხანებში აღაზევებს უზენაესი სამ მეფეს, უფრო დიდი თავი რომ იხილე გაუჩინარებული ასეთია ამის განმარტება: ერთ-ერთი მათგანი თავის სარეცელზე მოკვდება, თუმცა წამებით. ამ დანარჩენ ორს კი მახვილი შეჭამს, ერთის მახვილი მეორეს შეჭამს“. თუმცა ისიც მახვილით დაეცემა უკანასკნელ ხანებში (III ეზრა 12.27)

ვფიქრობ, საკმარისია ფაქტების მოყვანა, დანარჩენი თავად იხილეთ ბიბლიაში.

როგორც ვხვდებით ბიბლიისა და წმიდა წერილების ბოლო ჟამის წინასწარმეტყველური შინაარსის მთავარ ეპიცენტრში საქართველო და ქართველი ერი ფიგურირებს.

7-8 სს ჩვ. წწ. როდესაც დანიელ წინასწარმეტყველი მოღვაწეობდა რომელ ერსა და ეთნოსის ხალხს შეეძლო ემსჯელა ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს არსებობაზე? ჩვენგან უკუ ათვლით 32-33 საუკუნით ადრე რომელი რჯულის მიმდევარ ხალხს შეეძლო დაეწერა და დაეწესა ცხოვრების ნორმად ათი მცნება? და საერთოდ კაცობრიობის რომელი გენეტიკური ჯგუფის წარმომადგენელია თვით მაცხოვარი იესო ქრისტე!

აი, კითხვა, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციის ცნობიერ-შემეცნებით მწვერვალზე დგას და ელოდება პასუხს, რომელიც ბრძენმა რუსთაველმა უკვე გასცა: „ამ სამესა დიდებულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“

ყოველივე ზემოთაღნიშნული ბიბლიური შთაგონებიდან გამომდინარე უნდა მივხვდეთ რომ ახლოა ჟამი.

ძველი და ახალი აღთქმა (ბიბლია და სახარება) ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროსა და კაცობრიობის ცივილიზაციის უტყუარი მემატიანეა. ქარაგმულ-ალეგორიული ჟანრით ნაჩვენებია კაცობრიობის ცივილიზაციის საწყისები.

ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმაში, წმიდა წერილებში, ფსალმუნებში ლაპარაკია მხოლოდ ადამიანის ცნობიერ განათლებასა და სულიერ ამაღლებაზე „ღმერთმა ადამი ღვთის მსგავსად შექმნა“. (დაბ. 5.1) იმ ფონზე როდესაც დედამიწაზე არ არსებობს არავითარი ცოდნა განათლება, ღმერთი ქმნის თავის ხატსა და მსგავსს, რომელიც დედამიწაზე არსებული სრული ცნობიერი სიბნელის ფონზე ქმნის პირველ მარტივ-პრიმიტიულ რჯულს. (მიწიერ ცხოვრების წესს) ეს არის პირველი მსოფლიო განმანათლებელი პატრიარქი „ადამი“ რომლის სრული ხანი იყო ცხრაას ოცდაათი წელი.

„ადამს შეეძინა თავისი მსგავსი და ხატი, და უწოდა სახელად შეთი“ (დაბ 5.3)

„იცოცხლა შეთმა ას ხუთი წელი და შვა ენოში“. (დაბ. 5,6)

„სრული ხანი ენოშისა იყო ცხრაასთორმეტი წელი და მოკვდა“ (დაბ 5,7)

„იცოცხლა ენოშმა ორმოცდაათი წელი და შვა კაინანი“ (დაბ.1.9)

„სრული ხანი ენოშისა იყო ცხრაას ხუთი წელი და მოკვდა (დაბ 1.10)

მეგობრებო, აქ ლაპარაკია ადამიანთა მიერ შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამის არსებობისა და მის ხანგრძლივობაზე, რომელიც მომდევნო ადამიანის მიერ შექმნილი, უფრო მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაცვლებით ხდება.

მაგალითისათვის: დიდი ქართველი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან 103 წელია გასული, მაგრამ მისი იდეა და საგანმანათლებლო პროგრამა დღემდე ცოცხალია. (აი თურმე, რა იგულისხმევა სინამდვილეში).

ადამიანმა ბიბლია და სახარების წაკითხვა რომ შესძლოს, უნდა ფლობდეს საიდუმლო მეცნიერულ რელიგიას.

ძველ აღთქმაში მოცემულია ადამიდან ქრისტემდე ოცდასამი კაცობრიობის განმანათლებელი ქურუმ-პატრიარქები, რომლებიც ერთმანეთის მონაცვლეობითა და ზედშენებით ქმნიდნენ კაცობრიობის ცივილიზაციისათვის შესაფერის საჭირო საგანმანათლებლო სისტემას, მათ შორის აღსანიშნავია შვიდი უდიდესი განმანათლებლები; 1. ადამი, 2. ნოე 3. აბრაამი, 4. ისააკი, 5. იაკობი, 6. მოსე და მეშვიდე იესო ქრისტე.

ზემოხსენებული ჭეშმარიტი ბიბლიური ფაქტიდან გამომდინარე შეგვიძლია მარტივი მათემატიკური შეკრებითობით გავიგოთ თუ რამდენი ათასწლეულს მოიცავს მსოფლიო განათლების სისტემა.

იმ შემთხვევაში თუ პირველი მსოფლიო პატრიარქის ადამის მიერ შექმნილი მარტივი რჯულის სამოქმედო პროგრამისა და მას აქეთ ქრისტემდე ოცდასამ ქურუმ-პატრიარქების დედამიწაზე საგანმანათლებლო სისტემის პროგრამების ხანგრძლივობას შევკრებთ, მივიღებთ თექვსმეტათას წელს, სწორედ თექვსმეტი ათასი წელი გვაშორებს თანამედროვეობას პირველი მსოფლიო განმანათლებელ ქურუმ-პატრიარქამდე, ანუ მსოფლიო განათლების სისტემა თექვსმეტი ათასი წლისაა!

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პატრიარქ ადამის მიერ შექმნილ-შედგენილმა მონოგამური ოჯახის მარტივმა რჯულმა განიცადა ცხრაჯერადი რეფორმა-რეორგანიზაცია პატრიარქ ნოემდე, პატრიარქ ადამიდან დაახლოებით რვა ათასი წლის შემდეგ ევლინება სამყაროს პატრიარქი „ნოე“, დედამიწაზე პირველი კლასიკური რჯულის ავტორი, რომელიც მსოფლიოში „ეფუთის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

განვიხილოთ სიტყვა-სიტყვით ბიბლიური რამოდენიმე სტროფი.

„აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს... (ანუ კაცობრიობას მისცა მეცნიერულ-მართლმადიდებლური განათლების სიტემა) – ესენი იყვნენ ნოეს შვილები – კიდობნიდან რომ გამოვიდნენ სემი, ქამი, იაფეთი. ქამი იყო ქანაანის მამამთავარი, ეს სამი იყო ნოეს შვილი, მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული (ანუ ქამიტური ენით – სემიტური ენით – იაფეთური ენით მთელმა კაცობრიობამ ისესხა რჯული და მიიღო განათლება) დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი (ვ-ენა-ხი ნიშნავს ვინაობისა და მეცნიერული განათლების შემოქმედ ენას: ქამს, სემს და იაფეთს) შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში (ღვინოში იგულისხმევა მოძღვრება, ხოლო კარავში – სასულიერო ინსტიტუტი) დაინახა ქამმა, ქანაანის მამამთავარმა მამის სიშიშვლე და შეატყობინა თავის ორ ძმას. (დაბ 9,22) (ანუ ქამიტურ ენაზე დაეწრა ნოემ რჯულის წიგნი, ამიტომ ქამმა შეატყობინა თავის ძმებს, სემიტურ და იაფეთურ ენას მამის – ნოეს წიგნის შინაარსი).

გენიალური ქართველი მეცნიერის, ნიკო მარის განმარტებით: – თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგი ჩამოსახლებული სხვა ერებს, აღმოსავლეთ საქართველო ლაპარაკობს იაფეთურად.

იმ შემთხვევაში თუ აღმოსავლეთ საქართველო შეესაბამება იაფეთური ენის დიალექტიკას, მაშინ სემი კოლხური ენა და ქამი სვანური ენა ნოეს შვილები და სამნი ძმანნი ყოფილან. ამინ! რომელსაც გვიმტკიცებს გენიოსი რუსთაველი: – „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჯით ერთმანეთის მონობა“.

მურმან ხუბულავა,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოხუმიდან დევნილი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, ბატონი

თემურ ბუკია

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

“თავი ამიწიეს და მაყურებინეს, როგორ ხვრეტდნენ ომეხს” – როდის გაიხსნება აფრასიძეების საქმე?!

“ყველაზე სასტიკი და საშინელი მეთოდებით გულუას სპეცრაზმელები მოქმედებდნენ.”

“უკრაინაში მიდიოდა, “ნაციონალების” და ყველა საზიზღარის თავშეყრის ადგილი ხომ იქაა და ალბათ მის პატრონებთან მიდიოდა. იქნებ გაქცევასაც აპირებდა, ვინ იცის?”

“ფილტვში ვიყავი დაჭრილი. თავი ამიწიეს და მაყურებინეს, როგორ ხვრეტდნენ ომეხს – ნიღბიანმა სპეცრაზმელმა მას მთელი მჭიდი დააცალა გულმკერდის არეში, მთლად დაფლითეს. დავინახე, როგორ იღებდნენ ამ ყველაფერს ვიდეო კამერით. მე ვერტმფრენით გადამიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში და ბორკილებიც არ მომხსნეს, ისე გამიკეთეს ოპერაცია, მეტიც, ანესთეზიის და ყოველგვარი გამაყუჩებლის გარეშე გამჭრეს და გამკერეს.”

ეს არის ამონარიდი გოჩა აფრასიძის 2012 წელს გაზეთ **“ყველა სიახლისთვის”** მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც ის 2004 წლის სპეცოპერაციის დეტალებს იხსენებდა.

ა.წ. 22 აპრილს კი მთავარ პროკურატურაში აფრასიძეების საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 7 საათის განმავლობაში იკითხებოდა გულუას სახელობის სპეცრაზმის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ ქაჯაია. მას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ უსაუბრია, რასთან დაკავშირებით დაიბარეს მოწმის სტატუსით დასაკითხად, თუმცა დაადასტურა ინფორმაცია, რომ დაკითხვაზე გამოცხადებამდე ის უკრაინაში გამგზავრებას აპირებდა, საიდანაც მისი დაღუპული მეგობრი და თანამებრძოლი უნდა გადმოესვენებინათ. სამართალდამცველებმა ზურაბ ქაჯაია პროკურატურაში პირდაპირ აეროპორტიდან წაიყვანეს. ქაჯაიას დაკითხვა მე-2 დღესაც გაგრძელდა.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 24 მარტს, მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სისხლიანი სპეცოპერაცია ჩატარდა, რომელსაც მაშინდელი შს მინისტრი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა. სპეცოპერაციის შედეგად მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები დაიღუპნენ.

ბარამიძის თქმით, ევგენი და ომეხ აფრასიძეები იმიტომ დაიღუპნენ, რომ მათ ტყვიამფრქვევებიდან და ყუმბარმტყორცნიდან გაუხსნეს ცეცხლი სპეცდანიშნულების რაზმს.

ფრაგმენტი 2012 წლის ინტერვიუდან:

გოჩა აფრასიძე: – ეს ბრალდებაც აბსურდულია. ჩვენ არც საბრძოლო რესურსი გვქონდა და არც საშუალება. როგორ შეიძლებოდა ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა, როდესაც ოჯახში იყვნენ ქალები და 4 მცირეწლოვანი ბავშვი? ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაგვიხსნეს ცეცხლი – ისროდნენ როგორც ვერტმფრენებიდან, ისე მიწიდან. მამაჩემი ხელებაწეული გავიდა აივანზე და სთხოვდა, ცეცხლი შეწყვიტეთ, სახლში ქალები და ბავშვები არიანო. სწორედ ამ მომენტში მოხვდა სნაიპერის ნასროლი ტყვია. რამდენიმე წამში ოთახში ასაფეთქებელი შემოაგდეს, რის შემდეგაც გონება დავკარგე. როდესაც გონს მოვეგე, მე და ჩემი ძმა ომეხი ბორკილდადებული ვიყავით. მე ფილტვში ვიყავი დაჭრილი. თავი ამიწიეს და მაყურებინეს, როგორ ხვრეტდნენ ომეხს – ნიღბიანმა სპეცრაზმელმა მას მთელი მჭიდი დააცალა გულმკერდის არეში, მთლად დაფლითეს. დავინახე, როგორ იღებდნენ ამ ყველაფერს ვიდეოკამერით. მე ვერტმფრენით გადამიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში და ბორკილებიც არ მომხსნეს, ისე გამიკეთეს ოპერაცია, მეტიც – ანესთეზიის და ყოველგვარი გამაყუჩებლის გარეშე გამჭრეს და გამკერეს. ომეხს ის თითი, რომელზეც ბეჭედი ეკეთა, მოკვეთილი ჰქონდა... გამომძიებელი ომეხის ოქროს ნივთებს შმაგის ცხვირწინ უტრიალებდა. ეს ისეთი ამაზრზენია, არ მინდა ამის გახსენება

დოდო სიდიანი-აფრასიძე, ევგენი აფრასიძის ქვრივი: – როგორც ვიცი, ზურაბ ქაჯაია აეროპორტში დააკავეს და იქიდან წაიყვანეს დასაკითხად. უკრაინაში მიდიოდა, “ნაციონალების” და ყველა საზიზღარის თავშეყრის ადგილი ხომ იქაა და ალბათ მის პატრონებთან მიდიოდა. იქნებ გაქცევასაც აპირებდა, ვინ იცის?

– ამ ადამიანის ვინაობა აქამდეც იყო თქვენთვის ცნობილი? როგორც ამბობენ, გულუას სახელობის სპეცრაზმი მონაწილეობდა სპეცოპერაციაში, კონკრეტულად რა ქმედება მიეწერება მათ და იყო თუ არა ადგილზე ეს ადამიანი?

– ამ ამბის ყველა შემსწრე იმას ამბობდა, რომ ყველაზე სასტიკი და საშინელი მეთოდებით გულუას სპეცრაზმელები მოქმედებდნენ. მათ კისერზეა ყველაფერი, ყველამ ერთად ჩაიდინა უსასტიკესი დანაშაული და ყველას წვლილს ალბათ გამოძიება დაადგენს. როგორ არ ვიცოდი, რომ ქაჯაია ხელმძღვანელობდა სპეცრაზმს.

– ქაჯაია ჯერჯერობით მოწმის სახით იკითხება და როგორ ფიქრობთ, დაეკისრება პასუხისმგებლობა?

– რა თქმა უნდა, მასაც და ყველა დამნაშავეს მოეკითხება – დაწყებული სააკაშვილით და რიგითი სპეცრაზმელით დამთავრებული. ყველამ თავისი შესაბამისი სასჯელი უნდა მიიღოს. სააკაშვილს მათთვის უთქვამს, აფრასიძეები რომც დაგნებდნენ, მაინც ამოხოცეთო. ბარამიძემაც გაიმეორა, რომ სააკაშვილი იძლეოდა ბრძანებასო, მაგრამ ასეთი საშინელება მაინც როგორ უნდა ჩაედინათ?!

– ბარამიძე ჯერ არ დაუკითხავთ. მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შოთაძემ განაცხადა, გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგრამ ამ ეტაპზე ბარამიძის დაკითხვის საჭიროება არ არსებობსო...

– ვიცი, რომ გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს და 100-მდე მოწმეა დაკითხული. გივი თარგამაძე გამოვიდა და თქვა, ქაჯაია დასაკითხად მიიყვანეს და პროკურატურას უნდა, მაინც და მაინც ბარამიძე დაასახელოსო. ამას რად უნდა ლაპარაკი, რომ ბარამიძე ხელმძღვანელობდა სპეცოპერაციას? მართალია, სააკაშვილი იძლეოდა ბრძანებას, მაგრამ ის ხომ შემსრულებელი იყო. ხომ შეიძლებოდა, ნორმალურად და უსისხლოდ ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია და ცოცხლად აეყვანათ მამა-შვილი? ომეხი სასიკვდილოდ დაჭრეს, ევგენი კი ცოცხლად ამოწვეს. ეს რაში სჭირდებოდათ?! განა ყველა დეტალს სააკაშვილი კარნახობდა ბარამიძეს? ისიც იმან უკარნახა, მიცვალებულს თითი მოაჭერით, გაძარცვეთ და ჯერ კიდევ ცოცხალი ევგენი ცეცხლში დახრუკეთო?

ყველაფერს მთელი სოფელი ხედავდა და ამას სად გაექცევა ბარამიძე? პირველი ის ხალხია ციხეში შესაყრელი, ვინც ძვლებზე ვითომ ექსპერტიზა ჩაატარეს და მე-18—19 საუკუნეში გარდაცვლილების ძვლებზე დაასკვნეს, 4 წლის წინ გარდაცვლილების ძვლებიაო.

– თქვენ არასდროს გითქვამთ, თუმცა საზოგადოებაში აქტიურად განიხილება საკითხი, რომ აფრასიძეებზე იერიშის მაპროვოცირებელი ის იყო, რომ ომეხი ლევან კალაძის გამტაცებლების შესახებ ინფორმაციას ფლობდა.

– როგორც მე და თქვენ არაფერი ვიცოდით, ისე ომეხმა იცოდა გამტაცებლების შესახებ. თუმცა შესაძლოა, სპეცოპერაციის დამგეგმავებს ეგონათ, რომ ომეხმა იცოდა მათ შესახებ. ამ სისასტიკის უკან სწორედ კალაძის გამტაცებლები დგანან, რომლებიც შიშობდნენ, მართლა რამე არ იცოდეს და არ დაგვასმინოსო. ომეხს საიდან უნდა სცოდნოდა რამე, როცა ფეხი არ გაუდგია ეცერიდან. ზოგადად, ომეხი არავის ენდობოდა და თავისთვის იყო ჩაკეტილი. მას არავისთან ჰქონდა ისეთი კავშირი, რომ სცოდნოდა, ვის ჰყავდა გატაცებული ბიჭი. იმ დღეებში ჩვენთან ჩამოსული იყო გამომძიებელი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელმაც დაითანხმა ომეხი, პოლიციას ჩაბარებოდა. ეს რომ შეიტყვეს, მისი ცოცხლად აყვანა აღარ აწყობდათ. თვითონ აღიარონ ყველაფერი, ველოდები.

ნანა ფიცხელაური,
ამბები.ge

ლაჩარ სააკაშვილს კვლავ შეეშინდა წინა ხაზზე გამოჩენის და ამჯერად უკვე უკრაინაში ჩაისვარა!

ექვსი სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ ძებნილ № 08.08.08 დამნაშავე მიხეილ სააკაშვილს, ისევე როგორც 2008 წელს, შეეშინდა ომთან პირისპირ შეჩეხების, თუმცა უარი არ უთქვამს აგრესიულ რიტორიკაზე! როგორც ამას წინათ საქინფორმი იუწყებოდა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად კი უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი მიხეილ სააკაშვილი „ანტიტერორისტული ოპერაციების ზონაში“ ჩავიდა ლუგანშჩინაში.

“საქართველოს სირცხვილად” სახელდებული გადამდგარი ქართველი ლიდერის ვიზიტი ბოლომდე საიდუმლოებით იყო მოცული და მედიის მიერ არ ანონსირდებოდა. მიხეილ სააკაშვილი ბრძოლების ადგილზე მრავალრიცხოვანი დაცვით ჩავიდა, თუმცა, როგორც თავის დროზე საქართველოში, მხარეთა შეჯახების ადგილას ჩასვლის უბრალოდ შეეშინდა და ზურგში მდებარე არტემოვსკით შემოიფარგლა! იქ მან მოინახულა დონბასში მებრძოლი ქართველი დაქირავებული მებრძოლების ქვედანაყოფი. უკრაინულმა მედიამ განაცხადა, რომ გამყოფ ხაზზე სააკაშვილი არ ჩავიდა საარტილერიო და სნაიპერული ცეცხლის საფრთხის გამო, თუმცა იმ დღეს არავითარი სროლა და საბრძოლო შეტაკებები ლუგანშჩინაში, ცეცხლის კოორდინაციისა და კონტროლის ცენტრის მიერ, სადაც შედიან უკრაინის სამხედრო ძალების, ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების, რუსეთისა და ეუთოს წარმომადგენლები, დაფიქსირებული არ ყოფილა...

საზოგადოება უკვე შეჩვეულია კურდღლად ქცეული სააკაშვილის სამარცხვინო სილაჩრეს, და მის უაზრო ბაქი-ბუქს, მაგრამ სწორედ ლაჩარი ადამიანია საშიში ექსტრემალური სიტუაციისას, რადგან მის მიერ წამოწყებულ პროვოკაციას სწორედაც რომ ლაჩრულად გაერიდება, რამაც შეიძლება უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი გამოიწვიოს!

ამიტომ, დროულად უნდა მოუხმონ ჭკუას საკუთარი ლანდის მოშიშარი სააკაშვილის ბოდვით იდეებს აყოლილმა ადამიანებმა და საქართველოსათვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ან მათი ლიდერის მიერ გაჩაღებულ სამარცხვინო სამოქალაქო ბრძოლის ფრონტზე დაასრულებენ სიცოცხლეს, ან ციხის კამერებში!

პოეზიის კუთხე

მაჟრა მულაშა ვამოდგორუა

შური, მუშენ რე ცაშა მეული?
კინე შილებე... აშო მიკირთი,
სო მიკახომე სქანი პეული,
ომორგუალეთ მუჭო გინირთი?!
ქიმთაპუროსკი დიხას გორჩქინა,
მოიგორუანც სიხოლო თარა,
ართ წუნ დეხანი, ზიტყვას გოჩინა,
ჟინცაშ მუნაფა ვარე ნაშარა.
მელახიშ ჭვემათ მუშენ ერჩქინდი,
ირ ბორჯის ხუჯი მუჭო გათირუ,
წოხლე მაფალუ შურიშ ნერჩი რდი,
ამდდა დინაფილ რინაშ მახირუ.
ზუდას გიფიორ ჩქიმი დდალეფი,
ეუქექუანც მინშა ბორია,
სქირაფილი რე სქანი ღალეფი,
ფსუა ვეფაჩე, ვარე დორია.
უჩინებ შარას გეხუნქ კინენი,
ვაგორხველგნო წანაშ წყორუა,
ჩქიმ ღურე შურო ვემკიჯინენი,
მაჟრა მულაშა ვამოდგორუა.

ვამიჩქ, ღურუ მუჭამც მოურც

დოკარწელე ნარღით გური,
ბეა ვერწყებე კარაკანი,
ვოი, რინა უბედური,
მეტებული კარ-აკანი.
შური ჰამო ორთას გორუნც,
ჩილამური გოპუნც დვასგ,
ვამიჩქ, ღურუ მუჭამც მოურც,
ბორჯი მუ შვანც მიდონანსგ.

ჩარცხაშ სონეტი

ხეშქაგურც მაფგ გეჭარილი ჩქინი
გორჩქინა,
ცათე ქიანას ანთასიშახ ჯოხო
დიბთირე,
ართი ზიტყვა დო სქან გურიში კო-
რთხოს დიმნტირექ,
მორო ბრელ ქოფშუ ანდანერი
ტყურაშ მოჩინა.
სარკეს ვუჯინექ, სქანი სახე
დინივარკალგ,
დიო წირფე რექ, ვეკუწიკგქ დიო ორ-
ინჯეს,
ქოთქვი, თე წანეფქ უჩქიმობათ მუჭო
გორჯგინეს,
პიორეფცალო ცოროფაქგ მუშენ
ვაფალუ.
ვემიბკორინე ბორიაშა ნარღიშ
ცუნაფა,
სი სოლე იდი, გინგოჯინე ნამ ცაშ
მუნაფა?
სი – ჭალაბერი, უბადობა, ალბეთ,
გოჭარეს,
მა ჩარცხა ვორექ, სამანჯელი ბრელი
ვამიღგ,
ანწ ქგდმაცუნი, თაქ შურდგუმა
შუროთ ვაღირგ,
მინშა შქასერცგ ვათირანცგ ჰამო
ოჭმარე.

დორთაშ სონეტი

ჰა, ჩქით დიბრთითგ, ეკონია ცუდე
დობგორით,
მარა თე დდაშახ ორინჯექგ გვალო
გუმათუ,
დიო თიშქვი რდგ, თირბორიაქ უკულ
გუმათუ,
ქგგმოკირესგ თე წანეფქგ უჩა
ბოდორი.
ასე სვანჯი რე, ვეგიწკურა ამდდა
თოლეფი,
მოუერუელერი დგმართუნა კინე ართ
ხანა,
ფსუალეფიშე აკოთანას
ქგგმოფართხანა,
დიდაქირსეში ხვარჩალია მაჭირხ-
ოლეფი.
ბორჯიშ მონძე რექ – დამიცანი
გურიშ დარანა,
დობერა-ქუცონ, ირფელ ართო კვარ-
ჩხშე ირთუაფ,
ბდინგთ, უმინჯეთ ღურუშ აკანც
ქიმკმოჭარანა.
დორთა ნწალე რე, ვამორთენი
გვალო სანწალე,
თქუანა: ფარანქ თინეფ ხოლო
ეკართინუა,
ვარ-დო, თეშ რინას თე ქიანას მითა
გაცალენს.

გიორგი ხულორდა,
2014 წანა, 7 ფურთუთა.
ოფუტე სალხინო

გასული საუკუნის ისტორიის გამყალბებლები

სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა: **„საქართველოს მთავრობამ 9 და 26 მაისის აღნიშვნის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება საშუალება, მონაწილეობა მიიღოს როგორც 9 მაისს, ისე 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებში. ვფიქრობ, ორივე თარიღი სახელმწიფო ზეიმის ტოლფასი გახდება. 26 მაისს აღლუმი არ იქნება.“**

სამწუხაროდ, სააღლუმო და გადასარევი, არაფერი მომხდარა უკანასკნელი 24 წლის მანძილზე ჩვენს სამშობლოში. 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ბოლო სამ მთავრობას, იარაღს რომ თავი დავანებოთ, – **„ხელჩართული ჩხუბიც“ კი არ მოუგია, არცერთ (საუბედუროდ, ყველა მხრიდან მოჯარულ!) მტერთან, ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ!**

ამიტომაც, ე.წ. **„სამხედრო აღლუმზე“** მართლა ზედმეტია საუბარი და უსიტყვოდ ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას!

მაგრამ, რას ზეიმობს ეს მთავრობა 9 მაისს, ჩემთვის გაურკვეველია, რადგან, ვინაც 1945 წლის 9 მაისი საზეიმო დღედ გაუხადა, არა მატო ყოფილ სსრკ-ში იმ დროს შემავალ ქვეყნებს და ხალხებს (როგორც ეს უამრავ ტვინნაღრძობს და უტვინოს ჰგონია), არამედ მთელ მსოფლიოს, – ის პიროვნება იგნორირებულია, უფრო მეტიც, ლანძღვის საგანია მათთვის!

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ, მას, ძირითადად ლანძღავენ, – **„ნეოფაშისტები“** და ის ქვეყნები, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვნენ ომში, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ რომ, **„სსრკ“** უმაგათოდაც მოიგებდა ამ ომს და მოგვიანებით მათაც მიადგებოდა.

„ნეოფაშისტები“ ორგანულად ვერ იტანენ იოსებ სტალინს იმის გამო, რომ მან სასტიკად დაამარცხა და მოსპო მათი სულიერი წინაპარი!

ინგლისი და **აშშ** კი იმის გამო არიან შეძრწუნებული, რომ გასული საუკუნის ისტორია ახლა იწერება და განვლილმა 70-მა წელმა ვერაფერი დააკლო ფაშიზმის დამმარცხებლის სახელს და დიდებას!

ათწლეულების მანძილზე, ხშირად მიხდება გერმანიაში ყოფნა. ცნობილია, რომ, წელიწადში ორჯერ, მთელს ქვეყანაში, გასაყიდად გამოტანილი საქონლის ჩამოფასება ხდება, მათ შორის წიგნებისაც. მიუნხენში, **„მარიენპლატც“**-ზე, ვინც იქ ერთხელ მაინც ყოფილა, უსათუოდ გაახსენდება ოთხსართულიანი წიგნების მაღაზია. მეც, წელიწადში ორჯერ ვსტუმრობ მას. მაღაზიის პირველი სართული ისტორიას, ხელოვნებას, გეოგრაფიას და პოლიტიკას აქვს დათმობილი.

ადრე, 5 ან 10 მარკად, ამჟამად 5 ან 10 ევროდ, მსოფლიოს ყველა დიდი პოლიტიკოსი მყავს ნაყიდი (რა თქმა უნდა წიგნებს ვგულისხმობ), გარდა ერთისა!

თითქმის ყველა გამყიდველს ვიცნობ ამ სართულზე. ერთხელაც, მორიგი სტუმრობისას, კიდევ ერთხელ ვიკითხე, – **როდის ჩამოფასდება სტალინი?**

ახალგაზრდა ქალბატონმა ღიმილით მიპასუხა, – ტყუილად ელოდებით, ბატონო, მის ჩამოფასებას, ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია, „სტალინი“, პირველიდან ბოლო წიგნამდე, ერთი და იგივე ფასში იყიდებაო!

ზემოთ, გასული საუკუნის ისტორია ვახსენე. სამწუხაროდ, იგი, ჩვენს თვალწინ, დიდი დამახინჯებით იწერება. ამ მიმართულებით, შინ თუ გარეთ, უმოწყალოდ ყალბდება ყველაფერი. **„მსოფლიოს ახალი გადანაწილების“** არ იყოს, გამალებული ბრძოლაა გამართული წარსულის, ისტორიის გადანაწილებაზეც. განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომში, ფაშიზმის დამარცხებაში დამსახურების მითვისებაზე მიდის გაუგონარი გაყალბებები!

აშშ და ინგლისი არიან ამ საქმის ფლაგმანები, რომლებსაც, ომის მიწურულს, მშვიდობიანი, გერმანელი მოსახლეობის ხოცვისა და ქალაქების ნაცარტუტად ქცევის მეტი, თითქმის არაფერი უკეთებიათ. ვრცლად ამის შესახებ სტატიაში იხილავთ.

რაც შეეხება ბოლო 30 წლის განმავლობაში, სტალინის პიროვნებაზე და ფაშიზმის დამარცხებაში მის **„დამსახურებაზე“** უცხოელ ავტორთა მიერ დაწერილ წიგნებს, დიდი მწიგნობრობა არ სჭირდება მკითხველი მიხვდეს, – იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკლებლივ ყველა, ზემოთხსენებული ქვეყნების მეთაურთა პოლიტიკური შეკვეთაა!

სამწუხარო ის არის, რომ ზემოთხსენებული **„ნეოფაშისტების“** მიმბაძველმა, ზოგიერთმა ქართველმა სცადა, დიდი ინგლისელი მწერლისა და მოაზროვნის ჯორჯ ორუელის წიგნი-შედევრი **„ცხოველების ფერმა“**, ისტორიის გასაყალბებლად გამოეყენებინა.

საბედნიეროდ, იმდენად დიდია ჯორჯ ორუელი, 70 წლის შემდეგაც მოატეხინა კისერი ყალბისმქმნელებს და ისტორიის გამყალბებლებს!

მე გემშვიდობებით, დანარჩენი ქვემოთ წაიკითხეთ!

ჯორჯ ორუელი: “ცხოველების ფერმა”

ამას წინათ, ერთმა, ჩემმა მეგობარმა, მასთან მორიგი სტუმრობისას, თხელყდიანი წიგნი გადმომიღო და სანამ გადმომცემდა, მოკლე კომენტარი წარუმძღვარა – **„ამ წიგნმა სასწაული მოახდინა თავის დროზე და იგი გამოსვლისთანავე, 1945 წლის განსაკუთრებულ მოვლენად ჩაითვალა, ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოგდებასთან ერთად!“**

წიგნი გამოვართვი და ხელში, ინგლისელი მწერლის, ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმა“** შემრჩა. მე არც მახსოვდა მისი არსებობა, რადგან, ის, რაც ამ წიგნშია აღწერილი **„ღორების მმართველობა“**, 1992 წლიდან მოყოლებული, თავადვე განვიცადე საქართველოს მოსახლეობასთან, უწინარეს – მის ქართულ ნაწილთან ერთად!

ჩემი მეგობარი გიორგი, ჯერ ოცდაორისაც არ არის და რა გასაკვირია მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმა“**-ს!

– ეს გავიფიქრე მაშინ, წიგნი გამოვართვი და იმ საღამოსვე წავიკითხე.

პირველი, რაც ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა, ოცდაორი წლის წინანდელი ემოციები იყო ამ წიგნის წაკითხვისას რომ გამიჩნდა. გიორგისას შევადარე იგი, თითქოს დიდი განსხვავებაც ვერ ვიპოვე, მაგრამ, მაშინ, ოცი წლის წინ, ევროპა მოვლილი და საკმაოდ საფუძვლიანად მქონდა შესწავლილი და, ცხადია, ჩემი მაშინდელი ემოციები მაინც განსხვავებული იყო!

ასევე, ბოლომდე ვერ დავეთანხმები წიგნის ქართულად მთარგმნელის წინასიტყვაობის ბოლო აბზაცის პირველ ნაწილს: **„ნაწარმოები არის პოლიტიკური სატირა რუსეთის რევოლუციაზე, მაგრამ თავისი ფილოსოფიური განზოგადებით იგი სცდება ამ კონკრეტულ ფაქტს და წარმოადგენს მხატვრულ გამოკვლევას საერთოდ ტოტალიტარიზმის რაობისა. მიჩნეულია, რომ ორუელის ძალის მწერალი პოლემისტი ინგლისურ ლიტერატურას არ ჰყოლია ჯონათან სვიფტის შემდეგ“.**

– კეთილი და პატიოსანი!

როგორც ზემოთ ითქვა – წიგნი 1945 წლის აგვისტოში გამოვიდა, როცა ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ღორების შთამომავლებმა, ხიროსიმასა და ნაგასაკში ორი ატომური ბომბი ჩამოაგდეს და ასიათასობით უდანაშაულო ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს, მილიონებს კი მომავალი მოუსპეს!

მანამდე კი, ჯორჯ ორუელის თანამემამულეებმა, სამი თვით ადრე, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დამთავრდებოდა, უფრო ზუსტად, როცა მეორე მსოფლიო ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და მხოლოდ დამარცხებული გერმანიის მომავალი უნდა დაედგინათ – მასირებული დაბომბვებით მიწასთან გაასწორეს: ჰამბურგი, ბრემენი, კიოლნი, ბონი, დიუსელდორფი, მაინის ფრანკფურტი, მაგდებურგი, ლაიფციგი... მარტო დრეზდენში ერთ დამეში სამასი ათასი უმწეო მოსახლეობა – მოხუცები, ქალები, ბავშვები და დაჭრილები ამოხოცეს, რომელთაც არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ ომის ბედზე, რადგან იგი, როგორც ზემოთ ვთქვით, უკვე გადაწყვეტილი იყო!

ყველაფერი ეს ჩაიდინეს ინგლისისა და **აშშ**-ს სამხედრო საჰაერო ძალებმა, რომელთა საქციელი არაფრით განსხვავდებოდა ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ღორი მმართველებისგან!

მოგვიანებით კი, როცა ომისშემდგომი გერმანელი ერის ბედის გადაწყვეტის საკითხი დადგა, სწორედ ამ ქვეყნებმა (მათ დაემატა საფრანგეთი) გამოუტანეს გაუგონარი განაჩენი გერმანელ ერს (და არა ნაცისტებს!), რომ ისინი აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა!

რომ არა, მაშინდელი **„სსრკ“**-ს მმართველის, მეორე მსოფლიო ომის ბედის გადამწყვეტის, იოსებ სტალინის კატეგორიული მოთხოვნა – **„არაფერ შუაშია გერმანელი ხალხი, ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ერი კი იქ რჩება, სადაც იგი დაიბადა და ჩამოყალიბდა!“** ჯორჯ ორუელი-ს **„ცხოველების ფერმის“** შთამომავლები სისრულეში მოიყვანდნენ განაჩენს, რომელიც პოტსდამის კონფერენციაზე, ზემოთხსენებული სამეულისგან თითქოს განსხვავებულად ეღერდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ომის შემდგომ, გერმანელი ერის გაქრობას გულისხმობდა:

ინგლისი – „გერმანელები გავასახლოთ მისი ტერიტორიიდან და გავფანტოთ მთელს მსოფლიოში, რომ ვერასოდეს შეძლონ ერთად თავმოყრა!“

საფრანგეთი – „გერმანიის ტერიტორიაზე შემოვასახლოთ შავკანიანები და მხოლოდ ისინი დავაწყვილოთ გერმანელ ქალებთან, რომ არ მოხდეს გერმანელების გამრავლება და კაცობრიობას ავაცილოთ მომავალი ომები!“

აშშ – „გერმანელებს ავუკრძალოთ ერთმანეთში ქორწინება და იქ ჩამოვასახლოთ დიდი რაოდენობით ფერადკანიანი მამაკაცები!“

ბუნებრივია, ამ ანტიადამიანური გერმანოფობიის შესახებ კარგად უწყოდა ჯორჯ ორუელმა, ბერნარდ კრიკის დახასიათებით **„ყველაზე დიდმა მწერალ-პოლემისტმა, რომელიც ინგლისს ჰყოლია სვიფტის შემდეგ“** და არ დაარქვა კონკრეტული სახელი **„ღორების სახელმწიფოს“**, რადგან ზემოთხსენებულთა ნამოქმედარის და გადაწყვეტილების შემდეგ უსინდისობა იქნებოდა, რომელიმე სხვა ქვეყნისთვის, შეურაცხყოფა მიეყენებინა და **„ცხოველების ფერმა“** ეწოდებინა.

–აქ კი, ნამდვილად ვხედავ ორუელის სიდიადეს!

რაც შეეხება მთარგმნელის განმარტებას, რომ **„ნაწარმოები არის პოლიტიკური სატირა რუსეთის რევოლუციაზე“**, ღიმილისმომგვრელია, რადგან ქართველმა მკითხველმა კარგად იცის – მაშინ, როცა ეს წიგნი ქართულად გამოიცა, ზემოთთქმული ფრაზა ნამეტნავად პოპულარული იყო!..

...მას შემდეგ, რაც ეს წიგნი დაიწერა, როგორც იტყვიან **„ბევრმა წყალმა ჩაიარა“** და მთარგმნელის წინასიტყვაობის ბოლო აბზაცის მეორე ნაწილი უსიტყვოდ მართლდება: **„...მაგრამ თავისი ფილოსოფიური განზოგადებით იგი სცდება ამ კონკრეტულ ფაქტს და წარმოადგენს მხატვრულ გამოკვლევას საერთოდ ტოტალიტარიზმის რაობისა!“**

ხიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ **„ცხოველების ფერმის“** ევროპელმა და ამერიკელმა შთამომავლებმა, კონტინენტი არ დატოვეს, ათეულობით ქვეყანა დააწიოკეს **„მათი უკეთესი მომავლის მიზნით“**, რომლებსაც დღემდე სდით სისხლი, ზოგ მათგანს ნახევარი საუკუნის წინანდელი ჭრილობებიდან, **„უკეთესი მომავლის“** მოლოდინში!

...მარტო კორეისა და ვიეტნამის მაგალითი იკმარებს, ნათქვამის დასტურად, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ!

მოგვიანებით, ზემოთნახსენები ლოზუნგი **„დემოკრატიით“** შეიცვალა, რასაც უამრავი აშენებული და დამშვენებული ქვეყანა შეეწირა.

ჩემს თაობას კარგად ახსოვს ევროპის მშვენება – იუგოსლავია, რომელსაც არაფერი აკლდა, გარდა **„ცხოველების ფერმის“** შთამომავალთა მიერ შემოგდებული **„დემოკრატიისა“**, რაც მათი გაგებით და კარნახით – **კაცის-კაცზე, ქალის-ქალზე ქორწინებას, ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, ერის წიაღში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების უარყოფას ნიშნავს!..**

– მოინდომეს და განახორციელეს კიდეც!

– იუგოსლავიის ნანგრევებზე წარმოიშვა რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფო, რომლებიც უსაფრთხოდ საცხოვრებელი მას შემდეგ გახდება, როცა **„დემოკრატიის“** დასამყარებლად ჩამოგდებული ათასობით აუფეთქებელი ბომბებისგან გაიწმინდება! ადარაფერს ვამბობ ათეული ათასობით ადამიანის სიცოცხლეზე **„დემოკრატიის“** დამყარების პროცესს რომ შეეწირა!

ამ თემაზე, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ წაიკითხოს არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ, გამოცემული, თავზარდამცემი გულახდილობით შედგენილი წიგნები **„ნატო მაკიაჟის გარეშე“** და **„ღმერთო შეუნდე ამერიკას“**.

ფუი ეშმაკს! რად გვინდა წიგნებში ქექვა – ორი წლის წინ, ნაძირალა სააკაშვილის ჩასვრილ საქმეთა მისაფუჩეჩებლად, თბილისში ჩამოსულმა, ნატოს გენმდივანმა რასმუსენმა, იმის ნაცვლად, ეთქვა – **„სამართალმა უნდა იზეიმოს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, უდანაშაულოს სამართალი აღუდგეს და განწმენდილები შევიდეთ ნატო-შიო!“**, რომ იტყვიან, გადაატრიალა **„პლასტინკა“** და – **„სანამ მიმდინარე წლის 17 მაისის დემონსტრაციაზე პედერასტების უფლებების დარღვევისთვის ბოდიშს არ მოიხდით, არაფერი გამოგივათო!..“**

და, ასე დაგვტოვა ორ ცეცხლს შუა:

– ქართველად დარჩენა, რაც ყოველდღე რთულდება! თუ – აფრების აშვება და უზნეობის მორევში გადაშვება!

...მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც (ჩემი არ იყოს) დიდი ხანია დაავიწყდა ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმა“**, საჭიროდ მიმაჩნია შევახსენო, თუ რას ეხება ეს, თავისი დროის, მართლაც საინტერესო ნაწარმოები!

თავისი დროის-მეთქი, იმიტომ აღვნიშნე, რომ, მისი გამოქვეყნების შემდეგ, ბევრად უარესიც კი ვიხილეთ, ზემოთნახსენები ქვეყნების მმართველთა მიერ, უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე ჩადენილი, ვიდრე ორუელის წიგნშია აღწერილი:

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

გასული საუკუნის ისტორიის გამყალბებლები

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)

– ერთ ძუნწ ინგლისელ მესაქონლეს, საკუთარ **„მამულში“** ცხოველები აუჯანყდნენ და იგი საკუთარი სახლიდან გააძევეს. გამარჯვებულმა ცხოველებმა, როგორც წესი და რიგია, შექმნეს სახელმწიფო და მორალური კოდექსი, რომელთა საფუძველზე ახალშექმნილ **„ცხოველების ფერმა“** სახელმწიფოში, ყველა თანაბარი, ადამიანებისგან დამოუკიდებელი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო.

მეთაურად ღორი აირჩიეს, რომელმაც თავის მხრივ, ღორები შემოიკრიბა გარშემო და ენერგიულად შეუდგნენ საქმეს... მუყაითმა შრომამ, გარკვეული პერიოდი, შედეგიც გამოიღო და წარმატებაც უნდა ეზეიმათ, როცა თავზე დაენგრათ მათი უპირველესი იდეა – **„აეშენებინათ წისქვილი, რომელიც მათ გაამდიდრებდა და ცხოვრებას შეუმსუბუქებდა!..“**

მაგრამ, ღორის გენეტიკურმა საქციელმა – **„...ღორი რომ გაძღება, დარჩენილ საჭმელს კი არ შეინახავს, დინგით გობს გადააბრუნებს, რომ იგი სხვებმა არ იწილადონ!“** – მალევე იჩინა თავი და მიიღეს ის სახელმწიფოებრივი მოდელი, რომელიც დღეისათვის არის გაბატონებული დედამიწის ზურგზე და მას აშშ, ინგლისი, და ზოგადად ევროაგაერთიანება (ყოფილი **„სსრკ“**-ს დამახინჯებული მოდელი) წარმოადგენენ!

...სამწუხაროდ, ნიჭიერი მწერლის ფანტაზიით შექმნილმა **„ცხოველთა სახელმწიფოს ექსპერიმენტმა“** ყველა ზემოთხსენებულ ქვეყნებს გვერდი აუარა და იგი ოცდასამი წლის წინ, საქართველოში დაფუძნდა მცირეოდენი სახეცვლილებით – **„ადამიანების სახელმწიფო – ღორების მმართველობით“** და მას ჯორჯ ორუელის თანამემამულე, ევროპელებმა და ამერიკელებმა ედუარდ შევარდნაძე ჩაუყენეს სათავეში.

ამ დროიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის გაცხოველება და ქვეყნის საზღვრების შემოკრეჭვა, რადგან, ევრო-ამერიკელთა მიერ დაგეგმილი **„საქართველო-ცხოველების ფერმა, ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით“**, მაშინდელი საქართველოს მთლიან ტერიტორიას არ ითვალისწინებდა, იგი ორჯერ დიდი აღმოჩნდა დაგეგმილზე და ამიტომაც გაგვინახევრეს!

...ისტორიის სიღრმეებში ყურყუმალაობას შევეშვათ, გუშინდელი დღე გავიხსენოთ, როგორი მათხოვართა ხროვა (რომ იტყვიან – ცალ-ცალი კალოშით!) მოვიდა ე.წ. **„ვარდების რევოლუციით“** ქვეყნის სათავეში მიშა სააკაშვილის თავკაცობით, რომელთაც სწორედ ორუელისეული **„ცხოველების ფერმის“** თანაბარუფლებიანობის და ანტიკორუფციული სახელმწიფოს მოწყობის კოდექსი ააფრიალეს, მაგრამ ცხრა წლის მანძილზე, გაუგონარი ქონება დააგროვეს (ახლაც აგროვებენ!) და ახალმა ხელისუფლებამ, ხელი რომ შეუშალა ქვეყნის ძარცვასა და ნგრევაში, ფეხზე დააყენეს ევროპელი თუ ოკეანის გაღმელი, ორუელის **„ცხოველების ფერმის“** შთამომავლები, ასე ხშირად რომ სტუმრობენ საქართველოს, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ!

ზოგადად ვიტყვი – არაფერი გვაქვს სტუმრის საწინააღმდეგო „სტუმარი ღვთისაა“, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ზემოთნახსენები რასმუსენი და ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები არიან!..

რასაკვირველია, სტუმარს სტუმრისა უნდა მიეგოს, მაგრამ მისი გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ჩემს ქვეყანაში – ქურდის, კაცის მკვლელის, ქვეყნის დამაქცევარის და კიდევ სხვა ამ კატეგორიის დამნაშავეთა დასჯა!..

2012 წლის ოქტომბრამდე, ორმოციათასი თავისუფლებააყრილი ადამიანი იჯდა საკაშვილ-მერაბიშვილის ციხეებში. ყველასათვის ცხადია, მათგან ნახევარი, სრულიად უდანაშაულოდ იყო პატიმრობამისჯილი, მაგრამ ზემოთნახსენებ ევრო-ამერიკელთაგან არავის შეუწუხებია თავი ათასობით უდანაშაულოთა მოსაკითხად! უფრო მეტიც, ყოფილ ხელისუფლებას, ბოლო მომენტამდე საქციელს უქებდნენ, მაგრამ, როგორც კი დარწმუნდნენ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში, მათი ფავორიტების მოსალოდნელ მარცხში, ზურგი შეაქციეს, მაგრამ, თურმე არა საბოლოოდ, რადგან მალევე გაჩნდა საშიშროება, რომ გასული წლების კრიმინალურ საქმეებში, მათი მონაწილეობაც გამოაშკარავდებოდა!..

ამიტომაც აატალახეს თბილისის აეროპორტი, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ „მაღალი ჩინის“ ევროამერიკელმა სტუმრებმა, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, თორემ მერაბიშვილები, ახალაიები, უგულავები და სხვები... მათ ცალ ფეხზე ჰკიდიათ!..

ყველაფერი ეს, ცხადზე უცხადესია, მაგრამ, ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ, ორუელის **„ცხოველთა ფერმის“** ღორი შთამომავლები, საგულდაგულოდ მალავდნენ და ფუთავდნენ, საქართველოში დატრიალებული, ყველა უბედურების სათავეს – „**შევარდნაძე-უხსენებელს**“, ვიდრე იგი სატანას მიაბარებდა სულს.

– ნურავინ ჩათვლის, ყავლგასულად, ან გადამეტებულად, ყველა დროის უსასტიკესი, საქართველოს მაოხარი გზირის, გახსენებას, რადგან უთავბოლო ყაყანის გარდა, ქართველ ერს და ქვეყანის ერთგულ მოსახლეობას, სერიოზულად არ განუხილავს, ზემოთნახსენები, მყრალი გვამის მიერ ჩადენილ ბოროტებათა ვრცელი ნუსხა, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული,– 1991-92 წლების პუტჩით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით, საკუთარ ქვეყანაში – აფხაზეთში პროვოცირებულ ომში ჩაკლული ოცდაათი ათასი ადამიანით, სამასი ათასი უსახლკაროდ დარჩენილით, ქვეყანაში დამკვიდრებული შიმშილით და სიღატაკით არ ამოიწურება!..

მე, ადრე, არა ერთხელ მითქვამს და დამიწერია – ქვეყანა ყველა ვალს გადაიხდის, ჭრილობებს მოიშუშებს, დანგრეულს ააშენებს, მაგრამ არაფერი ეშველება იმ ორმოცდახუთიათას, თხუთმეტიდან – ოცდაათ წლამდე ახალგაზრდას, 1993 წლიდან მოყოლებული, უცხოეთის არატრადიციულ ქვეყნებში, რომ გააგზავნა „ედუარდ-უხსენებელმა“ გასაწვრთნელად (და, არა განათლების მისაღებად!) და გასული საუკუნის ბოლოს, სამშობლო საქართველოს დაუბრუნდნენ – სარწმუნოება, ზნეობა, ტრადიცია და ეროვნებადაკარგულნი!

აღასრულა „ედუარდ-უხსენებელმა“ თავისი განზრახვა და ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ევრო-ამერიკელ მემკვიდრეთა თანადგომით, სწორედ მათი **„გაწვრთნილი კადრები“** მოიყვანა, 2003 წელს, საქართველოს ხელისუფლებაში!

ეს წერილი არ ითვალისწინებს, სახელმწიფოს სათავეში ყოფნისას, მათი ნამოქმედარის განხილვას, მაგრამ უნდა შევახსენო მკითხველს, თუ როგორ უყურებდნენ მათ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას მათი ხელისუფლებაში მომყვანები:

– როცა ამერიკელებმა, პრაქტიკანტ ქალთან ფლირტს, კინაღამ გადააყოლეს პრეზიდენტი კლინტონი, გერმანელებმა კი ქვეყნის პრეზიდენტ ვულფს, მეგობრისგან მცირე საპროცენტო განაკვეთით სესხად აღებული ხუთასიათასი ევროს გამო (ქართული მასშტაბებით სასაცილო თანხა!) თანამდებობა დაატოვებინეს, საქართველოს დამაქცევარი მიშა-შეურაცხადის განკითხვის და მისი კრიმინალური გარემოცვის თავისუფლების აღკვეთის გამო, იგივე ამერიკელები და ევროპელები, მთელი ქვეყანის მოსახლეობას ყურებს გვიწევენ!

– რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

– გამოდის, რომ, ის, რაც მათ ქვეყნებში დაუშვებელი და მიუღებელია, ჩვენთან დასაშვები და მისაღებია?

– ე.ი. ჩვენ, ისინი, არასრულყოფილებად მიგვიჩნევენ და ექსპერიმენტის დონეზე განგვიხილავენ!

აი, ეს არის ორუელის **„ცხოველების ფერმის“** თანამედროვე შთამომავალთა დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, მათი ნამდვილი სახე, რომლებიც დღეს მსოფლიოს მართავენ და ყველა იმ უზნეობას სთავაზობენ, ზემოთ რომ ვახსენე **„დემოკრატიის“** მათეული გაგების განმარტებისას!

სწორედ ამას უფრთხოდა ჯორჯ ორუელი და 1945 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში **„ცხოველების ფერმა“**, კაცობრიობას აფრთხილებდა, რომ – ფაშიზმის დამარცხებით არ დამთავრებულა კაცობრიობის ტრაგედია, მას უფრო დიდი და მკაცრი გამოცდა მოელის, რომელსაც, – **ღორების შთამომავლების მიერ მართული ქვეყნები ჩაიდენენ მომავალში!**

ორუელის **„ცხოველების ფერმის“** მემკვიდრეთა ფავორიტი, მიშა-შეურაცხადისა და მისი გუნდის კრიმინალური საქმიანობა, დეტალურად აღწერა ამერიკელმა ჟურნალისტმა პოლ რიმპლმა, წიგნში **„ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012“** წლებში, სადაც დაუფარავადაა მოთხრობილი, თუ როგორ ძარცვავდნენ ქვეყანას და როგორი მოხერხებულობით გაჰქონდათ ნაძარცვი ობშორულ ზონებში, სადაც ეშმაც კი ვერ მიაგნებს მათ კვალს!

ჯორჯ ორუელის წინასწარმეტყველების აცხადებაა, ის, რომ **აშშ**-ს პრეზიდენტის (ელჩად წოდებული) „ნაცვალი“ საქართველოში, ბატონი რიჩარდ ნორლანდი, უცერემონიოდ ერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში და იმის ნაცვლად, პროტესტის გრძნობა გაუჩნდეთ და ჩვენმა ხელისუფლებმა წამოიკნავლონ მაინც,– **მთლად ასე ნუ იზამთ ბატონოო!!!,** – მონურად ეთანხმებიან ყველაფერში.

– 24 წელია, ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერი და წვრილ-წვრილი მინისტრები სიამაყით აცხადებენ, რომ, ისინი, **აშშ**-ში ჩავიდნენ და მათი საქციელი მოიწონა, აშშ-ს სახელმწიფო მინისტრის მრჩევლის, უფროსი რეფერენტის, პირველი მოადგილის, პირველმა თანაშემწემ!..

და ბოლოს, სულ ცოტა ხნით მივუბრუნდები წერილის დასაწყისში ნახსენებ, 1945 წელს და აქვე დავსძენ: **1945 წელს, არაფერი მომხდარა იმაზე მეტი და თვალსაჩინო, ვიდრე შაშიზმის დამარცხება იყო!**

ამ გამარჯვების ღირებულების და ფაშიზმის დამარცხებაში **„სსრკ“**-ს უზარმაზარი წვლილის შესახებ, ყველაზე უკეთ თავად ჯორჯ ორუელმა უწყოდა.

ცხადია, მან იმის შესახებაც კარგად უწყოდა, რომ **„სსრკ“**-ს, მაშინ, იოსებ სტალინი მართავდა, რომლის წინაშე ქედს იხრიდა მისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მსოფლიოს, ყველა დროის, ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, უინსტონ ჩერჩილი, რომელიც მოკლედ და ლაკონურად ახასიათებდა მის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს:

„სტალინმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ფლობდა ღრმა, ყოველგვარ პანიკას მოკლებულ, ლოგიკურად გააზრებულ სიბრძნეს. იყო ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევის შეუდარებელი ოსტატი. მან შექმნა და დაიმორჩილა უზარმაზარი იმპერია. ეს იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისი მტრებისავე ხელით ანადგურებდა.“

თუ კი, ვინმეს ეჭვი შეეპარება ამ შეფასების სიმართლეში, მან, უპირველესად, ისტორიის არქივებს უნდა მიმართოს, რასაკვირველია, თუ სურს ჭეშმარიტების დადგენა. რადგან, არა მარტო საქართველოში, კატასტროფულად ყალბდება გასული საუკუნის ისტორია იმ დასავლეთში, ქართველთა გარკვეულ ნაწილს რომ სამაგალითოდ მიაჩნია.

ყველაფერ ამის ფონზე, მენანება ქართული გენი და ქართული ნიჭი, რადგან მავანნი:

ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის“ შთამომამავალთა მიერ გონებადაბინდულ ჩვენს თანამემამულეებზე დაყრდნობით ცდილობენ, სახე უცვალონ ისტორიის ჭეშმარიტ ფურცლებს!

დავით ქობალია

P.S. ვისაც მეტის ნახვა უნდა, იხ.ლინკი: **http://www.myvideo.ge/?video–id=2151574**

ტერრორისტები აშშ-ს სამსახურში

ალ ქაიდა, აშშ, გლადიო, ზბიგნევ ბჟეზინსკი, ნატო, ტერორიზმი

ამერიკის შეერთებული შტატები, პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობისათვის დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან ასოცირდება. პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებული ზოგიერთი ადამიანი, შეერთებულ შტატებზე საუბრისას, ისეთი პათოსით საუბრობს ამ უკანასკნელზე, გეგონება, იგი არა სახელწმიფო (რომელიც საკუთარი ინტერესებით მოქმედებს საერთაშორისო არენაზე), არამედ რაიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, რომელიც უხვად გასცემს თანხებს სხვა ქვეყნების დასახმარებლად, დემოკრატიის და თავისუფალი სოციალური წესრიგის დანერგვა-განმტკიცებაში. თუმცა, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ შეერთებული შტატები თავისი გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის ტერორისტებთან თანამშრომლობასაც არ ერიდებოდა, რისი არა ერთი დამატკიცებელი საბუთი არსებობს. განსაკუთრებით, ამერიკის მიერ, ტერორისტული ორგანიზაციების გამოყენებაზე საუბარი, 1990-იანი წლების, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გახდა ცნობილი. ეს ის პერიოდია, როდესაც მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე, საბჭოთა კავშირის სახით, გაჰქრა მსოფლიო პოლიტიკური სცენიდან და საერთაშორისო არენაზე, როგორც ერთადერთი გეოპოლიტიკური არბიტრი დარჩა შეერთებული შტატები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებული შტატები ტერორისტებს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისათვის იყენებდა. როდესაც გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ მათ გამოყენებას გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის გასაშავებლად, იმ პერიოდისათის ასეთ მოწინააღმდეგე გახლდათ, კომუნისტური საბჭოთა კავშირი. ასეთი ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა არა მარტო "ალ ქაიდა", არამედ ის ორგანიზაციები, რომლებსაც "ალ ქაიდამდე" იყენებდა შუაგულ ევროპაში, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის. ევროპაში და კერძოდ იტალიაში მოქმედი, ასეთი ტიპის ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციის კოდური სახელწოდება გახლდათ „გლადიო" (ქართ. ხმალი). აღნიშნული საიდუმლო ტერორისტულ ორგანიზაციაში ახალწვეულების მიღება შევსება ხდებოდა იტალიის ულტრამემარჯვენე, ფაშისტური ორგანიზაციის წევრებიდან. ამ საიდუმლო ქსელის მიზანს წარმოადგენდა, ტერორისტული აქტების მოწყობა იტალიაში, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, შემდგომში ტერორისტული აქტების დაბრალების მოტივით მემარცხენე კომუნისტური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც იმ პერიოდისათვის საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ იტალიურ საზოგადოებაში. მაშინ აღნიშნული მეთოდი, ძალიან კარგად მოქმედებდა იტალიური საზოგადოების განწყობაზე და დიდ საქმეს უკეთებდნენ იტალიელი ტერორისტები, შეერთებულ შტატებს მემარხცენე ძალების დისკრედიტაციის საქმეში. ოპერაცია „გლადიოს" დაწყებიდან, კერძოდ 1969 წლიდან – 1987 წლის განმავლობაში, ტერორისტული აქტების რაოდენობა 14.591-ით განისაზღვრა, რასაც მოჰყვა 491 ადამიანის სიკვდილი და 1.181 ადამიანის დაშავება.

აღნიშნული ტერორისტული აქტები უშუალოდ, ამერიკის და ნატოს პატრონაჟის ქვეშ რომ ხდებოდა, 1974 წლის სასამართლო სხდომაზე აღიარა, ამ პროცესებში მონაწილეობის მიღებისათვის ბრალდებულმა, ყოფილმა იტალიის სამხედრო დაზვერვის შეფმა ვიტო მიჩელიმ: „ეს საქმე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ გააკეთეს და მათ მომიწოდეს, რომ მე ჩავრთულიყავი."

როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნულ საქმეში ჩართული იყვნენ ამა თუ იმ ფორმით, აღმასრულებელი ხელისუფლების და ძალოვანი სტრუქტურების ზედა ეშელონების, თითქმის მთლიანი შემადგენლობა.

ზემოთ გადმოცემული ტერორისტული ორგანიზაციის მსგავს შენაერთებს, ამერიკელები იყენებდნენ თითქმის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მემარცხენე ძალები საზოგადოებაში მაღალი რეიტინგით და მასობრივი მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნატოს წევრი თურქეთიც, სადაც „გლადიოს" ტიპის ორგანიზაცია „კონტრ-გერილია" მოქმედებდა, რომელიც შიშის ზარს სცემდა ადგილობრივ მოსახლეობას და განსაკუთრებით მემარცხენეებს.

ევროპულ სახელმწიფოებში არსებული ტერორისტული ორგანიზაციების მომზადებას და აღჭურვას ახდენდნენ ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებიც დაინტერესებული ქვეყნებში ქმნიდნენ ტერორისტთა მოსაზამზადებელ ბაზებს. ზოგიერთი გამორჩეული ოფიცრები კი მიჰყავდათ ამერიკაში და იქ უტარებდნენ ინსტრუქტაჟს. მაგალითად, „კონტრ-გერილიის" გამორჩეულ ოფიცრებს Scool of the Americas (SOA)-ის ბაზაზე უტარებდნენ მომზადებას. თუ თურქ მკვლევარ ჩელიკს დავესესხებით – „მეთოდების სწავლების თვალსაზრისით აშშ-ში განლაგებული SOA-ს ტერორისტული ცენტრი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ალ ქაიდას ტერორისტული ცენტრებისგან ავღანეთში. ისინი „მწვანე ბერეტების" მეთვალყურეობის ქვეშ, მათ ასწავლიან, როგორ შეიძლება ადამიანის წყნარად და ჩუმად მოკვლა, მისთვის დანის ჩაცემა ან მისი დახრჩობა." აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკელების მიერ მომზადებული ტერორისტები თეორიული საკითხებს გადიოდნენ მკაცრად გასაიდუმლოებული სახელმძღვანელო ე.წ. Field Manual-ით, სადაც ერთ-ერთ პუნქტში, ყურადღება გამახვილებულია თუ როგორ განახორციელონ მშვიდობიანობის დროს ძალადობის აქტები და შემდგომ, როგორ უნდა გადააბრალონ აღნიშნული კომინისტებს.

გლადიოს და კონტრ-გერიილიის ტიპის ტერორისტული საიდუმლო გასამხედროებული ორგანიზაციები ამერიკელებს თითქმის ყველა ევროპულ სახელმწიფოში ჰქონდათ, ამიტომ დეტალების განხილვა შორს წაგვიყვანს. სწორედ ამ მოტივით, რომ დარწმუნდეს მკითხველი ამერიკელების თანამშრომლობაზე ტერორისტულ ორგანიაციებთან, ბლოგის ბოლოში ამონარიდს მოვიყვან ზბიგნევ ბჟეზინსკის ინტერვიუდან, რომელიც მისცა 1998 წელს ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემა "ნუველ ობსერვატერს" – "ყოფილმა ცსს-ს დირექტორმა რობერტ გეითსმა თავის მემუარებში აღნიშნა, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა დაიწყეს ავღანელი მოჯახედების დამხარება, საბჭოთა ჯარების შესვლამდე 6 თვით ადრე. იმ პერიოდში თქვენ ბრძანდებოდით პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, თქვენ იყავით საქმის კურსში. თქვენ ეთანხმებით გეითსის სიტყვებს?

ბჟეზინსკი: კი, რა თქმა უნდა. ოფიციალური ვერსიით ცსს-მ მოჯახედების დამხარება დაიწყო 1980 წელს, მას შემდეგ, როდესაც საბჭოთა ჯარები შევიდნენ შევიდნენ ავღანეთში 1979 წლის 24 დეკემბერს. თუმცა, სინამდვილეში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. პირველი დირექტივა საიდუმლო დახმარების თაობაზე ქაბულის პროსაბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, პრეზიდენტმა კარტერმა ხელი მოაწერა 1979 წლის 3 ივლისს. სწორედ იმ დღეს, მე მივწერე მოხსენებითი წერილი, სადაც განვმარტე, რომ ეს დახმარება გამოიწვევდა საბჭოების სამხედრო ჩარევას.

– მიუხედავად ამ რისკისა, თქვენ იყავით მომხრე აღნიშნული საიდუმლო ოპერაციის. მაგრამ, იქნებ თქვენ გქონდათ სურვილი საბჭოების ამ ომში ჩათრევის და ყველა ღონეს ხმარობდით მათ პროვოცირებისათვის?

ბჟეზინსკი: მთლად მასე არ აგახლავთ. ჩვენ არ გვაიძულებია რუსები ჩართულიყვნენ, მაგრამ ჩვენ სრულიად შეგნებულად გავზარდეთ ალბათობა იმის, რომ მათ ეს გაეკეთებინათ.

– თქვენ არ ნანობთ, რომ დახმარებას უწევდით ისლამურ ფუნდამენტალიზმს, აიარაღებდით და კონსულტაციებს უწევდით მომავალ ტერორისტებს?

ბჟეზინსკი: რა არის უფრო მნიშვნელოვანი მსოფლიო ისტორიისთვის? თალიბანი თუ საბჭოთა იმპერიის დაცემა? რამოდენიმე მგზნებარე ისლამისტი თუ ცენტრალური ევროპის განთავისუფლება და ცივი ომის დასასრული?"

ირაკლი უბილავა

(გაგრძელება იქნება)

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ – I (მორიც ვაგნერი)

ვაგნერის ინფორმაციით, რედუტ-კალეს, როგორც სავაჭრო პუნქტის, ზრდა-განვითარებას ხელს უშლიდა კოლხეთის შავიზღვისპირა ზოლში ვრცელი ჭაობების არსებობა. განსაკუთრებით სწრაფად და ხშირად მზარდი მცენარეულით მოფენილი სამეგრელო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი მხარეა. იმის გამო, რომ ამ ბარაკების ქალაქის საფუძველი სველი და ჭაობიანია, მიწაზე ერთი ფუტის სისქის კენჭებია მოყრილი, რათა ყოველ წვიმიან დღეს კაცი ტალახიან ქუჩაში არ ჩაეფლოს. იმის გამო, რომ კოლხეთის სანაპიროს არც ერთი კარგი ნავსადგური არ გააჩნია, ზღვაოსნობა და ვაჭრობა გაძნელებულია. კავკასიაში ყველაზე ცუდი და საშიში რედუტ-კალეს ღუზის ჩასაშვები ადგილია, რადგან აქ არც ყურეა და არც რეიდი. ღია ნაპირისკენ მქროლავი დასავლეთისა და სამხრეთის ქარების გამო ზომიერი ღელვის დროსაც კი ღუზაჩაუშვებელ გემებს ძლიერი ტალღები ეხეთქებიან. გაავდრების დროს ყველა დიდი გემი აუშვებს ღუზას და ცდილობს ღია ზღვაში გასვლას (იქვე: 134).

რედუტ-კალეს არაჯანსაღ ჰაერზე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ედუარდ აიხვალდი, რომლის ცნობით აქ გაბატონებული უმთავრესი ავადმყოფობის – ციებ-ცხელების შედეგად ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ დღეში ხუთი-ექვსი კაცი კვდება, რედუტში კი უფრო მეტი. საგუშაგოზე დავარდნილ ჯარისკაცებს გუშაგები ზუმბით უვლიან გარს, ან ლაზარეთში მიჰყავთ, სადაც კვდებიან (აიხვალდი 2005: 168).

ვაგნერი საუბრობს მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლეზე აღმართულ, ხის ბოძებზე შემდგარ ხისავე სახლებზე და მშენებლობის ასეთ კონსტრუქციას ნიადაგის ნესტიანობით ხსნის (იქვე: 133, 134). საცხოვრებელი ნაგებობის მსგავს ტიპზე მოგვითხრობს აგრეთვე აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი და ფოლკლორისტი აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (ჰაქსტჰაუზენი 2011: 40).

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მაღალ ბოძებზე შემდგარ ასეთ ნაგებობას (ჯარგვალს, ფაცხას ან პიტაფიცარას) ათაბოგი ეწოდება. იგი შენდებოდა ყანის, ეზოს, ბაღის სადარაჯოდ ან საცხოვრებლად ზღვისპირა ჭაობიან ადგილებში. სამეგრელოში ათაბოგს ეძახიან აგრეთვე ხარაჩოსაც (ქობალია 2010: 9). მისი აღწერა მოცემული აქვს მხარეთმცოდნე გივი ელიავას, რომელსაც აღნიშნული ნაგებობის ნიმუში დაუმოწმებია გალისა და ხობის რაიონების ზღვისპირა სოფლებში (ელიავა 1989: 9-10; ტაბულა №3: 48).

რედუტ-კალე დასავლური გაგებით არასდროს ყოფილა ქალაქი. ვაჭრობისათვის მანამდე თითქმის უცნობი სანაპირო პუნქტის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად (ემპორიუმად) გადაქცევას ვაგნერი სამეგრელოში რუსული მმართველობის დაწყების პერიოდს უკავშირებს. მისი მნიშვნელობა დიდი იყო 1831 წლამდე. რედუტ-კალეს დაწინაურებას ხელი შეუწყო ტრანსკავკასიის პროვინციებისათვის 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე 10 წლით ვაჭრობის სრული თავისუფლების მიღებამ (იქვე: 135). შედავათების დაწესებამ მოიტანა ის, რომ თორმეტიოდე ღარიბი ხის ქოხით ცნობილ რედუტ-კალეში დასახლება დაიწყეს მშენებლებმა, ვაჭრებმა, მიკიტნებმა და სპეკულანტებმა. ჭაობიან მიწაზე სოკოებივით მომრავლდა მაღაზიასაწყობები. ემპორიუმისკენ მცირე აზიის ნავსადგურებიდან გამოემართნენ თურქი და ბერძენი მენავეები. ოდესელ ექსპედიტორებს დაქირავებული პატარა ნავებით შემოჰქონდათ სავაჭრო საქონელი. შეტანილი საქონლის ღირებულებამ ათწლიანი ვაჭრობის პირობებში 2 მილიონი ვერცხლის მანეთი შეადგინა. კოლხური პროვინციები პროგრესულ ვაჭრობაში ჩაებნენ. სამეგრელოდან ოდესისკენ გაჰქონდათ ადგილობრივი ნაწარმი – სიმინდი, ფეტვი, გამხმარი ხილი, თამბაქო, ტყავეული, ცვილი, ღვინო, ყველაზე მეტად კი – საუცხოო მეგრული საშენი ხე-ტყე, რაც ამოუწურავ სიმდიდრეს წარმოადგენდა რედუტ-კალესთვის. ამ შემოსავლიანი სატრანზიტო ვაჭრობიდან მიღებულ მოგებას ოდესასა და რედუტ-კალესთან ერთად ინაწილებდა ტფილისი და ერევანი, აგრეთვე ტრანსკავკასიის ყველა, ზღვასმოწყვეტილი შიდა ნაწილი (იქვე:136-137).

შედავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის პერიოდის (1821-1831 წწ.) ყულევის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსი მ. პაჭკორია. 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე დაწესებული შედავათიანი სატრანზიტო დათმობებით რუსეთი ამიერკავკასიაში გარკვეულ მიზნებს ისახავდა. საიმპერიო ტარიფით განსაზღვრული ბაჟი (25-50%) ამ კანონის საფუძველზე ითვალისწინებდა 5%-იანი ბაჟის გადახდას, როგორც შემოტანილ, ისე გატანილ და ტრანზიტულ საქონელზე. ასეთი შედავათის დაწესებით რუსეთის იმპერია ცდილობდა, ევროპული საქონლისთვის გზა გაეხსნა ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ირანისაკენ. შედავათების დაწესება ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტრაპეზუნდ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც (პაჭკორია 1968: 17-18; მისივე 1974: 36-37).

შედავათიანი ვაჭრობის გაუქმების შემდგომდროინდელი ყულევის სოციალურ-ეკონომიკური სახე კარგად არის ასახული ნოვოროსიისკის მხარის გენერალ-გუბერნატორის (მოგვიანებით მეფისნაცვლის) მ. ს. ვორონცოვის წერილში იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი. ვორონცოვი 1836 წელს სწვევია ყულევს. იგი წერდა: „ეს საზღვაო პუნქტი ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის არსებობის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა კომერციული სამყაროსათვის. აქაური ვაჭრობის საერთო წესისადმი დაქვემდებარებამ, ტრანზიტის შეწყვეტამ და ნავსადგურისა და ციხესიმაგრის ფოთში გადატანამ, თითქმის მოსპო წინანდელი სარეწები და აყვავებული სახე ბაზრისა, თუმცა რედუტ-კალეში ჩვენ კიდევ ვიპოვეთ რამდენიმე ქართული ღუქანი" (პაჭკორია 1968: 22).

1840 წელს რედუტ-კალეს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ღია ზღვაზე, ბუნებრივად მოუფარებელ და ჭაობებით დაფარულ ადგილას მდებარე ყულევი წარმოადგენდა შავ ზღვაზე ამიერკავკასიის მთავარ ნავსადგურს და საქართველო-ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და საქონელწარმოების განვითარების შედეგად წარმოქმნილ ქალაქს, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ (დუმბაძე 1957: 376).

რედუტ-კალეს დასახლების სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული ი. დუკრუასის წერილში. 1849 წელს აქ მნახველს შეეძლო ენახა ხის შენობებისაგან შემდგარი დიდი ბაზარი, ხოლო ბაზრის ბოლოს, ხობისწყლის შესართავთან, კარანტინი და საბაჟო. სავაჭრო ნაგებობანი და საცხოვრებელი სახლები უმთავრესად მდინარის მარცხენა მხარეს იყო განლაგებული („Кавказский календарь"), 1849: 54-57; პაჭკორია 1968: 25).

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„ეს ინჩა კატარვუმ?!“ ანუ როგორ აყალბებენ ისტორიას ჩვენი მეზობლები

ნონსენსი – ბრიტანული საიტი წერს სიძველეზე და აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც 1958 წელს აშენებული ერევნის რესპუბლიკის მოედანია გამოსახული. გასაკვირი არც არის, სომხეთის დედაქალაქში ხომ სიძველეები მხოლოდ შუა საუკუნეების აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ძეგლები იყო, რომლებიც სომხებმა პირისაგან მიწისა აღგავეს, რათა მათთვის არ შეეხსენებინათ, რომ მოსულები იყვნენ უძველესი ოგუზების მიწაზე.

ერევნის დაძველება სომხებს რამდენიმე მიზეზით სჭირდებოდათ. პირველი – მათ მოსვენებას არ აძლევდათ ის, რომ 1958 წელს საქართველომ აღნიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი; მეორე – აუცილებელი იყო, მოეძებნათ სომხური ბაზა სიტყვა „ირევანის“ წარმოშობის დასასაბუთებლად. ასე მომწიფდა პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისაღწევადაც საბჭოთა სომხეთის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა არქეოლოგიური აღმოჩენების გამოყენება გადაწყვიტა.

„უწოდო ერევანს უძველესი ქალაქი – ეს ნიშნავს, რომ გადახაზო ისტორია ერივანის ციხე-სიმაგრისა, რომლითაც დაიწყო აზერბაიჯანული ქალაქი ირავანი და რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, 1936 წელს სახელი გადაარქვეს და ერევანი უწოდეს. ერევნელი ცრუმეცნიერები კი თავიანთ მოგონილს, დიდი ხანია, ნერგავენ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში“.

„სომხეთში უკვე „დაავიწყდათ“, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მათ სახელმწიფო ძირძველი აზერბაიჯანული მიწების ხარჯზე, და ინგლისურ საიტზე სსრკ დამპყრობელ იმპერიად გამოჰყავთ. აი, კიდევ ერთი ღალატი სომხებისა რუსეთის მიმართ. როგორც ჩანს, მათ ძალიან უნდათ, ისტორიული მეხსიერებიდან ამოშალონ ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიაში სომხეთი არ არსებობდა“.

ჩვენი მეზობელი სომხეთის ვაიმეცნიერთა მხრიდან ისტორიის ფალსიფიცირებასა და ქართული კულტურის ძეგლების სომხეთის კუთვნილებად გამოცხადებაზე არაერთხელ წერდა „საქართველო და მსოფლიო“. ბოლო სტატია (იხ. №9, 11-17 მარტი, 2015 წ.) ეხებოდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის კონფიდენციალურ წერილს, რომელიც მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გაუგზავნა 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოში სომხეთის პრემიერ-მინისტრის – ოვიკ აბრამიანის სტუმრობის შემდეგ.

წერილში გამოთქმულია თხოვნა: „დაუბრუნოს (საქართველომ – რედ.) ჩამორთმეული ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინი არიან ან იყვნენ განლაგებული – სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დანართის სახით გაწვდით სომეხთა ეპარქიისთვის ჩამორთმეული 442 ტაძრის, მონასტრის (მოქმედი და არამოქმედი) და მათი ნანგრევების სიას“.

თუ სიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კოლოსალური რაოდენობის საკუთრებაზე, რომელთა საქართველოს იურისდიქციიდან გამოყვანა და ეჩმიაძინისთვის დაქვემდებარება სურს სომხურ ეკლესიას.

აღსანიშნავია, რომ ამ სიაში სომხეთის ეკლესიამ (მთავრობამ) არ შეიტანა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არსებული 211 ეკლესია, ამით ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენელ ნაწილებად არ ცნო.

აღარაფერს ვამბობთ ქართული „საფერავის“, ხაჭაპურის, მაწვნის, ჩურჩხელის სომეხი ერის კუთვნილებად და სოფიკო ჭიაურელისა და ქეთი მელუას სომხებად გამოცხადებაზე.

სომხებმა, როგორც ისტორიკოსი და პუბლიცისტი სიმონ ქვარიანი წერს, დიდი როლი ითამაშეს ქართული სახელმწიფოს დაცემაში, განსაკუთრებით – 1795 წელს საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, რომელსაც საქართველოს ასაოხრებლად სომხები არარატიანცი და ბებუთოვი მოუძღოდნენ. აღა-მახმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ სომხები ძარცვავდნენ მტრისგან გაქცეული ქართველების სახლ-კარს.

„ყარაბაღელმა სომხებმა მელიქ აბოვმა, მელიქ ჯიმშიდიმ და მელიქ ფრიდონმა ქვეშევრდომებიანად თავი შეაფარეს საქართველოს. მელიქ აბოვმა ერეკლე მეორისგან მიიღო პრივილეგიები და დასახლდა მეფისგან ნაბოძებ ბოლნისდმანისთან, სადაც ჩამოიყვანა და დაასახლა 700-ზე მეტი კომლი ყარაბახელი სომეხი. მელიქ აბოვი თავისი რაზმებით თავს ესხმოდა ჯავახეთს, მიჰქონდა ნადავლი და მოჰყავდა ხალხი, ასახლებდა თავის სამფლობელოში და ისინი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაჰყავდა“ (შოთა ლომსაძე. „სამცხე-ჯავახეთი“. თბილისი „მეცნიერება“. 1975 წ.).

აი, რას წერდა სომეხთა უმადურობით აღშფოთებული *ივანე ჯავახიშვილი*: „უეჭველია, ეს სრულიად შეუწყნარებელი საქციელი იყო – საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით საქართველოში სომხები აუცილებელი განადგურებისგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა“ (ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს საზღვრები“. გვ. 38).

სომეხთა კათალიკოსმა იოსებ არღუთინსკიმ ხომ „მთელი მოძრაობა შექმნა ძველი, დაკარგული „არმენიის“ ნაწილობრივ მაინც საქართველოში გადმოსატანად. მას, რა თქმა უნდა, წინ საქართველოს სამეფოს არსებობა ედობებოდა და სომხების კათალიკოსმაც აქეთ მიიტანა იერიში (თამარ და აკაკი პაპავები. „მარიამ – უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. ბუენოს-აირესი. 1956 წ. გვ. 86).

სომეხთა მიერ ისტორიის გაყალბებასა და უსაფუძვლო პრეტენზიებზე არა მხოლოდ ქართული, არამედ აზერბაიჯანული პრესაც წერს.

გთავაზობთ აზერბაიჯანელი მეცნიერის – შელალე ჰასანოვას წერილს „ერევანი – უძველესი ქალაქი“, რომელიც აზერბაიჯანულ საიტზე – haqq.az-ზე – გამოქვეყნდა:

„დასანანია! მტკივნეულია! საწყენია! ბრიტანული The Telegraph-ის დანართის – „მოგზაურობის“ ვერსიით, ერევანი ევროპის 16 ყველაზე ძველი ქალაქის სიაშია. ეს ხომ სიცრუეა! ფალსიფიკაცია! ჩვენ ბევრს ვწერდით იმის შესახებ, რომ ერევანი 500 წლის წინათ შაჰ ისმაილის ბრძანებით აშენებული შუასაუკუნეების აზერბაიჯანული ქალაქია, ფაქტებით უარვყოფდით სომეხთა ვერსიას, რომ ერევანი 29 წლით ძველია რომზე და ა.შ., მაგრამ – ამაოდ!

რაც უნდა საწყენი იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით სიმართლის გატანა აზერბაიჯანული მედიის საზღვრებს გარეთ. არავინ შეისმინა ჩვენი ნათქვამი არც დასავლურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, არც ავტორიტეტულ საზღვარგარეთულ მედიასაშუალებებში, არც დასავლურ სამეცნიერო წრეებში. ამის მტკიცებულებაა The Telegraph-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობა, რომელშიც გვარწმუნებენ, რომ თითქოს *„პირველ მცხოვრებლები ერევანში ჩ.წ.აღ-მდე 782 წელს გამოჩნდნენ, რომის დაარსებამდე 30 წლით ადრე ქალაქი აზიიდან ევროპაში მიმავალი ქარავნების გადასასვლელი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო“.*

ნონსენსი – ბრიტანული საიტი წერს სიძველეზე და აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც 1958 წელს აშენებული ერევნის რესპუბლიკის მოედანია გამოსახული. გასაკვირი არც არის, სომხეთის დედაქალაქში ხომ სიძველეები მხოლოდ შუა საუკუნეების აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ძეგლები იყო, რომლებიც სომხებმა პირისაგან მიწისა აღგავეს, რათა მათთვის არ შეეხსენებინათ, რომ მოსულები იყვნენ უძველესი ოგუზების მიწაზე. The Telegraph-ი, აგრეთვე, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ „ქალაქი დაიპყრეს ასირიელებმა, ბიზანტიელებმა, რომაელებმა, სპარსელებმა, არაბებმა, სელჩუკებმა, მონგოლებმა და თურქებმა, და საბჭოთა წითელმა არმიამ 1920 წელს“. ბოლო ფრაზა ყველაზე პიკანტურია! აი, თურმე რა – სომხეთში უკვე „დაავიწყდათ“, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მათ სახელმწიფო ძირძველი აზერბაიჯანული მიწების ხარჯზე, და ინგლისურ საიტზე სსრკ დამპყრობელ იმპერიად გამოჰყავთ. აი, კიდევ ერთი ღალატი სომხებისა რუსეთის მიმართ. როგორც ჩანს, მათ ძალიან უნდათ, ისტორიული მეხსიერებიდან ამოშალონ ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიაში სომხეთი არ არსებობდა. და, როგორც ვხედავთ, სომხები ტარანის მეთოდით მიილტვიან დასახული მიზნისკენ.

როგორ მოვიქცეთ? კვლავინდებურად განვაგრძოთ მუშტების ქნევა და ვწეროთ უარყოფის სტატიები ადგილობრივ მედიასაშუალებებში? თუ აქტიურობასა და სიფრთხილისკენ მოვუწოდოთ დიასპორულ ორგანიზაციებს, საელჩოებს, პრეზიდენტთან არსებულ სტრატეგიული კვლევების ცენტრს, დიასპორების კომიტეტს, კულტურისა და ტურიზმის სამინისტროსა და სხვებს? ამასთანავე, დრო ხომ არ დადგა, გავაძლიეროთ მუშაობა ავტორიტეტულ ლობისტურ ორგანიზაციებთან და უარი ვთქვათ დილეტანტების მომსახურებაზე? და, რაც მთავარია, *უნდა შევიმუშავოთ ქვეყნის პიარის ეფექტიანი კონცეფცია და თავი დავანებოთ საკუთარი თავის ქებას უცხოეთში განხორციელებული ერთჯერადი ღონისძიების გამო, რომლებიც სტუმრებს უფრო ფლავით, ქაბაბითა და ფაჰლავით ამახსოვრდებათ, ვიდრე აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თეზისებით.*

ათეულობით მაგალითიდან მოვიყვან ერთს: *2012 წელს შევადგინეთ წინასწარი სია 67 ქრისტიანული ალბანური ეკლესიისა, რომლებიც სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ მიიტაცა. მათი ნაწილი წარდგენილი იყო ბრიტანეთის პარლამენტში გამართულ კონფერენციაზე „ტოლერანტულობის აზერბაიჯანული მოდელი ევროპულ მულტიკულტურიზმში“. მოკლედ, დიდი მუშაობა გავწიეთ, მაგრამ მისი გამოძახილი აქამდე არ ჩანს.* და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არავინ დაინტერესდა ამ დოკუმენტის ბედით, არავინ იბრძოლა, სიმართლე მიეტანათ ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტამდე. ამის გამო ხომ არავის სჯიან. მოხსენება გააკეთეს, გაისეირნეს და მორჩა.

უწოდო ერევანს უძველესი ქალაქი – ეს ნიშნავს, რომ გადახაზო ისტორია ერივანის ციხე-სიმაგრისა, რომლითაც დაიწყო აზერბაიჯანული ქალაქი ირავანი და რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, 1936 წელს სახელი გადაარქვეს და ერევანი უწოდეს. ერევნელი ცრუმეცნიერები კი თავიანთ მოგონილს, დიდი ხანია, ნერგავენ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში. ისინი ხმას არ იღებენ სეფევიდების პერიოდში აზერბაიჯანელი ბეგლარბეგების არსებობაზეც კი. იმხანად ერივანი და ნახიჭევანი წარმოადგენდა ულკეს, ანუ ყიზილბაშური ტომის – უსტაჯლუს – საცხოვრებელს. *იმ პერიოდში ამ აზერბაიჯანულ მიწებს ჩუხურ-საადი ეწოდებოდა. სეფევიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ იმპერიის ბეგლარბეგები 20 აზერბაიჯანულ სახანოდ დაიყო, მათგან ერთ-ერთი იყო ერივანის სახანო. მოკლედ, ამ მიწაზე არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთი სომხეთი.*

მაგრამ წაიკითხეთ ვიკიპედიაში სტატია „ერივანის სახანო“ და წააწყდებით ასეთ ფრაზას: „სახანო მდებარეობდა აღმოსავლეთ სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე“ და სხვა ტყუილებს. და კვლავ შეკითხვა, რომელიც შეიძლება რიტორიკულ შეკითხვად დარჩეს: რა ვუყოთ ვიკიპედიას, რომელიც სავსეა სომხური ფალსიფიკაციებით?

აღარაფერს ვამბობ ანტიაზერბაიჯანული სტატიის ინგლისურენოვან ვერსიაზე, რომელიც ძრძოლის მომგვრელია. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ახალაშენებული ერევანი ბრიტანელებს ევროპის ყველაზე ძველ ქალაქად მოეჩვენათ, ბაქო კი მისი გობუსტანით, ქალწულის კოშკით, იჩერი-შეხერით, გარეუბნებში მდებარე უძველესი კოშკებით ბორტს მიღმა დარჩა.

ირევანს საფუძველი ჩაეყარა XVI საუკუნის დასაწყისში, როგორც სეფევიდების, ანუ თურქულ-აზერბაიჯანული იმპერიის ციხე-სიმაგრეს ოსმალეთის იმპერიის საზღვარზე. ცნობილი თურქი მოგზაურის *ევლიე ჩელების* მემუარების მიხედვით, შაჰმა ისმაილ I სეფევიმ 1504 წელს გასცა ბრძანება, მდინარე ზენგზე აეგოთ ციხე-სიმაგრე აღმოსავლეთით ოსმალების გადაადგილების შესაჩერებლად. მშენებლობა დაევალა ვეზირ რევან-ღულუ ხანს, აქედან მომდინარეობს ციხე-სიმაგრის სახელწოდებაც – რევან-ყალა, რომელიც ტრანსფორმირდა ერევნად. 7 წლის შემდეგ 850 მ სიმაღლეზე აიგო 7 ჰა ფართობის ციხე-სიმაგრე.

1655 წელს ირევანში ჩავიდა ფრანგი მოგზაური *ჟან ბატისტ ტავერნიე*. 10 წლის შემდეგ კი – *ჟაკ შარდენი*, რომელმაც ის აღწერა, როგორც აზერბაიჯანული ქალაქი. მოგზაური წერს, რომ ციხე-სიმაგრეში იყო 800 სახლი, რომელშიც მხოლოდ მუსლიმანები ცხოვრობდნენ. მან აღწერა მეჩეთები, მარმარილოს აუზები შადრევნებით, ბაღები, სარდარის სარკეებიანი სასახლე, აზერბაიჯანელთა წეს-ჩვეულებები და ცხოვრება. ეს ფაქტები იმიტომ არის ფასეული, რომ შემონახულია სარწმუნო ცნობები ქალაქზე, რომელიც 1679 წელს მიწისძვრის შედეგად დაინგრა, სტიქიური უბედურების შემდეგ მმართველმა ზალ ხანმა სხვა აზერბაიჯანელ ხანებთან ერთად სწრაფად აღადგინა ქალაქი და კიდევ უფრო გააძლიერა ციხე-სიმაგრე.

არსებობს კიდევ უფრო სარწმუნო არგუმენტი იმისა, რომ ერევანი აზერბაიჯანს ეკუთვნის. ის შემონახულია 1918 წლის 29 მაისით დათარიღებულ წერილში, რომელიც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა მეთაურმა *ფათალი ხან ხოისკიმ* საგარეო საქმეთა მინისტრ *გაჯინსკის* მისწერა: *„ჩვენ სომხებთან ყველა საკამათო საკითხი მოვაგვარეთ, ისინი მიიღებენ ულტიმატუმს და დაასრულებენ ომს. ჩვენ მათ დავუთმეთ ირავანი“.*

საქმე ის არის, რომ 1918 წლის 28 მაისს სომხებმა ისე გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, არც ტერიტორია ჰქონდათ და არც პოლიტიკური ცენტრი. 1918 წლის 29 მაისს ახალგამოცხადებულმა აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ძირძველი აზერბაიჯანული ქალაქი ირევანი და მის გარშემო ტერიტორია, დაახლოებით 9,5 ათასი კვ.კმ ფართობი, სომხებს დაუთმო.

ის, რომ ერევანი 500-ზე ოდნავ მეტი წლისაა, უარყოფს სომხების ვარაუდს, რომლებმაც ქალაქის დაარსების თარიღად უსაფუძვლოდ გამოაცხადეს 782 წელი ჩ.წ. აღრიცხვამდე. *ერევნის დაძველება სომხებს რამდენიმე მიზეზით სჭირდებოდათ: პირველი – მათ მოსვენებას არ აძლევდათ ის, რომ 1958 წელს საქართველომ აღნიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი; მეორე – აუცილებელი იყო, მოეძებნათ სომხური ბაზა სიტყვა „ირევანის“ წარმოშობის დასასაბუთებლად. ასე მომწიფდა პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისაღწევადაც საბჭოთა სომხეთის ზოგიერთმა ხელმძღვანელა არქეოლოგიური აღმოჩენების გამოყენება გადაწყვიტა.*

საუბარია ლურსმნული ანბანით დაწერილ ფილაზე, რომელიც 1950 წელს იპოვეს ერევნის გარეუბანში. მასზე იყო მხოლოდ სამი ნიშანი *„რბნ“* (ადრე ხმოვნები არ იყო) და თარიღი 782 წ. ჩ.წ.აღ-მდე. *ეს ფილა 8 წლის განმავლობაში არავის უხსენებია და მხოლოდ 1958 წელს, ანუ ძველი თბილისის იუბილიდან ძალიან მალე, სომხებმა არტეფაქტი ლურსმნული ანბანის გაშიფრულ ძეგლად წარმოადგინეს, რომელიც თითქოს ამტკიცებდა, რომ ძველ ქალაქს ეწოდებოდა ერებუნი. არადა, მათთვის სასურველი ხმოვნების ჩასმით, მიიღეს სიტყვა „ერებუნი“, და ასე ახსნეს ეტიმოლოგიურ კავშირი ერევანთან.* მიუხედავად იმისა, რომ უძველეს წარწერაზე მითითებული არ ყოფილა ქალაქ „რბნ“-ის გეოგრაფიული მდებარეობა, სომეხმა ფალსიფიკატორებმა ეს არქეოლოგიური აღმოჩენა საკმარისად ჩათვალეს ერევნის ისტორიის დასაძველებლად.

აღსანიშნავია, რომ *იუნესკოს (განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხების გაეროს ორგანიზაცია) აქამდე არ უღიარებია ლურსმნულდამწერლობიანი ბაზალტის ქვა უძველესი ქალაქის – ერებუნის – არსებობის მტკიცებულებად.* თვითონ განსაჯეთ: ერევანი მართლა რომ ყოფილიყო სომხური კულტურის ნაწილი, ეს აუცილებლად აისახებოდა სომეხთა ისტორიაში და ისინი აუცილებლად აღნიშნავდნენ თავიანთი ქალაქის დაარსების თარიღს.

როგორც ხედავთ, არგუმენტები საკმაოდ ბევრია, რომლებიც უარყოფენ ერევნის, როგორც უძველესი ქალაქის, არსებობას, მაგრამ ვინ უნდა აგოს პასუხი ტყუილზე?

ვის უნდა მოეკითხოს, რომ ზემოხსენებულ სარეიტინგო სიაში, ქართულ მცხეთასთან და ქუთაისთან ერთად, არ იცის კავკასიური ალბანეთის ცენტრის დედაქალაქი – აზერბაიჯანული ქალაქი გაბალა ან შეკი უძველესი ეკლესიით, რომელიც 1244 წელს არქიდიაკონმა სერაფიმემ აღადგინა?

ვიდრე კითხვებს ვსვამთ, უძველესი ძეგლების არმქონე ერევანი მართლაც უძველესი ევროპული ქალაქების სიაში მოხვდა, საბერძნეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ხორვატიის ქალაქების გვერდით.

მტკივნეულია! საწყენია!

შელალე ჰასანოვა
haqqin.az

თავისუფალი საქართველოს მეცხოვნენი

“აღვმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა...“
ვეფხისტყაოსანი

„საქართველოს სახელმწიფო ხასიათის დროშების სახე, ფერები და ალბათ გამოხატულებანიც, აგრეთვე დროშების თავების ფორმა, განსაზღვრული იყო მეფეთა ბრძანებით...“
ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

294 – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი კანონი 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება („საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებანი“ იხ. უწყებანი 1978 წ.)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

295 – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი კანონი 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის ბრძანებულება („საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებანი“ იხ. უწყებანი 1951წ.)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

296 – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი კანონი 182-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტური და მუსიკალური რედაქცია.

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელ საქართველოში შემოღებულ იქნეს 1990წლის 15 ნოემბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის სიტყვები გამოქვეყნდეს.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება („საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებანი“ იხ. უწყებანი 1978წ.)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

1918 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შენობის თავზე აფრიალდა სამფეროვანი სახელმწიფო დროშა. დროშა რომელმაც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, გასულ საუკუნეში ორჯერ მოუტანა გამარჯვება, მაგრამ მტრის მტრის რისხვამ არ დაახანა და ისევე როგორც 1921 წელს, 1992 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის (შევარდნაძის) ნატვრა – გაეუქმებინა საქართველოს სამფეროვანი დროშა, – მ. სააკაშვილმა, თავის მამობილს პირნათლად აღუსრულა და საქართველოს გარეულ მტრებს სერგო ორჯონიკიძის მსგავსად ახარა, რომ საქართველოს მთავრობის სასახლის თავზე ააფრიალა უცხო ქვეყნის, უფრო ზუსტად კი ქალაქ იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა.

ცნობილია, რომ როდესაც მტერი ბრძოლის დროს სახელმწიფო დროშას ხელში ჩაიგდებდა, ეს იყო ნიშანი ბრძოლის ველზე ქვეყნის საბოლოო დამარცხებისა. ის სიმბოლიკა, რომელიც საზოგადოდ ჩადებულია ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო დროშაში, ხელშეუხებელია.

საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მამულიშვილთა – დიდ მეცნიერთა – ექვთიმე თაყაიშვილის (წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის) ჩვენი ისტორიის მამის ივანე ჯავახიშვილის და ეროვნული დროშის მოდელის ავტორების დიდი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძისა და მამულიშვილი მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის მიერ საღვთო განგებულებით იქნა შექმნილი. მაგრამ საქართველოს დროშის სიძლიერე არ ასვენებდა საქართველოს დაუძინებელ მტერს, უცხო ქვეყნის ემისარს, ქვეყნის ამაოხრებელ შევარდნაძეს; ამიტომაც, როდესაც მან ხელისუფლება 2003 წელს გადააბარა თავის შვილობილს მ. სააკაშვილს, მან პირველ რიგში სახელმწიფო ინსიგნიების შეცვლა დაავალა და მის მიერ ქართული დროშის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მზაკვრულად მას აღასრულებინა. თუმცა მანამდე დიდი ხნით ადრე, მისი ე.წ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 26 მაისს გამართულ ე.წ. აღლუმზე, მორიგი სპექტაკლის გათამაშებს დროს, მისი დავალებით, ვერტმფრენიდან თბილისის თავზე უზარმაზარი იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა გადმოიშალა. ქართული ეროვნული მოძრაობის, ეროვნული დროშის ჰიმნისა და ღერბის წინააღმდეგ გალაშქრება რომ დიდი დანაშაულია ეს საყოველთაოდ ცნობილია და იგი ძვირად დაუჯდა საქართველოს, რისი შედეგებიც დღეს სახეზეა. დროშა, რომელიც შევარდნაძის პირდაპირი დავალებით, ოკუპანტებმა აღმართეს მთავრობის სასახლის თავზე, ვერანაირად ვერ იქნება დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დროშა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე იმის კითხვა: ჰქონდა თუ არა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ქვეყნის სათავეში მოსულ შევარდნაძე-სააკაშვილის ტერორისტულ-სადისტურ რეჟიმებს სამართლებრივი, ზნეობრივი და მითუმეტეს, იურიდიული უფლება იმისა, რომ შეეცვალა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკა – ღერბი, ჰიმნი და დროშა?

საქართველოს რესპუბლიკის კანონების გაუქმების პრეროგატივა ჩვენს ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მიერ კონსტიტუციურად არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას და სხვას არავის. ეს თემა სადაო არ გახლავთ და ამით ყველაფერი ნათქვამია. აქ, ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფო დანაშაულთან.

საქართველოს ე.წ. ხელისუფლებაში, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსულმა მაოხრებელმა ე. შევარდნაძემ, როგორც ეს ზემოთ ავღნიშნეთ, თავისი მოკლე ჭკუით, ამ სიმბოლოების მოშლა, განადგურება სააკაშვილის ხელით განახორციელა, რამეთუ ჩვენი ქვეყნის გარეშე თუ შინაურ მტერს, ქართველი ერის ნაწილის გაუთვითცნობიერებულობით უნდა ესარგებლა და ქვეყნის საბოლოო განადგურებისათვის უნდა მიეღწია. ამიტომაც იყო, რომ ჰიმნის ტექსტის ე.წ. შერჩევის დროს, მათ მიერ შეგნებულად და სრულიად გამიზნულად, ვითომდა კონკურსით „გამარჯვებულ“ „მხედრიონელ პოეტს“ დ. მაღრაძეს მიანდეს.

წერა-კითხვის უცოდინარმა შევარდნაძემ „ჩასწორება“ გაუკეთა იმ ჰიმნს, რომლის მუსიკა და ტექსტი დაწერა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა და როგორც ტექსტი, ასევე მუსიკა საქართველოს ძლიერებას, არა დამონებული, არამედ ღმრთისაგან კურთხეული თავისუფალი საქართველოს დიდებას გადმოგვცემს. საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა – შევარდნაძე-სააკაშვილის სახელმწიფო დანაშაულის თანამონამონაწილე რელიგიურად და სულიერად გაუნათლებელმა პუჩისტურმა წითელმა ინტელიგენციამ, მსგავსად მათი სულიერი და გენეტიკური წინამორბედებისა – ორჯონიკიძეებისა, ღოღობერიძეებისა და სხვათა მსგავსად მოინდომეს და გააუქმეს უდიდეს მამულიშვილთა მიერ შექმნილი სახელმწიფო სიმბოლიკა და მათ სანაცვლოდ მოღალატე მანქურთთა და უმეცართა მიერ შეთითხნილი სიმბოლიკები დააწესეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ღერბად, ჰიმნად და დროშად. ყველაზე შეურაცხმყოფელი ამ საქმეში გახლდათ ის, რომ ამ ბუმბერაზ მამულიშვილთა მიერ შექმნილმა ჰიმნი, ღერბი და დროშა ასე ადვილად დათმო ქართველი ერის გაუნათლებელმა ნაწილმა, ე.წ. ინტელიგენციამაც, რომელსაც ხელთ ეპყრა ე.წ. ხელისუფლების სადავეები და მისმა გამაღმერთებელმა საზოგადოების უცოდინარმა ნაწილმა. საგულისხმოა ისიც, რომ ზვიად გამსახურდიამ 1918 წელს შექმნილი სახელმწიფო სიმბოლიკის ეს სამი ატრიბუტი, 70 წლის შემდეგაც ხელუხლებლად აღადგინა, (1991წლის 9 აპრილს) რითაც საქართველოს პრეზიდენტმა უღრმესი პატივისცემა გამოხატა ამ დიდი მამულიშვილების მიმართ და ეროვნული სახელმწიფოს არსებობის მარადიული გზა დაუსახა მომავალ თავისუფალ საქართველოს.

საქართველოს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლისთანავე 66 წლით სამშობლოდან გადახვეწილი, „შეფიცულთა რაზმის“ უკანასკნელი ცოცხალი წევრის, ალექსანდრე სულხანიშვილის სამშობლოში დაბრუნება და მის მიერ, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მის თანარაზმელთა, საქართველოს სამფეროვანი დროშის დაბრუნება და მისი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის, როგორც გამარჯვებული პოლიტიკური პარტიისადმი და ბლოკისადმი გადაცემაც (იგი პარლამენტის გახსნამდე სულ რამოდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა და ანდერძად დაიბარა ამ საქმის აღსრულება) ხომ ნათელი მაგალითია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“, სწორედ ამ ჭეშმარიტ მამულიშვილთა სისხლით 1918 წელს მოპოვებული სამართლებრივი და სულიერი მემკვიდრეობისა. შევარდნაძის ავაზაკთა ხროვამ – ბანდფორმირებებმა კი რომელიც 1992 წლის 7 იანვარს პარლამენტის შენობას შეესია, ყველაფრის განადგურებასთან ერთად ამ დროშასაც, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კაბინეტში იმყოფებოდა, წაუკიდა ცეცხლი მაგრამ ის, თუმცა დამწვარი, მაინც გადარჩა.

ხოლო ჩვენი დროის ქართველი გმირისა და მოწამის გაბრიელ ისაკაძის მიერ საბჭოთა დროშის ჩამოხსნის სანაცვლოდ აღმართული სამფეროვანი ალამი, რისთვისაც ის უდაოდ გმირის წოდებას იმსახურებს, (შევარდნაძის შავრაზმელებმა იგი დაიჭირეს და წამებით მოკლეს, რისთვისაც პასუხი, ისე, როგორც სხვა ათასობით დანაშაულისათვის, არც მას და არც არავის უგია) მ. სააკაშვილმა მთავრობის სასახლიდან ჩამოხსნა და მის მაგივრად უცხო ქვეყნის, ქალაქ იერუსალიმის დროშა აღმართა, მათი შავბნელი საქმეების აქ განსამტკიცებლად. ეროვნული დროშის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა რომ დანაშაულია ამაზე ვერავინ იდავებს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ წითელმა ინტელიგენციამ, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის დაქცევის თითოეულ ეტაპზე, აქაც კარგად „ივაჟაცა“ და შევარდნაძის შავბნელი, ღვთის საწინააღმდეგო ზრახვები, ისევე როგორც კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობა, თავისი ე.წ. კომპეტენტურობით, ქართველი ხალხის გაუთვითცნობიერებელ ნაწილს თავს მოახვია.

სამფეროვანმა დროშამ, როგორც ცნობილია ღვთიური მადლითა და ქართველ გმირთა თავგანწირვით ორჯერ (1918 წლის 26 მაისსა და 1991 წლის 9 აპრილს) გამარჯვება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. ამიტომაც მას „გამარჯვებული“ დროშა ჰქვია.

სამფეროვანი დროშის ისტორია, თავისთავად არც ისე მარტივი და პრიმიტიულია, როგორც ეს პუჩისტების უაზრო გამონათქვამებიდან ისმოდა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც ისინი შტურმით უტევდნენ, როგორც კანონიერ ხელისუფლებას, ასევე პრეზიდენტსა და სახელმწიფო სიმბოლიკას. მათ ქართველი ერი და კონკრეტულად კანონიერებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაუღალავი დამცველები მათსავით უმეცარი ეგონათ, ერი, რომელმაც პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია, ბუნებრივია არ გაჰყვებოდა ჩვენი ქვეყნის მტრის მარადიული ლენინელის შევარდნაძის კვალს და ქვეყნის ბედ-იღბალს მას და მის დამქაშებს არ ჩაუგდებდა ხელში.

„ვეფხისტყაოსნის ტექსტი მოიხსენიებს „ალმითა წითელ-შავითა“ სამეფო დროშას. როდესაც უარვყოფთ სამფეროვანი დროშის ისტორიულობას, უარვყოფთ ვეფხისტყაოსნის ორიგინალობას; უარვყოფთ პოემაში აღერილი ხელმწიფის ძალაუფლების ნიშნების ქართულობას. სახელმწიფოს მართვის წყაროებში წერილობით დაფიქსირებული წეს-ჩვეულებების – ზნის ქართულობას.“ – წერს ვეფხისტყაოსნის მკვლევარი ცირა ინწკირველი თავის ნაშრომში „იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება“.

(როგორ ასხამს ეს წყალს დღეს განსაკუთრებით, ჩვენი მტრის წისქვილზე, ქართველი მკითხველისათვის მიგვინდვია. შენიშვ. ჩვ.)

„როცა ვგმობთ ეროვნულ დროშას, ჩვენზე სრულდება პეტრე მოციქულის სიტყვები: გმობენ იმას, რაც არ გაეგებათ.

ეროვნული დროშის ძოწისფერი ალამი ბიბლიური ეთნარქებისაგან მოგვდგამს; როცა ვიწუნებთ ეროვნული დროშის ალამს, თუ გულწრფელნი ვართ ჩვენს მისწრაფებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვიცით ბიბლია, რომ კანონიკურ ტექსტში ვერ გვიცვნია ქართველური ტომები, ეროვნული დროშის წინააღმდეგ გალაშქრება, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი კადნიერებაცაა; დღეს ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ მტრული გამოხდომების შემდგომ, რაც მოჰყვა ეროვნული დროშის გამოჩენას, საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ეროვნული საბჭოს სხდომაზე, 1918 წლის 5 აგვისტოს დროშა დაიცვეს აკადემიკოსებმა ექვთიმე თაყაიშვილმა და ივანე ჯავახიშვილმა, რის შემდეგაც ეროვნული დროშის მოდელის ავტორებს (მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე) პრემია მიენიჭათ.

ეროვნული დროშის ალამის შემადგენელი სამივე ფერი, შავი, თეთრი, მწამული, საქართველოს წყვდიადით მოცული წარსულიდან მოდის, დასახელებულ საკრალურ ფერთა კანონიკური რელიგიური სიმბოლიზმის კვლევას შესწევს უნარი ნათელი მოჰფინოს უძველესი დროიდან წერილობით დაფიქსირებულ, დღემდის ლეგენდის სფეროს მიწერილ ქართული წყაროების ცნობას ქართველთა მეფეების ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან (ქალდეველებთან) სისხლხორცეული ნათესაობის შესახებ.

ქვეყანათა და კაცთა თარგმანებაში (ქართულად იგავიანი სიტყვის გაცხადებას ნიშნავს) საბა აღნიშნავს: ადამი ნიშნავს კაცს ქვეყნიერს, გინა მეწამულსო.....

დროშის ალამზე დატანილი ეს ჰერალდიკური სიმბოლოები შეიცავს წარმომავლობის საიდუმლოს.... საქართველოს დროშის სამფეროვან ალამში მისი ავტორების მიერ ჩადებული კონცეფცია დღემდე დაცული სამეფო დროშის ექვივალენტურია. შეიძლება ითქვას, ფერები ბედნიერად დალაგდა, რაც მოწმობს დროშის ავტორების და მისი დამცველების ჩახედულობას მშობელი ქვეყნის წერილობით დაფიქსირებულ და ისტორიულ რეალური პლანის თვალსაზრისით ჯერ დაუწერელ ბიბლიურ ისტორიაში მათს ზეგარდამოცემულ ნიჭს. დიმიტრი ბაქრაძეს ილია ჭავჭავაძის კუბოსთან უთქვამს: „არ დაგივიწყებთ, რადგან ყველა ერს მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს თავისი ვინაობა და ეგ წარსული ქართველებს შენ მოგვეცი“ – „იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება“ ცირა ინწკირველი.

აი, რა მიზნებს ისახავდნენ შევარდნაძე-სააკაშვილი, გ. ალასანია „დედა-პრეზიდენტი“, მისი სადისტი ვაჟის „სამშობლოსათვის აღზრდისას“, როდესაც მათ საქართველოს სახელმწიფოს და მისი სულერი საგანძურის განადგურებასთან ერთად უნდა მოესპოთ ის დიდი ისტორია, რომელსაც ჩვენმა ბრწყინვალე წინაპრებმა – მეფეებმა, სასულიერო პირებმა, მწიგნობრებმა თავდადებულმა ქართველებმა შესწირეს სიცოცხლე და მიუძღვნეს თავიანთი ცხოვრება.

ეროვნული კომიტეტი არ სცნობს შევარდნაძე-სააკაშვილის სადისტური, ანტიქართული რეჟიმების მიერ დაწესებულ სახელმწიფო სიმბოლიკას და ითხოვს დაუყოვნებლივ გაუქმდეს ცრუ, არაქართული და სახელმწიფო დამნაშავეთა მიერ „შექმნილი“ ე.წ. სახელმწიფო ინსიგნიები და ითხოვს ჩვენს ქვეყანაში აღდგეს კანონიერი ხელისუფლების მიერ დადგენილი ჭეშმარიტი – დროშა, ღერბი და ჰიმნი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ისტორია ამას არ დატოვებს შეუსწორებელს და როგორც კი საქართველოში აღსდგება კონსტიტუციური სამართლიანობა, მეყვსეულად აღსდგება ეს სახელმწიფო სიმბოლიკაც, როგორც ქვეყნის უძლეველობისა და დაუმარცხებლობის ნიშანი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი;

ბესო (ბესარიონ) მიქავა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

მღვდელ-მონაზონი ილარიონი (ჯანელიძე)

ნანა კახიანი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

ზურაბ ძობალია,
ჟურნალისტი;

მანანა ჯიჯეიშვილი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;

ვალტერ ოჩიგავა,
პოლიტდევნილი;

ᲥᲘᲛᲘᲐ, ᲐᲚᲥᲘᲛᲘᲐ, ᲔᲥᲘᲛᲘ, ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ, ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ტᲔᲠᲛᲘᲜᲗᲐ ᲔᲢᲘᲛᲝᲚᲝ�გᲘᲐ

ეტყობა, ოდესდაც **მერე** დიდ წყალს, ზღვას აღნშნავდა და ინდოევროპულ ენებშიც აქედან გავრცელდა.

ამგვარად, მერე-თი წყლისპირა (ზღვისპირა, ტბისპირა, მდინარისპირა) ადგილი იყო, ხოლო რაკი შ დღესაც წყალს ნიშნავს, შესაბამისად, შ + მერე > შ მერე, წყალსატევებთან მდებარე, სველი წყლისპირა მიწები გახლდათ. რიონ-ენგურის ქვაშიანი სანაპიროები სისველეს კარგად ინახავენ და, ამიტომ მათთვის ეს სახელი — შ -მერე, როგორც იტყვიან, ზედგამოჭრილია. სახელი — ი-მერე- თი აქედანაა: შ -მერე-თი > ი-მერე-თი.

ცნობილია რომ ტიგრსა და ევფრატს შორის მდებარე მიწები, გაზაფხულობით, მთლიანად წყლით იფარებოდა და ადიდებულ ამ დიდ მდინარეთა შლამ-ქვიშით ნოყიერდებოდა. მაშასადამე შ -მერე-თი, როგორც ტოპონიმი აქაც გამართლებულია.

სენაკის რაიონში არის გორაკიანი სოფელი სახელით — უ-შა-ფა-თი. აქ უარყოფითობის პრეფიქსი უ-ს არსებობა გასაგებია. შა ხმოვანშეცვლილი შ „წყალია,“ ფა მცენარეა, თი = ადგილი. ესეიგი უ-შა-ფა-თი არის უწყლო ანუ მშრალი მცენარეული ადგილი.

ამის კონტრასტულია სოფელი გალის რაიონში, სწორ დაბლობზე მდებარე, შესაბამისი სახელით — შე-შე-ლე-თი. ამ სახელში წყლის აღმნიშვნელი შე მარცვალი დუბლირებულია, ამიტომ უდაოა შე-შე-ლე-თი წყლიანი ადგილის აღმნიშვნელია.

როგორც ვხედავთ, მოგვეპოება წყლის აღმნიშვნელ შ მეგრული სიტყვის დერივატები — შუ (შუმერი), შა (უ-შა-ფათი), შე (შე-შე-ლეთი) კომპოზიტ სიტყვებში ნიადაგში წყლის არსებობის თუ უარყოფის აღმნიშვნელ ტოპონიმებად და ყველა შემთხვევაში ტოპონიმი, ზედმიწევნით, ასახავს სახელსადები ობიექტის (მიწის) რაობას წყლის შემცველობის თვალსაზრისით, რაც გამორიცხავს დასკვნების მცდარობას.

გამოთქმული ეს მოსაზრებები კარგად ესადაგება როგორც ნ. მარის შეხედულებას დაეკავშირებინა იმერი და შუმერი წყლის მნიშვნელობასთან (იხ. ნ. მარი „იაფეტური კრებული“ 1923წ. გვ. 206 ლენინგრადი.), ასევე ბლაიხშტაინერის შეხედულებას შუამდინარეთში, სხვადასხვა დროს სამი იაფეტური (ქართველური) — სუბერ // სუბარ; იბერ და ბასკ // მუსკ ტომთა შეჭრის თაობაზე.

ხატოვნად რომ ვთქვათ, დღესაც ცოცხალმა სამმა მეგრულმა სიტყვამ — შ -მ, მერე-მ და თი-მ გასდო ხიდი იმერეთს, შუამდინარეთის შ მერეთს და პირინეის იგივე იბერიას და ამავე ნახევარკუნძულზე მდებარე მდინარე იბერს შორის.

ბოლოს, მიუხედავად არსებული დიდად ავტორიტეტული მტკიცებისა (ნ. მარი), ქართველურ ტომთა ძველი სახელების, ძირითადად, ჰიპოთეტურ გუერ//გვერ//გურ ძირთან ერთიანობის თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ იმერ, იბერ, სპერ, ჰვერ მსგავსება განპირობებულია შ -მერე-დან წარმომავლობით, ხოლო გურ და გურია-ს იდენტობა განპირობებულია, იმით რომ, მეგრულში, გური გულსაც აღნიშნავს და ცენტრსაც. გურია კი, ერთ დროს, ეგრისის გულიც გახლდათ და ცენტრიც.

შა-ქარ-ი //შან—ქარ-ი, ნქირაფა, ხაშუა// ხარშვა, ხაში, ხაშლამა,

დასაშვებია, გვეფიქრა რომ მეგრულ შა-ნ-ქარ სიტყვაში ქ-ს წინ ნ განვითარებულია. ამიტომ, მის წინარედ ქართული შაქარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იქნებ ეს ასე არაა, რადგა ქ-ს წინ ნ განვითარდა ზმნა ნქირაფა-ში (ქრობა : ქირაფა : ნქირაფა), რაც გა-ქრობა-გაუჩინარებას, გაფითრება-გათავებას, მოშორება-მონელებას აღნიშნავს. მაგ: კოჩქ გონქირ – კაცი გაფითრდა, გათავდა; ჭანდიცალო გონქირ — ბუზივით გაქრა; ღვინი გამიმნქირე — ღვინო მოვინელე, მოვიშორე;

შაქარი წყალში (სითხეში) ქრება მეგრულად იქნება შანქარი შ ს ნქირ.

რაკი შ ს-ნქირ > შ -ნქირ > შანქარ თვალსაჩინოა, ხოლო შ ს-ნქირ სითხეში გაუჩინარება, გახსნა გახლავთ შაქარი, უეჭველად, მეგრული შანქარის გამარტივებაა (ნ სონორის ამოვარდნა). აი, საიდან გავრცელდნენ შაქარ//შანქარ -ის შესატყვისი სახარ, ცუკორ და ა. შ . სიტყვები მსოფლიო ენებში..

დასკვნა: ტერმინ შანქარ-ის სახელმდებერს თავიდანვე უნდა ჰქონოდა წარმოდგენა ისეთ ფიზიკო-ქიმიურ მოვლენაზე როგორიც ნივთიერების წყაში ხსნადობაა. ან თუ ეს ასე არაა თავად შაქრის დამზადების ხანგრძლივმა პროცესებმა მიახვედრეს ის ამ მოვლენის არსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერმინს (შ ს-ნქირ „წყალში ქრება“), რომელიც პირდაპირ ღაღადებს მისსავე მთავარ თვისებაზე — წყალში ხსნადობაზე, ვერ გამოძებნიდა.

შ სიტყვასთანაა დაკავშირებული ქართულ-მეგრული ხარ-შ-ვა // ხა-შ-უა.

დააკვირდით თუ როგორ ესადაგებიან ბგერები ხ და შ ხარშვის თანმხლებ ბგერით მოვლენებს!...

კულინარიული ტერმინები — ხა-შ-ი და ხა-შ-ლამა კი სწორედ რომ ხარშვასთან არიან კავშირში, რადგან დიდხანს იხარშებიან..

ხაში იმდენხანს იხარშება, მისი სახელი უთუოდ ხაშუა-ში, იქნებოდა. რაც ქართულად ხარშვი-სი ანუ ხარშვის შედეგად მიღებულს ნიშნავს:

ხაშ(უა)ში > ხაში.

რაც შეეხება ხაშ-ლამა სახელს, მასაც სრულიად საჩინო და მარტივი ეტიმოლოგია გააჩნია: ლამე სველია, მეგრულად და ხაშლამა სხვა არაფერია თუ არა ლამე ხაში ანუ წვნიანი ხაში ანუ წვნიანი ნახარში.

ნაწი, ნე, ნაღველი, ღვარი, მღვრევა, მარწვენი // მაწონი, კაზლა, სელეგინი, ჯაფა, მუშა...

მიწათმოქმედების პარალელურად ვითარდება მესქონლეობა. ადამიანმა მიაგნო რძის აჭრის ხერხს, რამაც რძისაგან ყველის მიღების საშუალება მისცა.

როგორც ცნობილია, კუჭის ლორწოვნის სპეციალური ჯირკვლები მდიდარია ფერმენტებით, რომელთა მოქმედებით ხდება რძის აჭრა. დღესაც სამეგრელოში ცხოველის კუჭს ასუფთავებენ, ამარილებენ, ამშრალებენ, უმატებენ დოს და ღებულობენ ასაჭრელ მასალას — კვეთს, მეგრულად, ნაწ-ს, რომელიც (სახელი ნაწ-ი) კუჭის სინონიმიცაა: ნაწი ქუდადგინიო? უდრის — რძის ასაჭრელი დააყენე? მაგრამ მუქარა — ნაწის გოისოფ უდრის „კუჭს გაგიხეთქავ“ ანუ აქ ნაწი კუჭს აღნიშნავს.

ფრიად საინტერესოა, ნაწი-ს, როგორც ასაჭრელი მასალის სახელის და ნაწი-ს — ანატომიურ ორგანოს (კუჭის) სახელის პირველადობის საკითხი. ამის დასადგენად მოგვიხდება ნა-წი იგივე ნა-წა-ს თავდაპირველი ფორმის რეკონსტრუქცია. იგი, უეჭველია იყო ნე-წა, ვინაიდან ნაღვლის ბუშტის და კუჭის წვენს მეგრულად ნე ეწოდება ნექ ეკულ უდრის პირიდან კუჭნაღველის წვენი ამოუვიდა; წა კი მეგრულად არის წყალი (შდრ. წა-კურთხია უდრის „წყლის კურთხევა“). რა თქმა უნდა, ეს პათოლოგიური ფიზოლოგიური პროცესი ადამიანისთვის, ხნოვანების თვალსაზრისით, დასაბამისმიერია, ამიტომ, ქრონოლოგიურად ნე-წა „კუჭ-ნაღველის წვენი“ > ნა-წი “ასაჭრელი მასალა“ უნდა ვიგულისხმოთ. ანუ ნე-წა „კუჭ-ნაღველის წვენია“ ეტიმოლოგიური ამოსავალი.

მოვლენების ამგვარი განვითარება, კერძოდ: კუჭის, როგორც რძის ასაჭრელი მასალის ძირითადი კომპონენტის სახელისა და თავად ასაჭრელი მასალის სახელთა იგივეობა მკითხველისათვის საცნაურად ხდის თუ ვინ არიან ამ რძის აჭრის მეთოდის გამომგონებელნი.

ნაღველი (ნაღვლის წვენი) და ღვინი // ღვინო ერთმანეთს ფერით ემსგავსებიან, განსაკუთრებით მაჭარი და ნაღვლის წვენი. მეგრულად, ორივეს — ამ უკანასკნელთ ნე ეწოდება. მეგრულად, ნე ქვია, აგრეთვე, ზოგადად სითხეს.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სახელი ნაღველი და ღვინი//ღვინო მომდინარეობს მღვრიე წვენის მნიშვნელობის მქონე, აღდგენილი სიტყვა — ნე-ღვარ-ი-დან. მისი რეკონსტრუქცია ჩვენ მოვახდინეთ შემდეგნაირად: ნე სიტყვის თაობაზე უკვე ვიცით. სიტყვებში ლანდღვე „მღვრიე;“ ღვარ-ღვალ-ი „ წყლის უხვმდინარება, ღვარი;“ ღვარ-ღვინი „რევა;“ ლანდღუა „მღვრევა“ აქ მნიშვნელობათა განმაპირობებელია ღვ კომპლექსი და ღ ბგერა. ჩვენთვის საინტერესოა მღვრევა, რომლის ღვ კომპლექსის ღ ბგერით მღვრევის დროს წარმოქმნილი ჰაერის ბგერითი რხევები, ასევე ადიდებული, ამღვრეული წყლის ხმაური ადამიანის სამეტყველო ორგანოთა მიერაა იმიტირებული. მოხსენიებულ სიტყვებში, ეს ღ ბგერა, როგორც ვხედავთ, აუცილებელი კომპონენტია ბუნების შესაბამისი მოვლენების დასახასიათებლად და მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ეკუთვნის მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდს.

რაც შეეხება ვ ბგერას – იგი უ ბგერიდან წარმოიქმნა და ღ-ს შემდეგ შეეზარდა.

ამგვარად: ნე-ღვარ > ნე-ღვალი > ნა-ღველი;

ნე-ღვარ დისპოზიციით > ღვარ-ნე; გამარტივება > ღვანე//ღვინი;

ადამიანის მიერ ღვინო-ს დაყენების პროცესი, უეჭველია იწვევდა ბაზისური ქიმიური ცოდნის დაგროვებას. ყურძნიდან ხომ ჯერ წვენი — ნე, შემდეგ მაჭარი და ბოლოს ღვინო წარმიქმნება ეს გარდაქმნათა მთელი ციკლია და პირველი მეღვინეები თუნდაც უნებლიედ შეიცნობდნენ გინო-ქიმინ-ის „გარდაქმნათა“ არსს: წვენი, მაჭარი, ღვინო-ს აღქმა და შეცნობა. ასევე ამ გარდაქმნებთან თანმხლები მოვლენების აღქმა. მაგ დუღილის პროცესის შედეგად ტემპერატურული ცვლილებების შეგრძნებით გამოწვეული ასოციაციები. რომ ამ პროცესს აჩქარებს მაღალი ტემპერატურა, ნჯღრევა და ა. შ..

აქვე უდა შევნიშნოთ, რომ ბერძნებმა ღვინოს სახელი – „..იონოსი აითვისეს სწორედ იმ ხალხის ლექსიკიდან, რომელთა მეტალურგიის აღწერისას იხმარეს პირველად ტერმინი ქიმია..“ იხ. ვ. ნ . სიჭინავა „მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში. გვ 100.“

სხვა ისტორიული წყაროებიდან და ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში ძველი კოლხეთის და იბერიის პრიორიტეტები, ასევე ტერმინ ქიმიის ქართველურენოვან წარმომავლობაზე უნდა ამახვილებდეს ჩვენს ყურადღებას (შენიშნვნა: ამ ეტიმოლოგიების გაკეთებიდან ამ ეტიმოლოგიების გაკეთებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ – 1997 წ. გამოცემულ სასიგნალო პუბლიკაციაში „გეორგიული თეორია“ მოცემულია ღვინოს ეტიმოლოგიის განსხვავებული ვერსია. ავტორი 20014 წ,)..

ქიმი-ის სახელმდებელთა პრიორიტეტობის დასადგენად გამოგვადგება, ძველად, მაწვნის დამზადების ტექნოლოგიების დამუშავების სადაურობის საკითხის გადაწყვეტა.

მთავარი ქიმიური გარდაქმნა, რომელსაც რძე მაწვნად დამზადების პროცესში ღებულობს არის რძის შაქრის რძის მჟავად გარდაქმნა. ანუ ესაა რძის დამჟავება-დაძმარება. ამიტომაც მეგრული სახელი მარწვენ-ის საწყისი ფორმა გახლდათ — ძმარ-წვენი, მეგრულად „მჟავე წვენი. ეს უკანასკნელი იმდენად სადაგია, პირდაპირ ზედგამოჭრილია მაწვნის რაობასთან მიმართებით, რომ უეჭველს ხდის შემდეგ ბგერით ცვლილებებს:

მეგრულში დაიკარგა ძ, სხვა ცვლილება კი არ მომხდარა: ძ-მარ-წვენი > მარ-წვენი;

ქართულში ღრმა ცვლილებებია: ძ-ს გარდა დაიკარგა რ და ვე შეირწყა ო ხმოვნად (დელაბიალიზაცია): ძ-მარ-წვენ > მარ-წვენ > მაწვენ > მაწონ..

როგორც ვხედავთ, სახელ ძმარ-წვენ-ში ქიმიურ გარდაქმათა ამსახველობა ლოგიკური და ზუსტია, რადგან იგი გულისხმობა რძის ძმარ წვენად გარდაქმნას ანუ ახალი ქიმიური თვისების სუბსტანციის შექმნას. ამგვარი ტერმინთა შემქმნელნი კი შეუძლებელია არ იყვნენ პიონერნი ამგვარი ტექნოლოგიებისა.

სამეგრელოში ცნობილ მრავალ სახეობათა შორის ყველაზე გავრცელებულია კაზლა (ბრინზა) და სელეგინი (სულუგუნი) სახეობის ყველი.

მეგრულად, კა, აკა, კაკა, კაკალი ნიშნავს ერთს. ზელი მოზელილია, ზალა ზელვაა. ამიტომ, ცხადად ჩანს: ყველის სახელ — კა-ზლა პირვანდელი სახით იყო კა-ზელი – კა „ერთი, პირველი“ პლიუს ზელი „მოზელილი.“ ესეიგი, კა-ზელი ნიშნავს – ერთხელ მოზელილს.

ცვლილება უმნიშვნელოა: კა-ზელი კუმშვის შემდეგ > კაზლი, ი > ა გადსვლა > კაზლა.

სელე-გინის საწყისი ფორმაც აშკარაა, რადგან უშუალო ასოციაციაშია კა-ზელი, ზემოთხსენებულ სახელის წარმოქმის მოაზრებებთან: კა-ზელ-ი თუ პირველად მოზელილია, სელე-გინი მეორედ იზელება, რაც მეგრულად იქნება ზელი კინი — სიტყვასიტყვით — „მოზელილი ისევ“..

ფონეტიკური ცვლილებები მოხდა შემდეგნაირად: ზ და კ ბგერამ მოგვცა ს და გ (შდრ. სიზმარი > სისმარი, კალატოზი > გალატოზი):

ზელი კინი > სელი-გინი > სელე-გინი „სულუგუნი.“

ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: ორივე სახეობის ყველის სახელი არათუ ზუსტად ასახავს მათ მისაღებად გაწეულ ქმედებებს, არამედ — პირველიდან მეორის უშუალო გამომდინარეობას და ამით უტყუარს ხდის, როგორც ჩვენს ეტიმოლოგიურ დასკვნებს ასევე ყველის ტექნოლოგიების ავტორთა პრიორიტეტებს.

ღირსსაცნობია, რომ, მეგრულში, ყველის სახეობის აღმნიშვნელ სელეგინს გააჩნია სინონიმი – გე-ქიმ-ინ-ელი, მაგრამ თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე სახეობის ყველის სახელში ზუსტადაა ასახული მათი შექმნის პროცესი ანუ სახელი სახელდებული ობიექტის სადაგია, საკითხავია რისთვის დასჭირდა ენას, ერთი მათგანის სინონიმი? საქმე იმაში ხომ არაა ამ სინონიმში ხაზგასმულია სწორედ რომ ხსენებულ ყველთა წარმოებისას მიმდინარე გარდაქმნები, დიახ ეს ასეა რადგან გინოქიმინელი თუ გარდაქმნილია, გე-ქიმინელი მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ გარდაქმნას აძლევს მიმართულებას – ქვემოთ გე-საკენ – მიწისკენ.

ქიმიის არსი ერთადერთი სიტყვით რომ დავახასიათოთ ხომ გინოქიმინი – გარდაქმნაა. მაგრამ გე-ქიმ-ინელს და გინო-გინო-ქიმ-ინელს „გარდაქმნილს“ არა თუ მარტო ქიმ ძირი აერთიანებთ, არამედ იდენტური გენეზის სიტყვები არიან: ორივე მიღებულია, გე და გინო ზმნისწინებისა მეშვეობით, ქიმ-ინ-უა „ქმნა„ ზმნისაგან,

მაშასადამე, სიტყვები: გე-ქიმ-ი-ნი „ქვევით მიმართული რისამე გარდაქმნით კეთება“; ქიმ-ინ-ი // ქიმ-ინ-უა „ქმ-ნა, ქმ-ნა-დობა;“ გინო-ქიმ-ინ-ი „გარდაქმნა“ ადამიანის მოღვაწეობის ამსახველი სიტყვებია და მათში, ქიმ ძირის მეშვეობით, (ქართულ ქმ-ნა სიტყვაშიც ძირია მეგრ ქიმ ძირის კუმშვით მიღებული – ქმ: შდრ: მან ქმნა და ის ი-ქმ-ს. საწყისი იყო ი-ქიმ-ს), ქიმიის დედააზრი – გარდაქმნაცაა ასახული!...

ახლა კი დავადგინოთ – საიდანაა სიტყვები: ქმ-ნა, ქმ-ნა-დ-ობა და // ქიმ-ინ-ი.

ზემოთ ქალაქ ქუთაისის ეტიმოლოგია მცენარე ქუმელს დავუკავშირეთ, იგივე წარმომავლობისაა ტოპონიმი აფხაზეთში – ო-ქუმ-ი. იგი ო პლიუს ქუმ — საქუმელო, ქუმელის სათესი ადგილი იყო, უთუოდ. ქალაქ ზუგდიდის მიმდებარედ გვაქვს ტოპონიმი ქა-ფა-თი. პირვანდელი სახე მისა იყო ქუმ-ფა-თი მნიშვნელობით ქუმ მცენარის ადგილი, რამეთუ როგოცა ზემოთა ვთქვით ქუმ არის ქუმელი, ფა – მცენარე, ხოლო თი ადგილია, მეგრულად. ქუმ ქუმუ-წყარის სახით უდრის „ქუმელის წყალი“ დაფიქსირებულია, ცნობილ, საკრალური ელფერის სიმღერაში – „ერეხელი.“ ყოველივე ეს, რომ ქუმ//ქუმელი გვხვდება სიმღერებში, ხშირად მონაწილეობს ტოპონიმების წარმოქმნაში გვაფიქრებინებს, რომ იგი მნიშვნელოვანი სასოფლო სამეურნეო მცენარე გახლდათ. ხოლო რაკი ეს ასეა, მაშასადამე, დასაშვებია, რომ მეგრული ზმნა – ქიმ-ინ -უა ქუმ // ქუმელ მცენარესთან კავშირშია იმდაგვარადვე, როგორადაც მძიმე შრომის ამსახველი, მეგრული ეტიმოლოგიის მქონე ქართული სიტყვა – ჯა-ფა — ჯა „ხე“ პლიუს ფა „მცენარე;“-სთან. ასევე: მეგრული თიფუა და ქართული თიბვა – მეგრულ თიფუ „თივასთან;“ მეგრული მებინეხე – ბინეხთან (ბინეხი უდრის ვაზი); ქართული მევენახე – ვენახთან და ა. შ.

ᲔᲓᲔᲛᲘ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალადანიას

სამი ფაქტორი პროგრესისთვის – ელგუჯა გუგუშვილი ნაკრებში მეტ პოზიტივს ხედავს

სანაკრებო თემაზე თუ ვინმეს ამომწურავად საუბარი შეუძლია, ეს ელგუჯა გუგუშვილია – განათლებული მწვრთნელი, ვისაც ფეხბურთისადმი თავისი თვითმყოფადი ხედვა და სანაკრებო გამოცდილებაც (წვრთნიდა თურქმენეთის ნაკრებს) გააჩნია.

ჟურნალისტი ელგუჯა გუგუშვილს დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა, რაზეც ის სიამოვნებით დაგვთანხმდა:

– დავიწყოთ მალტასა და გერმანიასთან გამართული შეხვედრების ანალიზით. რა მასალა მოგვცა ამ ორმა სანაკრებო მატჩმა განსჯისთვის?

– პირველი მატჩი იყო მალტასთან როგორც მწვრთნელის, ისე ამ ფორმაციის ნაკრებისთვის. ბუნებრივია ის, რომ ასეთ დროს არის ხარვეზები, თუმცა მე მეტი პოზიტივი დავინახე.

ხარვეზებს რაც შეეხება, ეს არ გამკვირვებია, რადგან მწვრთნელის თუ ფეხბურთელების მხრიდან დებიუტს ყოველთვის თან ახლავს ნერვიულობა. არ დაგვავიწყდეს, რომ მწვრთნელთან ერთად ნახევარი ნაკრები ახლახან დაბრუნდა გუნდში.

ახლა მალტასთან თამაშზე გადავიდეთ და ვეცდები, ჩემი თვალსაწიერიდან მიმოვიხილო ის. პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, თუმცა ეს გოლში ვერ აისახა და ამას "ბოლო პასის" ნაკლებობას ვაბრალებ. სამაგიეროდ, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მეორე ნახევარში. ამ დროს კახა ცხადაძე უკვე აქტიურად ჩაერია თამაშის მსვლელობაში, მკვეთრად გააძლიერა ნახევარდაცვა და თავდასხმა, შესაბამისად, ჩვენი გუნდის უპირატესობა აბსოლუტურად სამართლიანად აისახა ორ გატანილ გოლში.

პირადად ჩემი აზრია და არ არის აუცილებელი, ყველამ გაიზიაროს – საქართველოს ნაკრების უპირატესობას მალტასთან მატჩის საბოლოო ანგარიში რეალურად არ ასახავს. ჩვენი გუნდის უპირატესობა გაცილებით სოლიდური უნდა ყოფილიყო.

– მივადექით გერმანიასთან მატჩს....

– თავდაპირველად, უნდა გითხრათ, რომ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდა მსოფლიოს უძლიერეს გუნდს და ამით ბევრი რამაა ნათქვამი.

მე ამ მატჩს განვიხილავდი, როგორც ორი მწვრთნელის, იოაჰიმ ლიოვისა და კახა ცხადაძის ტაქტიკურ დუელს. პირველ ტაიმში გერმანია აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას, თამაშის რიტმს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო – ბუნდესნაკრები ხომ უძლიერესია... და მაინც, ჩვენი მხრიდან იყო კონტრთამაშის მცდელობა, თუნდაც ფლანგური გარღვევები ავიღოთ. ისინი წარმატებით არ დასრულდა, რადგან მცირე ძალებით ვუტევდით. როგორც ჩანს, მოქმედებდა მეტოქის ქვეცნობიერი რიდი.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა კვლავ უკეთესად ითამაშა და ეს ცხადაძის დამსახურებად მიმაჩნია. გაძლიერდა შეტევა. გამოჩნდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც გოლის გატანა შეუძლიათ. მაგალითად, მათე ვაშაძე, რომელსაც ბოლო დროს ვეღარ ვხედავდით საქართველოს პირველი გუნდის შემადგენლობაში.

წავაგეთ, მაგრამ პოზიტივი გერმანიასთანაც შევნიშნე. დანარჩენი კი მომავლის საქმეა – ყველა ერთად ვნახავთ, როგორ გაგრძელდება საქართველოს ნაკრების პროგრესი.

– ამ მომენტისთვის მთავარი ამოცანა რა არის?

– აქტიურად ვეცნობი პრესას, ვუყურებ ტელევიზორს... არის კრიტიკული ფონი. ეს აუცილებელი კია, მაგრამ ახლა საქართველოს ნაკრების ცხოვრებაში ისეთი ეტაპია, რომ კახა ცხადაძესა და ამ ბიჭებს ყველა გვერდით უნდა დავუდგეთ. თითო აგური ყველამ უნდა დავდოთ ახალი გუნდის მშენებლობაში.

დროის ფაქტორი ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც არის – უცბად არაფერი გამოდის.

– როგორ ფიქრობთ, ახალმა ფეხბურთელებმა გააძლიერეს ნაკრები?

– ეროვნულ გუნდში ამ ბიჭების დაბრუნებას მხოლოდ დადებითად ვაფასებ. ჯერ ერთი, საქართველოს ნაკრები გაძლიერდება და მეორეც – ეს ფეხბურთელები ახლა ორმაგი მოტივაციით ითამაშებენ თავთავიანთ გუნდებში.

საერთოდ, საქართველოს დღეს არ ჰყავს დასაკარგავი ფეხბურთელი და ის რესურსი, რაც არის, ბოლომდე უნდა იქნას ათვისებული.

– რა სჭირდება საქართველოს ნაკრებს საგრძნობი პროგრესისთვის?

– ჩემი აზრით, სამი რამ. პირველი, ესაა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება. მეორე – ძლიერი ლეგიონერები, რომელთაც აქვთ სათამაშო პრაქტიკა. მესამე და მთავარი კი არის ფსიქოლოგიური მომენტი, რომელსაც, რატომდაც, მაინცდამაინც არ ექცევა ყურადღება.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ნებისმიერი გუნდი თუ ნაკრები ვერაფრით მიაღწევს წარმატებას, თუ მის შიგნით დადებითი ფსიქოლოგიური ფონი არ არის.

ჩვენ ყველას გვახსოვს, როგორ გაუთავებლად აკრიტიკებდა თემურ ქეცბაია ფეხბურთელებს და – პირიქით. ვგრძნობ, რომ ამ მხრივ სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება.

ქართული ფეხბურთის სიამაყე – გიგა ნორაკიძე 85 წლის გახდებოდა

მიმდინარე წელი მდიდარი გამოდგა სახელმოხვეჭილი მამულიშვილების საიუბილეო თარიღებით. სულ ახლახან საზიმოდ, დიდი პატივისცემით აღვნიშნეთ ჯერ განუმეორებელი ქართველი ფეხბურთელის გაიოზ ჯეჯელავასა და მსოფლიოს სპორტული სამყაროს მოერ **"ფეხბურთის კარუზოდ"** აღიარებული ფენომენალური ნიჭის მქონე ბორის პაიჭაძის საუკუნოვანი საიუბილეო თარიღები. უამრავი რამ გაიხსენა საზოგადოებამ, უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებით მოეფერა მათ ხსოვნას. არ გასულა დიდი დრო და კარს მოგვადგა სასიქადულო მამულიშვილის და დიდი სპორტსმენის, ყველასათვის საყვარელი გიგა ნორაკიძის საიუბილეო თარიღი – ამ დღეებში მას 85 წელი შეუსრულდებოდა

მისი სიცოცხლე თამამად შეიძლება ჩაითვალოს, გარკვეულწილად, დიდი ფეხბურთელისა და არანაკლებ დიდი მწვრთნელის აქტიური და შინაარსიანი ცხოვრების ეტალონად.

ვისაც ახსოვს გიგა (ანატოლი) ნორაკიძის თამაში მწვანე მინდორზე, დაეთანხმება, რომ ის იყო საკუთარი მანერის, განსაკუთრებული ხელწერს მქონე შემოქმედი. ძნელი იყო განგეჭვრიტა, თუ რას და როგორ მოიმოქმედებდა იგი. ეს იყო მეტად დიდი ხელოვანი მწვანე მინდორზე. იმისდამიუხედავად, რომ მას ძალიან ცოტა ხანს მოუწია თამაში იმხანად საქართველოს პირველ გუნდში – თბილისის **"დინამო"**-ში, მან მაინც შეძლო დაეტოვებინა საზოგადოებაში წარუშლელი კვალი, როგორც ჭკვიანი მანერებით გამორჩეულ ტაქტიკოსსა და ტექნიკოსს. მას მიჰყავდა თამაში, აღფრთოვანებაში მოჰყავდა გულშემატკივარი, თავისი სახელოვანი კარიერის განმავლობაში დიდ სპორტულ გზაზე დააყენა მრავალი ფეხბურთელი. მისი ჯენტლმენური სულისათვის უცხო იყო თამაშის წესების დარღვევა, უხეშობა, მსაჯებთან კამათი...

აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ კი გიგა ნორაკიძე გახლდათ საბჭოთა ფეხბურთის სამწვრთნელო სკოლის კაშკაშა ვარსკვლავის ანდრო ჟორდანიას დამრიგებლური საქმის დირსეული და უბადლო გამგრძელებელი.

რამდენი რამ არის გასახსენებელი მისი მეტად შინაარსიანი და საინტერესო განვლილი ცხოვრებიდან. არც ფეხბურთელობისა და არც მწვრთნელობის ჟამს იგი არასდროს უკრთოდა ურთულეს ამოცანებს, თამამად მიდიოდა დამრიგებლად ისეთ გუნდებში, რომლებიც მანამდე დიდად არ ბრწყინავდნენ სპორტული მაჩვენებლებით. იგი თავისებურად შთაბერავდა ხოლმე სპორტულ ჟინს გაწვრთნილ გუნდს და გამარჯვების სურვილით აღსავსეს უშვებდა ფეხბურთის მოედანზე. არ ყოფილა არასოდეს, რომ გიგას ნორაკიძის მიერ გაწვრთნილ გუნდს მოწინააღმდეგესთან ეპაექროს უგულოდ, უღიმღამოდ, რადგან გიგა ასეთ საპასუხისმგებლო ჟამს მკაცრად მომთხოვნი ხდებოდა შეგირდების მიმართ, არწმუნებდა ფეხბურთელებს, რომ მონდომების შემთხვევაში მათ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლიათ. ამიტომ ეჯერათ მისი შეგირდ ფეხბურთელებს, ამიტომ გამოდიოდნენ ისინი სპორტულ მოედანზე გამარჯვების რწმენით, რაც თითქმის ყოველთვის გახლდათ სასურველი სპორტული შედეგის მომტანი...

გიგა ნორაკიძეს, ყოველივე ეს თავდადებული გარჯა დიდ სიყვარულად და მოწიწებად უბრუნდებოდა მადლიერი ქართველი გულშემატკივრისაგან. სწორედ მას ერგო პატივი, რომ ყოფილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი და დამრიგებელი, რითაც მან კიდევ უფრო აამაღლა საკუთარი როლი ქართული ფეხბურთის მატიანეში.

მთელმა საფეხბურთო საზოგადოებამ ქედი მოიხარა მისი ხსოვნის წინაშე. ფეხბურთელის დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღი ფართოდ აღნიშნეს ქვეყანაში. მისმა აფხაზეთმ და დეკნილობაში მყოფმა ქალაქ ოჩამჩირეს ვეტერან ფეხბურთელოთა კავშირმა **"ერთობამ"** ღირსეული პატივი მიაგო დიდი ფეხბურთელის ხსოვნას. ამ ორგანიზაციის თაოსნობით ჩატარდა ტრადიციული მიტინგი თბილისის ცენტრალურ სტადიონზე.

ბევრი რამ გაიხსენეს ქართული ფეხბურთის ვეტერანებმა და იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოში კვლავაც აღორძინდება უმდიდრესი სპორტული ტრადიციები, რომ საქართველო კვლავაც დაიბრუნებს ღირსეულ ადგილს მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე, რომ კვლავაც გვეყოლებიან მომავლის პაიჭაძეები, ნორაკიძეები, მესხები, მეტრეველები, სიჭინავები...

დეკნილობაში მყოფი ქალაქ ოჩამჩირის ვეტერან ფეხბურთელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ერთობა"

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

თემურ ბუკიას ხსოვნას

არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან, მაგრამ საკმარისია რომელიმე მათგანმა დატოვოს წუთისოფელი და აზრიც მყისიერად შეგვეცვლება, ვინაიდან მეტი გულისყურით გადახედავ მის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას და აღმოაჩენ, რომ იგი განსაკუთრებული იყო. სწორედ ამგვარ ადამიანთა ერთობას განეკუთვნება მზაკვრის ხელით აღსრულებული თემურ ბუკია, ქართველი პატრიოტი, რომლის პირადულიცა და განზოგადოებულიც სამშობლოდან, საქართველოდან იღებდა სათავეს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თემურის პატრიოტული სულისკვეთება მისი სულიერი სიღრმეებიდან მოდიოდა და შესაბამისად, იგი არ იყო რომელიმე გარემოებისა თუ მათი ერთობლიობის ნაყოფი. ყველაფერს, რითაც თემურის პიროვნება ხასიათდება, სწორედ ამ მაღალი ზნეობრივი სინჯის ბეჭედი აზის.

მაშინ, როდესაც უთანასწორო ბრძოლაში განცდილმა მარცხმა ქართული ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელში პესიმისტური განწყობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი, თემურ ბუკია არ შერიგებია დროებით წარუმატებლობას, არ დაუკარგავს ხვალინდელი დღის რწმენა და ეჭვიც არასოდეს შეჰპარვია ჩვენი ქვეყნის ღირსეული განვითარების გარდაუვალობაში, როგორც კი მოყვასს მოიკითხავდა, მყისიერად დააიმედებდა – ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია ვიწრობებში არ შეჩერდე და აუცილებლად გახვალ სინათლით მოცულ შარა-გზაზეო. გასაოცარი ენერგიითა და მიზანდასახულობით გამოირჩეოდა იგი, დაუვიწყარია მისი ღვაწლი აფხაზეთში წმინდა ილია მართლის საზოგადოების რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში და იმ საშურ საქმიანობაში, რომელსაც ეს ორგანიზაცია ეწეოდა წინააღმდეგობებით აღსავსე ურთულეს გარემოში. იყო რა ორგანიზაციის ერთ-ერთი თავკაცი, დღე და ღამე უშურველად იღწვოდა დიდი ქართული საქმისათვის, ზვიადისა და მერაბის საქმისათვის, რითაც მაგალითის მიმცემი იყო მისი თანამებრძლებისთვის.

რაოდენ დასანანია, რომ არაკაცის მიერ წართმეულმა სიცოცხლემ არ მისცა თემურის საშუალება ბოლომდე დახარჯულიყო ქვეყნის სიყვარულში და რომ ამ ღირსეული მოქალაქის სახელის წარმოჩენა წარსულის გადასახედიდან მოგვიწევს, თუმცა დარწმუნებით გვჯერა, რომ მადლიერი თანამემამულეები უპირობოდ უზრუნველყოფენ მისი სახელის ღირსეულად დამკვიდრებას ქართველ პატრიოტთა გალერეაში.

ნუგზარ მგალობლიშვილი, თამაზ გველესიანი, ჯემალ გამახარია, თემურ ლორთქიფანიძე, თემურ მჭავია, ზურაბ ჯგუბურია, ავთანდილ დავითაია, რეზო გეთია

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალადანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, დავით ქობალია, ბივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge